ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარლამენტის თავმჯდომარე

საქართველო თავის მომავალს ერთიან ევროპულ ოჯახში ხედავს და ამ მიმართულებით ლატვიის გამოცდილებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს

დასრულდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტი ლატვიაში.

ვიზიტის დროს ნინო ბურჯანაძე შეხვდა ლატვიის პარლამენტის სპიკერს ინგრიდ უდრეს. შეხვედრის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის ბალტიისპირეთის ქვეყნებთან თანამშრომლობას. ითქვა, რომ საქართველოს უმთავრესი პრობლემაა კვლავ აფხაზეთში კონფლიქტი, რომლის გადაწყვეტა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ლატვიის პარლამენტს 2001 წელს ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში აფხაზეთის საკითხზე სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით გამოხატული მხარდაჭერისათვის და საერთოდ, იმ თანადგომისათვის, რასაც ლატვია იჩენს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ საერთაშორისო ფორუმებზე.

ნინო ბურჯანაძე შეხვდა აგრეთვე ლატვიის პარლამენტის ვიცე-სპიკერს ერიკს ეკაბსონს და საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრებს. როგორც ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, საქართველო თავის მომავალს ერთიან ევროპულ ოჯახში ხედავს და ლატვიის გამოცდილების გაზიარებას ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ლატვიის სახელმწიფო მდივანს გარის რიეკსტინშს, თავდაცვის მინისტრს გირტს ვალდის კრისტოვსკის.

ნინო ბურჯანაძე შეხვდა ლატვიის პრეზიდენტს ვაირა ვაკე ფრეიბერგს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს სტამბოლის შეთანხმებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებანი. ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო გაერთიანების ძალისხმევით შესაძლებელია ამ შეთანხმების შესრულება, რაც რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის წინაპირობაა.

ამჟამად ნინო ბურჯანაძე ესტონეთში იმყოფება.

საქინფორმი.

ალიანსი

ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრებისათვის მთელი რიგი რეფორმების განხორციელება მოგვიწევს

– იმისათვის, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდეს, აუცილებელია ქვეყანაში, როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის, ასევე ეკონომიკურ-პოლიტიკურ სფეროებში მთელი რიგი რეფორმების განხორციელება, – განაცხადა 11 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს ელჩმა ნატოში დავით დონდუამ.

როგორც დავით დონდუამ თქვა, საჭიროა ნატოს სტანდარტებთან მიახლოებული ძლიერი არმიის შექმნა, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის დაწესება, სასაზღვრო პრობლემების მოგვარება, კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა, მეზობელ სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება, საბაზრო ეკონომიკის განვითარება და სხვ.

ბრიფინგზე აღინიშნა, რომ ნატოსა და საქართველოს შორის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს გააღრმაოს ნატოსთან პოლიტიკური დიალოგი, მომავალი წლის იანვრიდან შემუშავდება. ამ გეგმის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სამხედრო რეფორმის წარმატებულად განხორციელებასა და შეიარაღებული ძალების ქმედუნარიანობის დახვეწას.

იხ. მე-2 გვ.

ანონსი

ხვალინდელ ნომერში:

რუბრიკით „თვითმხილველი“ განვაგრძობთ ვიქტორ რცხილაძის წერილის „ჯერ კიდევ გვიანი არ არის“ პუბლიკაციას;

გამოვაქვეყნებთ ელზა ჯმუხაძის ინტერვიუს თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურორთან ლენა კაპანაძესთან – „საქართველოში მკვლელობა გაახალგაზრდავდა“. დაუსჯელობის სინდრომი უფრო საშიშია, ვიდრე თითოეულ ადამიანში ჩამჯდარი პოტენციური დამნაშავე, – ამტკიცებს პროკურორი.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს. აღდგენილია 1990 წელს.
№301 (4360)
ხუთშაბათი, 12 დეკემბერი, 2002 წელი.
ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

უჩინმაჩინები

დიდ კორუფციაში

120 მილიონი ვიზარალეთ, დამნაშავე კი დღემდე ვერ ვიპოვეთ

უკვე რამდენი წელიწადია, რაც ყველას, დიდსა და პატარას, არის თუ არა კომპეტენტური, პირზე აკერია თურქული კრედიტი. მისი მომზადების, ათვისებისა და გამოყენების საქმეში დაშვებული შეცდომების, არასახელმწიფოებრივი და არაპროფესიული მიდგომებისა და, საბოლოო ანგარიშით, ბევრი თანამდებობის პირის ანგარებითი დაინტერესების მაუწყებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ 1994-2002 წლებში საკითხი ათზე მეტმა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურამ შეისწავლა.

მიუხედავად ამისა, დამნაშავე არ დასჯილა და დღეისათვის საქართველოს თურქეთისთვის 60 მილიონი დოლარის ე. წ. „ცოცხალი ფული“ აქვს გადასახდელი.

იხ. მე-3 გვ.

ისე ჩართეს „თურქულ პროექტში“ ფირმები, რომ არავის შეუმოწმებია მათი ფინანსური მდგომარეობა, არავის შეუფასებია მათი კრედიტუნარიანობა, არავის მოუთხოვია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, არ წარმოუდგენიათ ბიზნეს გეგმის არათუ პესიმისტური, არამედ რეალისტური ვარიანტებიც კი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ყველა ფაქტზე დროული რეაგირებაა საჭირო

სხვა მრავალ საზრუნავთა შორის დამოუკიდებელ საქართველოში ენერგეტიკული სისტემის გამართული მუშაობა განსაკუთრებული მნიშვნელობის პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ცნობილია, რომ სწორედ ენერგეტიკაა ეკონომიკის „პური არსობისა“. ისიც გასაგებია, რომ ეს პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს სწორედ ზამთრის პერიოდში. ამის მოწმე თითოეული ჩვენგანი არის. 11 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გამართული მთავრობის მორიგი სხდომის დღის წესრიგშიც პირველ საკითხად შეტანილი იყო სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ინფორმაცია ენერგეტიკულ სექტორში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება ყოველისმომცველი იყო. სახელმწიფო მინისტრმა დაწვრილებით მიმოიხილა დარგში არსებული მდგომარეობა. როგორც მან აღნიშნა, 1989 წლიდან პროგრესულად მცირდება ელექტროენერგიის გამომუშავება და 2001 წელს იგი 1989 წლის მაჩვენებლის მხოლოდ სამოც პროცენტს წარმოადგენს. არადა, ბოლო წლებში, ამ დარგში განხორციელებულმა ინვესტიციებმა საკმაოდ სოლიდური თანხები შეადგინა. ყოვლად დაუშვებელია მდგომარეობა, როცა ელექტროენერგიის ნაკლებობის პირობებში ჩვენი ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეების მხოლოდ 50 პროცენტი გამოიყენება. მდგომარეობის გაანალიზების შემდეგ ავთანდილ ჯორბენაძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება დიდად წაადგება დარგს.

იხ. მე-2 გვ.

მილოცვა

დამსახურებულ მასწავლებელს ქრისტინე ხარშილაძეს დაბადების 80 წელთან დაკავშირებით

ქალბატონო ქრისტინე,

საიუბილეო თარიღს გილოცავთ ღვაწლმოსილ პედაგოგს, ღირსეულ დედასა და მოქალაქეს.

ვიცი, როცა სამშობლოს უჭირდა და ქვეყანა განსაცდელში ჩავარდა, თქვენ მოხალისედ წახვედით ფრონტზე, იცავდით ჩვენს დედაქალაქს, იბრძოდით უკრაინასა და პოლონეთში, სიკვდილსაც ჩახედეთ თვალებში, 1945 წლის 9 მაისს ქ. ბრესლაუში შეხვდით და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდით.

ომგადახდილმა ქალბატონმა შესძელით სწავლის გაგრძელება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თითქმის ხუთი ათეული წელი ეწეოდით პედაგოგიურ მოღვაწეობას საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის პირველ საშუალო სკოლაში. მრავალ თაობას გაუკაფეთ გზა, ბევრი კარგი ახალგაზრდა აღუზარდეთ ქვეყანას.

მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ათეული წლების განმავლობაში ემსახურეთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს. თქვენს მიერ ღირსეულად და უმწიკვლოდ განვლილი გზა ჭეშმარიტად სამაგალითოა მომავალი თაობებისთვის.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენი აღზრდილები ღირსეულ წვლილს შეიტანენ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლესა და ბედნიერებას.

ედუარდ შევარდნაძე.

კონტროლის პალატა

ბევრს რომ ეცადნენ ჩვენთვინა, გამოუვიდათ მისთვინა...

საქართველოს კონტროლის პალატამ შეამოწმა ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკის სექტორში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და დაასკვნა, რომ აქ არსებული ვითარება ნაწილობრივ, მოქმედი კანონმდებლობის ნაკლულებით არის გამოწვეული, მიკერძოებულია და, რიგ შემთხვევაში, დაინტერესებული ხალხის პირადი მიზნების რეალიზაციას ემსახურება.

კონტროლის პალატის მიერ მოკვლეული ფაქტობრივი მასალების მიხედვით ირკვევა, რომ წლების განმავლობაში საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი (ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ცქიტიშვილი) არ ახორციელებდა კონტროლს ამ დარგის საქმიანობაზე. მეტიც, ლობირებდა რა საქართველოს მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, მისი ინიციატივით მიღებულ საკანონმდებლო აქტებში და კანონებში ცვლილებები ძირითადად მორგებული იყო სემეკის ინტერესებზე, რამაც ქვეყანაში ტარიფების დადგენის პროცესი, მომხმარებელთა და ქვეყნის ინტერესების დაცვა უკონტროლო გახადა.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდენ!

კესო – სუხიშვილების პირველი შვილი

აკადემიკოს ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიდან სასიხარულო შეტყობინებებს ხშირად ვიღებთ, გვაკითხავენ იქაური მომსახურებით კმაყოფილი რიგითი მოქალაქეებიც,

გუშინ, ჟურნალისტმა ნარგიზა ლომთაძემ თავისი ახლობლის ოჯახის სიხარული შეგვატყობინა:

– ბადრი და თინიკო ხატიძეების ოჯახმა მეორე შვილიშვილის შეძენით გაიხარა. მათ ქალიშვილს რუსუდანს პირველი შვილი შეეძინა, რომელსაც კესო დაარქვეს. ბავშვის დედა პროფესორ ირაკლი მამამთავრიშვილის, ექიმების ია ქამაკაშვილის, ელგუჯა გოციძის, მთელი მედპერსონალის მადლიერია. რუსიკო ახალგაზრდა ოჯახის დიასახლისია, მისი მეუღლე ზაზა სუხიშვილი კი საქართველოს უშიშროების საბჭოში მუშაობს. გოგონამ მათ ოჯახს სიხარული შემატა.

კოლეგის მილოცვას ჩვენც ვუერთდებით. სიხარული არ მოკლებოდეს ხატიძეებისა და სუხიშვილების ოჯახს.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

გუშინ

საკრებულომ ქალაქის მთავრობა დააკომპლექტა



11 დეკემბერს თბილისის საკრებულომ ქალაქის ვიცე-პრემიერის, დაბა წყნეთის გამგებლისა და საქალაქო სამსახურების უფროსების კანდიდატურებს უყარა კენჭი. მიუხედავად იმისა, რომ „ლეიბორისტებმა“ დარბაზი დატოვეს, ხოლო „ახლები“ ამ პროცესს გაემიჯნენ, კენჭისყრა მაინც გაიმართა. რეგისტრაცია საკრებულოს 29 წევრმა გაიარა.

იხ. მე-2 გვ.

ფეხბურთი

წუხელ ევროპის სტადიონებზე

გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის II ჯგუფური ეტაპის II ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ა“ ჯგუფი. „ბარსელონა“ – „ნიუკასლი“ 3:1.
„ბ“ ჯგუფი. „ბორუსია“ – „მილანი“ 0:1,
„რეალი“ – „ლოკომოტივი“ 2:2.
„დ“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ – „დეპორტივო“ 2:0.
„იუვენტუსი“ – „ბაზელი“ 4:0.

ინფორმაცია

„კომანდო“ მზად არის

64 მილიონ დოლარიანი აშშ სამხედრო დახმარების „წვრთნისა და აღჭურვის“ ფარგლებში მომზადებული პირველი სპეცდანიშნულების ბატალიონის „კომანდოს“ გამოშვების საზეიმო ცერემონია 15 დეკემბერს გაიმართება თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე. მომზადებული ბატალიონი თანამედროვე ტიპის ქვედანაყოფია, მთლიანად შეესაბამება დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სტანდარტებს და მზად არის ნებისმიერ მომენტში მიიღოს მონაწილეობა ანტიტერორისტულ და სხვა სახის სპეციალურ საბრძოლო ოპერაციებში.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოში აშშ საელჩოში აცნობეს, გამოშვების დღეს მოხდება ასევე სპეცნაზის ამერიკელი ინსტრუქტორების შეცვლა აშშ საზღვაო ქვეითებზე.

საელჩოს ინფორმაციით, ინსტრუქტორების შეცვლა გეგმიურია, მათი ხელმძღვანელობით ამჯერად მომზადებას გაივლის საჩხერის სამთო-მსროლელთა ბატალიონი, რომლის დაკომპლექტებაც უკვე დაიწყო.

ელჩი მუშაობას შეუდგა

11 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა მიიღო რუსეთის ფედერაციის ახალი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩვენს ქვეყანაში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი. ახალმა ელჩმა საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს რწმუნებათა სიგელების ასლები გადასცა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, აუცილებელია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მაქსიმალურად ნორმალიზება და გაუმჯობესება.

ვლადიმერ ჩხიკვიშვილი რწმუნებათა სიგელებს საქართველოს პრეზიდენტს სავარაუდოდ 13 დეკემბერს გადასცემს.

იმსჯელეს აფხაზეთში ქართველთა უფლებების დარღვევაზე

აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევებზე იმსჯელეს 11 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის მიერ გამართულ კონფერენციაზე.

„ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე“– ეს იყო თემა კონფერენციისა, რომელზეც ითქვა, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობა აღნიშნული პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით, კერძოდ, საჭიროა ამ პროცესში სამშვიდობო რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას.

ვადა – სამი წელიწადი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა გუშინ თბილისში ქართველ და რუს სამხედრო ექსპერტთა კონსულტაციების განახლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რუსული სამხედრო ბაზები ბათუმსა და ახალქალაქში „იმდენ ხანს უნდა დარჩნენ, რამდენიც მათი გაყვანისთვის არის საჭირო“.

„რუსეთი ცდილობს, დაარწმუნოს საქართველო, რომ ამისთვის 11 წელია საჭირო, მაგრამ ეს არასერიოზულია“, – უთხრა მან პრაიმ-ნიუსს.

ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ მათი გაყვანისთვის განსაზღვრული სამი წელი ქართული მხარის გაანგარიშებას ეფუძნება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

კომპეტენტური აზრი

პასუხისმგებლობა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის

1 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თემურ მონიავას სტატია, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეში ხელისშემშლელ პრობლემატიკას ეხება. ვფიქრობთ, რომ ნაშრომი და მასში დაყენებული საკითხები სადღეისოდ უაღრესად აქტუალურია და იმსახურებს, როგორც სწავლულ მეცნიერთა, ისე საზოგადოების ყურადღებას. მთლიანად ვეთანხმებით რა სტატიაში გატარებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა, უცხოეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, რეალურად ვერ ახორციელებს ფიზიკური პირების პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის სამართლებრივ დაცვას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღდგენა ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის.

იხ. მე-3 გვ.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– გარდამეცვალა მეუღლე, ვარ 27 წლის, მყავს მცირეწლოვანი შვილი. ჩემთან ერთად ცხოვრობენ მეუღლის მშობლები, რომლებიც არიან პენსიონერები.

გვეკუთვნის თუ არა პენსია მე და ჩემს შვილს და რა შეღავათებით შემიძლია ვისარგებლო კომუნალური მომსახურების გადასახადის გადახდის დროს?

ციცანა გვასალია.

– თქვენი შვილისათვის მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის თაობაზე სათანადო საბუთებით (მეუღლის შრომის წიგნაკი, ცნობა მის კმაყოფაზე ყოფნისა და გარდაცვალების შესახებ და სხვა) უნდა მიმართოთ სოციალური უზრუნველყოფის ფონდის რაიონულ განყოფილებას.

გაცნობებთ, აგრეთვე, რომ თუ გყავთ ბავშვი 8 წლის ასაკის შესრულებამდე, თქვენც მოიპოვებთ მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის უფლებას. რაც შეეხება შეღავათებს კომუნალური გადასახადების გადახდისას, ასეთი შეღავათები თქვენი კატეგორიის პირებზე არ ვრცელდება.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით -1; დღისით 0;
მთაში: ღამით -5; დღისით -2.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით -8; დღისით -2;
მთაში: ღამით -12; დღისით -7;

თბილისში

ღრუბლიანი ამინდი, მცირე თოვლი. სუსტი ქარი.
ღამით -6; დღისით -2.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

ლარის კურსი

3 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

ინგლისური გირვ.	1	3.3629	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1600	ლარი
ევრო	1	2.1429	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0678	ლარი

უკანასკნელ საათს

გაეროს ექსპერტები განაგრძობენ ერაყში ობიექტების შემოწმებას. ისინი ზედიზედ მესამე დღეა მუშაობენ ქალაქ ელყაიმის სამრეწველო საწარმოში, რომელშიც 1980-იან წლებში ურანს ამდიდრებდნენ. გუშინ ინსპექტორებმა 10 ობიექტი შეამოწმეს.

ჯორჯ ბუში 92 მილიონ დოლარს გამოყოფს ერაყის ოპოზიციური ფორმირებების მოსამზადებლად. სადამ ჰუსეინის საწინააღმდეგო ოპერაციისთვის სამხედროებს უნგრეთის სამხრეთში მდებარე ავიაბაზაში მოამზადებენ.

ინტერპანორამა

აზიის ზღვებში მეკობრეობას წელიწადში 25 მილიარდ დოლარზე მეტის ზარალი მოაქვს. ამ მხრივ ლიდერობს ინდონეზია. წლეულს აქ უკვე 72-ჯერ შეუტიეს საზღვაო გემებს.



ბერძნებს ნამდვილი „თევზის წვიმა“ დაატყდათ თავს. ძლიერმა გრიგალმა წყალთან ერთად თევზის ქარავანიც „ამოხვეტა“, შემდეგ კი საბერძნეთის ჩრდილოეთში მდებარე კორონის დასახლების მცხოვრებთ „გადაასხა“.

ნასა 2003 წლის იანვარში ორ რობოტს გაგზავნის მარსზე იქაური ქვების გამოსაკვლევად. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, ტყუპისცალი რობოტები 2004 წლის იანვრისთვის საჰაერო ტომრების მეშვეობით დაეშვებიან წითელი პლანეტის სხვადასხვა ნახევარსფეროებზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“ – ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ ოფიციალური [illegible]

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

ყველა ფაქტზე დროული რეაგირებაა საჭირო

(პირველი გვერდიდან)

სახელმწიფო მინისტრი შეეხო, აგრეთვე, იმ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მომზადებას, რომლებიც ემყარება პარლამენტისადმი და ხალხისადმი ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვას და კერძოდ, ეხება ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას, ორპალატიანი პარლამენტის შექმნას, შეიარაღებული ძალების და საერთოდ ძალოვანი სტრუქტურების რეფორმას და სხვა კარდინალურ საკითხებს. როგორც ცნობილია, ამ მიმართვის საფუძველზე შემუშავებული პროგრამის რეალიზაციის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელმაც, როგორც სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, ფრიად ნაყოფიერად იმუშავა. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღო პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელმაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს პრეზიდენტის კურსს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში.

ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვამ მართლაც ფართო და პრინციპული ხასიათი მიიღო. მთავრობის წევრების, კერძოდ, სამართალდამცველი სტრუქტურების ხელმძღვანელების მიერ დასახელებულმა ფაქტებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დარგში კორუფცია ძველებურად მძვინვარებს და საჭიროა კარდინალური ზომების მიღება. რაც შეეხება ელექტროენერგიის ღირებულების გადახდას, კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა დაასახელა კერძო სექტორში ელექტროენერგიის განსაკუთრებით დაბალი ტარიფებით მოხმარების არაერთი, რა თქმა უნდა, ანგარებასთან დაკავშირებული ფაქტი. ამასთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ იქვე მიუთითა პროკურატურას და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ეს სტრუქტურები საარქივო ორგანიზაციები კი არ არის, სადაც მხოლოდ დოკუმენტები ინახება, საჭიროა ყველა ფაქტზე დროული რეაგირება. ედუარდ შევარდნაძემ გაკვირვება გამოთქვა იმ აჟიოტაჟის გამო, რომელიც ქვეყნის პარლამენტში ატყდა სააქციო საზოგადოება „აზოტის"პრივატიზაციასთან დაკავშირებით. მან შენიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება მოქმედებს მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ფარგლებში და იგი ვალდებულია ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული საქმე. თუ რაიმე გაკეთდება არსებული კანონმდებლობის დარღვევით, მაშინ, რა თქმა უნდა, მოეკითხება ყველას, მათ შორის პრეზიდენტსაც.

საქართველოს პრეზიდენტს მიუღებლად მიაჩნია განცხადებები, რომ საჭიროა მოცდა, რათა მერე ახალმა პარლამენტმა გადაწყვიტოს კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები. ეს განაცხადა მან, არასწორი პოზიციაა და საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება არ აპირებს ვადაზე ადრე მოიხსნას უფლებამოსილება. რეფორმები უნდა დავაჩქაროთ და დავამთავროთ ისე, რომ ყოველივე ამან მიგვიყვანოს დამნაშავეობის საბოლოო აღმოფხვრამდე. ჩვენ ყველაფერი ეს გვჭირდება იმიტომ, რომ საქართველო სულ უფრო ინტენსიურად ესწრაფვის ევროპასთან ინტეგრირებას. ამას მოწმობს მისი განცხადებაც ნატოში გაწევრების თაობაზე. სხვათა შორის, ეს არ იქნება ხანგრძლივი პროცესი და იგი გაცილებით ადრე დამთავრდება, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. რაც შეეხება რუსეთს, იგი საბოლოოდ შეურიგდა ნატოს აღმოსავლეთისაკენ გაფართოებას და საქართველოსთან დაკავშირებით მას არავითარი გაღიზიანება არ გამოუმჟღავნებია.

ედუარდ შევარდნაძემ დასვა საკითხი, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელიც იმუშავებს სენატის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა და ეს საპარლამენტო სტრუქტურა მისთვის აუცილებელია. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ დროულად დაისვა საკითხი საგადასახადო რეფორმის შესახებ. მაგალითად, დიდი შეცდომაა გაზის შემოტანის დაბეგვრა, როცა საკუთარი საწვავი არ გაგვაჩნია. საჭიროა ყოველგვარი გადასახადისგან გავათავისუფლოთ ინვესტორები, ვინც იმუშავებს არატრადიციული ენერგიის გამოყენებით ენერგოსისტემის გაძლიერებაზე.

რა თქმა უნდა, ენერგეტიკაში მდგომარეობა უმძიმესი იყო და არის ახლაც. საჭიროა გავერკვეთ, თუ რას ვაწარმოებთ, რა გვაქვს, რომ განვსაზღვროთ პერსპექტივა. სრულიად არარეალურია ფიქრი იმაზე, რომ აქ არსებულ პრობლემებს ორი-სამი წლის განმავლობაში გადავჭრით. ამისათვის უფრო ხანგრძლივი პერიოდია საჭირო, მაგრამ ახლავე უნდა გადავდგათ პოზიტიური შედეგების მომცემი ნაბიჯები. ადრე პრობლემები არ გვაწუხებდა, რადგანაც საწვავიც და ელექტროენერგიაც საკმარისად მოგვეწოდებოდა. საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა, ეს საშუალება მოგვესპო და ახლა თვითონ უნდა ვიზრუნოთ ამ დარგის განვითარებისათვის. ჩვენ არც ერთ მოვლენას არ უნდა შევხვდეთ მოუმზადებლები. პერსპექტივაში გაზი იმდენი გვექნება, რამდენიც დაგვჭირდება. ეს მოხდება მაშინ, როცა აშენდება გაზსადენი „ბაქო-თბილისი-ერზერუმი". ეს საშუალებას მოგვცემს წელიწადში დავზოგოთ ერთი მილიონი კუბმეტრი ხე-ტყე. ამიტომ ახლავე უნდა ვემზადოთ მომავლისათვის. ამჟამად კი ის უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია. ვინც ახლა იბრძვის „იტერასთან" თანამშრომლობის წინააღმდეგ იგი ქვეყნის ინტერესებს ებრძვის. ალბათ ასეთებს მომავალში ხელისუფლებაში მოსვლის იმედი აქვთ. ფუჭია მათი იმედები - ასეთი პოზიციის მქონე ძალებს ხალხი არ ენდობა.

დარგში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე რომ ლაპარაკობდა, ედუარდ შევარდნაძემ მიუთითა, რომ იგი კომპლექსურ ხასიათს უნდა ატარებდეს და მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი გარკვეული შედეგის მიღწევა.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს კანონპროექტი „სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე". ეს პროექტი მომზადდა კანონის სრულყოფის მიზნით, ამასთან პრეზიდენტის 2001 წლის 27 ივლისის განკარგულების შესაბამისად ცვლილებათა აუცილებლობა გამოწვეულია იმით, რომ კანონის მოქმედების პერიოდში გამოვლინდა მთელი რიგი შეუსაბამობანი მის დებულებებს შორის, თანაც პრაქტიკამ ცხადყო, რომ საგარეო ვალების მომსახურების პროცესში ზოგიერთი საკითხი აუცილებლად საკანონმდებლო გზით უნდა მოგვარდეს.

კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ სხდომაზე გააკეთა მოკლე ინფორმაცია სახელმწიფო სიმბოლიკის საკითხებზე მუშაობის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს კონსულტაციები სპეციალური სახელმწიფო კომისიის ჩამოყალიბების თაობაზე. უფრო ზუსტად, ლაპარაკია ძველი კომისიის განახლებასა და მის შემადგენლობაში ახალი წევრების შეყვანაზე.

გადაწყდა, რომ შემუშავდეს სახელმწიფო კომისიის დებულება, მისი მიღების შემდეგ კი ახლად ჩამოყალიბებული კომისიის სხდომები რეგულარულად გაიმართება.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

ალიანსი

ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრებისათვის მთელი რიგი რეფორმების განხორციელება მოგვიწევს

(პირველი გვერდიდან)

სამოქმედო გეგმაზე იმუშავებენ ნატოს, საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ექსპერტები, ასევე ჩვენს ქვეყანაში აკრედიტებული ნატოს წევრი სახელმწიფოების საელჩოთა წარმომადგენლები. ორწლიან პროგრამაზე მუშაობა 2003 წლის აპრილისათვის დასრულდება.

ბრიფინგზე ნატო-რუსეთის ურთიერთობის გაღრმავება საქართველოსათვის დადებით მოვლენად შეაფასა საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა რევაზ ბეშიძემ. მისი განცხადებით, რუსეთის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოება ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების გაძლიერებას, რაც თავისთავად გაუადვილებს საქართველოს რუსეთთან ცივილიზებული პოლიტიკური დიალოგის წარმართვას.

საქინფორმი.

რუსეთ-საქართველო

დათბობის დასაწყისი

„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების, დათბობის პირველ ნიშნად" შეაფასა გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავება.

ამ დღეებში ქართულმა სპეცსამსახურებმა რამდენიმე ტერორისტის ლიკვიდაცია მოახდინეს, მათ შორის იყვნენ 1999 წელს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში განხორციელებული საცხოვრებელი სახლების აფეთქებათა მონაწილეები, რასაც მრავალრიცხოვანი მსხვერპლი მოჰყვა.

ორი ქვეყნის სპეცსამსახურებს შორის ოპერატიული ინფორმაციის გაცვლის საფუძველზე სტავროპოლის მხარეში მოხერხდა აღნიშნული ტერაქტების ორგანიზატორის იუსუფ კრიმშამხალოვის დაკავება, რომელიც მანამდე პანკისის ხეობას აფარებდა თავს.

ირაკლი მენაღარიშვილმა პრაიმ-ნიუსს უთხრა, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია „მოჰყვება თუ არა რეალური ხარისხობრივი ცვლილებები ამ პირველ ნიშნებს, რადგან ყველაფერი მხოლოდ საქართველოზე არ არის დამოკიდებული".

ორმხრივ ურთიერთობებში ბევრი პრობლემაა, რომლებსაც დროულად უნდა გადაწყვეტა, – თქვა მინისტრმა.

პრაიმ-ნიუსი.

კონტროლის პალატა

ბევრს რომ ეცადნენ ჩვენთვინა, გამოუვიდათ მისთვინა...

(პირველი გვერდიდან)

ქვეყანაში, სადაც ჰყვავის კორუფცია, ენერგეტიკის დარგში რეგულირების პროცესი სამი კაცის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. შედეგად, სემეკის გადაწყვეტილებები ზოგჯერ ტენდენციური და მომხმარებელთა ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული. ენერგეტიკის ობიექტების პრივატიზებისას კი სემეკის დასკვნებმა და რეკომენდაციებმა სახელმწიფოს ინტერესების დაცვის ნაცვლად უარყოფითი როლი ითამაშა. კერძოდ, თბოელექტროცენტრალის აქციათა საკონტროლო (90 პროცენტი) პაკეტი ნომინალური ღირებულებით 1,44 მილიონი ლარი „საქგაზს" მიეყიდა 150 ათას დოლარად, იმ პირობით, რომ იგი უზრუნველყოფდა 3,6 მილიონი ლარის კრედიტორული დავალიანებების დაფარვას და ელექტროსადგურის სარეაბილიტაციოდ მოახდენდა 32 მილიონ ლარზე მეტი თანხის ინვესტირებას. სემეკის დასკვნის საფუძველზე სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ, ქვეყნის ინტერესების იგნორირებით, მყიდველთან („საქგაზთან") გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ინვესტორი თავისუფლდება საინვესტიციო ვალდებულებებისაგან, თუ თეცის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის ანაზღაურება იქნება 75 პროცენტზე ნაკლები. „საქგაზი", ფაქტობრივად, არ ასრულებს საინვესტიციო ვალდებულებებს, ხოლო „თბოელექტროცენტრალის" მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება არათუ არ გაიზარდა, არამედ შემცირდა, ხოლო 2002 წელს საერთოდ არ უმუშავია. ამდენად, „თბოელექტროცენტრალის" პრივატიზებას ქვეყნისთვის არანაირი სიკეთე არ მოუტანია.

კონტროლის პალატის შემმოწმებელთა დასკვნით, საპარლამენტო კომიტეტისა და პირადად ზურაბ ცქიტიშვილის ე. წ. „მხარდაჭერა" ენერგეტიკისათვის შემთხვევითი არ უნდა იყოს. კერძოდ:

სემეკის 1999 წლის 1 სექტემბრის № 45 გადაწყვეტილების საფუძველზე, დაკანონდა „ამალთეას"მიერ (ყოფილი დიდუბის რძის კომბინატი), რომელშიც ზურაბ ცქიტიშვილის კომერციული ინტერესებია ჩადებული), „ეი-ი-ეს თელასის" საკუთრებაში მყოფი 6 კილოვატის ძაბვის განმანაწილებელი ელექტროქსელიდან № 20 უჯრედიდან იმავე შენობაში არსებული „ელექტროგადაცემის" განმანაწილებელ № 5 უჯრედზე გადართვა. ამ უჯრედიდან „ამალთეა" ელექტროენერგიას იღებს 6,1 თეთრად, ნაცვლად „ეი-ი-ეს თელასისათვის" დამტკიცებული უფრო ძვირი (2001 წლის ნოემბრამდე 8,6 თეთრი, შემდგომ 11 თეთრი) ტარიფისა.

ასევე, ტასისის დაფინანსებით 1998-2001 წლებში განხორციელდა ტექნიკური დახმარების პროგრამა „ენერგოეფექტიანობის ცენტრის დაპირება და ბუნებრივი ენერგორესურსების კვლევის განვითარება საქართველოში". ტექნიკური დახმარების მიმღები იყო სათბობ-ენერგეტიკული სექტორი, კერძოდ, შესაბამისი სამინისტრო. პროექტის განხორციელების სრული დოკუმენტაცია კონტროლის პალატის შემმოწმებლებმა ვერ მოიკელიეს, და შეუძლებელი გახდა ამ პროექტის ეფექტიანობის შესწავლა. ცალკეული მასალების მიხედვით დგინდება, რომ პროექტი სრულყოფილად არ შესრულებულა. აქვეა სათქმელი, რომ პროექტის მრჩეველთა საბჭო შეიქმნა დარღვევით. კერძოდ, მემორანდუმის თანახმად მრჩეველთა საბჭოსათვის უნდა ეხელმძღვანელა უცხოელ სპეციალისტს, მაგრამ რატომღაც საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე.

სადემონსტრაციო პროექტით და ევროკავშირის დაფინანსებით „ამალთეაში" დამონტაჟდა ახალი მცირეგაბარიტიანი საცივებელი კამერა და მზის გათბობის სისტემა, რაც 19 ათასი ევრო დაჯდა. თუმცა ამ პროექტის განხორციელებისას უნდა განხილულიყო რძის კომბინატ „სანტეში" იგივე მოწყობილობის დამონტაჟება. „ამალთეას" შერჩევა „სადემონსტრაციო პროექტის" განხორციელების ობიექტად სუბიექტურად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაწყდა.

ანალოგიურად, ტასისის დაფინანსებით გათვალისწინებული გათბობის სისტემა დამონტაჟდა ჭავჭავაძის პროსპექტზე № 46-ე საცხოვრებელ სახლში. გათბობის ეს სისტემა 34 ათასი დოლარი დაჯდა, ამასთან, ექსპერიმენტის ობიექტად ამ სახლის შერჩევა არანაირად დასაბუთებული არ არის.

უკვე აღინიშნა, „ამალთეა", როგორც „გამორჩეული საწარმო" ელექტროენერგიას იღებს შეღავათიანი ტარიფით. 2000 წლის 31 მარტიდან 2002 წლის 1 ივლისამდე პერიოდში ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან „ამალთეას" მიღებული აქვს 26 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, თანხით 258,7 ათასი ლარი, საიდანაც ჩათვლის გზით დაფარულია 78,4 ათასი ლარი, ხოლო ფულადი ანგარიშსწორებით – 136,8 ათასი ლარი. 2002 წლის 1 ივლისის მდგომარეობით დაუფარავი თანხა 43,5 ათას ლარს შეადგენდა.

შემმოწმებლებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ 2000 წელს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრიდან „ამალთეასთვის" ელექტროენერგია მიწოდებულია: 1 კილოვატსაათი 6,1-6,2 თეთრად, 2001 წელს – 6 თეთრად, ხოლო 2002 წელს – 3,7 თეთრად (დღგ-ს ჩათვლით).

ამასთან, „ამალთეას" ტერიტორიაზე განლაგებულია სხვადასხვა კერძო ფირმები, რომლებიც „ეი-ი-ეს თელასის" აბონენტები არ არიან და ენერგოკვებას იღებენ „ამალთეასაგან", რომელსაც ელექტროენერგიის რეალიზაციაზე ლიცენზია არ გააჩნია.

ნიშანდობლივია, რომ „ამალთეას" პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის გავლენით შეღავათები მინიჭებული აქვს არა მარტო ენერგიის მიწოდებით, არამედ, ხელოვნურად, შექმნილი ჰქონდა რძის პროდუქტების გასაღების ბაზარი ენერგეტიკის საწარმოებში. კერძოდ, 1999-2001 წლებში „ენერგოგენერაციას", „ელექტროგადაცემასა" და „საქენერგო-2000"-ს მიაწოდეს 1 მილიონ ლარზე მეტი რძის პროდუქტები. მაშინ, როცა ამ საწარმოებს ფინანსური პრობლემების გამო ბიუჯეტის მიმართ გააჩნიათ მილიონობით ლარის დავალიანებები, გაუცემელია რამდენიმე თვის ხელფასები. მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის ჩარევით შეჩერდა რძის პროდუქტების მიწოდება აღნიშნულ საწარმოებში. საგულისხმოა, რომ ამის შემდეგ რძის პროდუქტების მიწოდება განხორციელებულია კავშირგაბმულობის სფეროში. კონკრეტული ციფრები ზუსტდება.

აქედან გამომდინარე, „ამალთეა" ეწევა არაკეთილსინდისიერ კონკურენციას რძის პროდუქტების სხვა დამამზადებელ საწარმოთა წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზურაბ ცქიტიშვილს საცხოვრებელ ბინაში კანონდარღვევით თბილისის სატელეფონო ქსელების № 37/38 ავტომატური სატელეფონო სადგურიდან გადაყვანილი აქვს ელექტროენერგია, საიდანაც 2001 წელს მოხმარებულია – 2950 კილოვატსაათი. ხოლო 2002 წლის 10 თვეში 1200 კილოვატსაათი ელექტროენერგია. ეს ელექტროენერგია 2002 წელს მიეწოდება შეღავათიანი პირობებით 1 კილოვატსაათი 11 თეთრად, მაშინ როცა თბილისის დანარჩენი მოსახლეობისათვის ტარიფი 12,4 თეთრი, ხოლო შემდგომ 13,7 თეთრი იყო. მიუხედავად ამისა, მისი დავალიანება № 37/38 ასს მიმართ 1 ნოემბრის მდგომარეობით **467 ლარს** შეადგენდა, საიდანაც 294 ლარი მომდინარეობს 2001 წლის დასაწყისიდან.

* * *

სად არის გამოსავალი, რა ღონისძიებების ამოქმედება იქნება საჭირო ამგვარ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად? მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა როგორც ამ, ისე ანალოგიური დარღვევების აღსაკვეთად ასეთი წინადადებები წამოაყენა:

1) ბოლომდე მიყვანა იმ სისხლის სამართლის საქმეებისა, რომლებიც ამჟამად წარმოებაშია;
2) ყველა კრედიტორი თუ სხვა სახის დახმარების გამოყენების და ხარჯვის საჯაროობის უზრუნველყოფა;
3) ცვლილების შეტანა კანონში სემეკის შესახებ, რომელიც სახელმწიფოს მისცემს უფლებას შეამოწმოს დარეგულირებული კომისიების საქმიანობა;
4) ანტიკორუფციულმა ბიურომ შეისწავლოს (შესაძლოა, – პარლამენტის საგამოძიებო კომისიასთან ერთად) ზემოაღნიშნული ფაქტები, ვისაც არ უნდა ეხებოდეს ეს, – რა იმუნიტეტიც არ უნდა ჰქონდეს სამართალდამრღვევს;
5) ვიფიქროთ და გადავწყვიტოთ იმუნიტეტის შეზღუდვის საკითხი.

ეს საკითხები, მართლაც, დროული გადასაწყვეტია.

დავით ძართველიშვილი.

გუშინ

საკრებულომ ქალაქის მთავრობა დააკომპლექტა

(პირველი გვერდიდან)

პოსტები კი შემდეგნაირად გადანაწილდა: თბილისის ვიცე–პრემიერად ერთხმად აირჩიეს გია შენგელია, დაბა წყნეთის გამგებლად 21 ხმით 6-ის წინააღმდეგ გია ასათიანი გავიდა, კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის პოსტი 23 ხმით 5-ის წინააღმდეგ დავით ოქიტაშვილს ერგო. განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე 15 ხმით 13-ის წინააღმდეგ მიხეილ სტურუა დაინიშნა. წარდგენილი კანდიდატურებიდან თანამდებობა ვერ მიიღეს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურების ყოფილმა უფროსებმა დავით პავლიაშვილმა და დავით ტურაშვილმა. მათ გამსვლელი 15 ხმა ვერ მოიპოვეს. თუმცა, დედაქალაქის მერს ვანო ზოდელავას უფლება აქვს მათი კანდიდატურები ხელმეორედ შესთავაზოს საკრებულოს.

* * *

თბილისის საკრებულომ 11 დეკემბერს გამართულ სხდომაზე მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ქალაქის ბუნებრივი გაზით უწყვეტი მომარაგების შენარჩუნებისა და მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, ნოემბერში „თბილგაზისათვის" მიწოდებული ბუნებრივი გაზის საფასურის ძირითადი ნაწილი მერიამ უნდა აანაზღაუროს. კერძოდ, იგი თბილისის ბიუჯეტის გარანტიით 3 მილიონ ლარს აიღებს სესხად. დედაქალაქს ბუნებრივი გაზის მიუწოდებლობის საფრთხე აღარ ემუქრება.

* * *

თბილისის საკრებულოს დროებითმა სამანდატო კომისიამ მიმდინარე წლის 4 ნოემბერს ავთანდილ ტყებუჩავას, ჯუმბერ შენგელიასა და ზაზა ბეგაშვილს შეუჩერეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. 11 დეკემბერს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საკრებულოს აღნიშნული წევრების სარჩელი დააკმაყოფილა და საკრებულოს დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნა ძალადაკარგულად ცნო, შესაბამისად, ტყებუჩავას, შენგელიასა და ბეგაშვილს უფლებამოსილება აღუდგინა.

სასამართლოს გადაწყვეტილება და სააღსრულებლო ფურცელი საკრებულომ 11 დეკემბერსვე მიიღო.

საქინფორმი.

კონტაქტები

დაინტერესდნენ კავკასიისმცოდნეობით

რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის მიუხედავად, სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ერთ ისტორიულ მოვლენას ჩაეყარა საფუძველი , კვლავ აღორძინეს ორმოციან წლებში საქვეყნოდ ცნობილი კავკასიისმცოდნეობის განყოფილება, რომლის 2002-2003 სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულია ქართული, სომხური, სპარსული ენების შესწავლა. პროგრამაში ასევე დიდი ადგილი უკავია სამხრეთკავკასიის ქვეყნების ისტორიის, გეოგრაფიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, წეს-ჩვეულებების, რელიგიის, ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხების შესწავლას. სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან თბილისისა და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. ოთხწლიანი სასწავლო პროგრამით უნდა მოამზადონ ბაკალავრები, რომლებსაც ექნებათ საშუალება იმუშაონ სახელმწიფო მმართველობის საინფორმაციო და ეკონომიურ სტრუქტურებში, საერთაშორისო და დიპლომატიური ურთიერთობის სისტემებში. საკონკურსო შერჩევის შემდეგ ბაკალავრებს უფლება მიეცემათ სწავლა განაგრძონ ორწლიან მაგისტრატურაში, ხოლო შემდეგ, სამწლიანი სწავლების ასპირანტურაში.

როგორც ცნობილია, რუსეთის ამ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ქართულ-სომხური ფილოლოგიის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1818 წელს, სპეციალურ კათედრაზე, რომელიც დახურეს 1929 წელს. კათედრა კვლავ გაიხსნა 1944 წელს, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებების გამო, 1959 წელს კვლავ გააუქმეს. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები – თეიმურაზ ბაგრატიონის მოსწავლე, ფრანგი მარი ბროსე, პირველი ქართველი პროფესორი დავით ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, კარპეზ დონდუა და სხვა მრავალი გამოჩენილი ქართველოლოგი.

სოციოლოგიური კვლევით დადგინდა, რომ მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნები ძალიან საჭიროებენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მცოდნე სპეციალისტებს, განსაკუთრებით ამ მხრივ დიდი დაინტერესება გამოავლინა იაპონიამ, ჩინეთმა, ჩრდილოეთ კორეამ, შვეციამ, დანიამ, ბელგიამ, იტალიამ და სხვა ევროპულმა ქვეყნებმა. ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტმა ამ ქვეყნებიდან შეიძლება მიიღოს სპეციალური შეკვეთები კავკასიის ქვეყნების მცოდნე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში.

„კავკასიისმცოდნეობის" განყოფილების საზეიმო ცერემონიალის მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ და სანკტ-პეტერბურგის ქართულმა სათვისტომო „ივერიამ", რომელსაც ბატონი გიზო კუხალაშვილი და ბატონი ბადრი კაკაბაძე ხელმძღვანელობენ.

18 ნოემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში თავი მოიყარეს პეტერბურგის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებმა, ქალაქის ცნობილმა ინტელიგენციამ, ქართული და სომხური დიასპორის ღირსშესანიშნავმა წარმომადგენლებმა, სათვისტომო „ივერიის" პრეზიდიუმის წევრებმა, ადმინისტრაციის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლებმა.

საზეიმო ცერემონიალის მონაწილეებს გულთბილად მიესალმნენ სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლიუდმილა ვერბიცკაია, ქალაქის ადმინისტრაციის ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრე პროხორენკო, დსთ ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გენერალური მდივანი მიხეილ კროტოვი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე, სომხეთის გენერალური კონსული სანკტ-პეტერბურგში რუბენ აკოპიანი, რუსეთის ფედერაციის სომხეთის ეპარქიის მთავარი, ეპისკოპოსი ეზრაზი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი რადიკ მარტიროსიანი, სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო „ივერიის" პრეზიდენტი ბადრი კაკაბაძე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეჯლისის წარმომადგენელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში აიდინ ჯაფაროვი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი ივანე სტებლინ-კამენსკი, ფაკულტეტის დეკანი ელადიმერ ბოლდინი და განყოფილების გამგე არსენ შაგინიანი.

საზეიმო ცერემონიალს დაესწრნენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა, თეატრის დირექტორი გია თევზაძე, საელჩოს კულტურის ატაშე გიორგი ფოფხაძე, საზოგადოება „საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის" სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ხელმძღვანელი ნატა კაკაბაძე და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დოცენტი ჰენრიკო ხარატიშვილი, რომელიც ქართველოლოგიის სასწავლო პროგრამას ხელმძღვანელობს.

სხდომის მონაწილეებმა ყურადღებით დაათვალიერეს დავით კვაჭაძისა და მხითარ გალსტიანის სპეციალური გამოფენა „კავკასიის სილამაზე", სადაც წარმოდგენილი იყო მთელი კავკასიის და მათ შორის თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ფერადი ფოტოსურათები.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ სანკტ-პეტერბურგში დიდი აღმაველობით ჩატარდა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის თერთმეტდღიანი გასტროლები, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო „ივერიის" საიუბილეო პროგრამით იყო გათვალისწინებული და იგი მიეძღვნა სანკტ-პეტერბურგის დაარსების 300 წლისთავს. თეატრის გასტროლები დააფინანსეს „პეტროხოლოდისა" და „სტეფანე რაზინის" ცნობილმა კომპანიებმა, რომელთაც ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი ბადრი კაკაბაძე და გია გვიჩია ხელმძღვანელობენ.

იმავე დღეს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ზურაბ აბაშიძე და საელჩოს პირველი მდივანი გიზო კუხალაშვილი შეხვდნენ სათვისტომო „ივერიის" პრეზიდიუმის წევრებს. განიხილეს ყველაზე მტკივნეული საკითხები, მათ შორის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული პრობლემები.

იმავე დღეს საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე დაესწრო რუსთაველის თეატრის სპექტაკლს. გვიან საღამოს პირდაპირ ეთერში გამოვიდა სანკტ-პეტერბურგის ტელევიზიის მე-5 არხით, სადაც ისაუბრა რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ პრობლემებზე.

ნანა ზარნაძე,
სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო „ივერიის" საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი.

შეუთანხმებლად ვერ აღდგება

ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა პრაიმ-ნიუსს განუცხადა, რომ ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად სოხუმი-ადლერის მონაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა გამორიცხულია.

საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე ამის უფლება არავის აქვს.

ვადა გაგრძელებულია

რუსეთის ფედერაციის საბჭომ გუშინ ჩატარებული კენჭისყრით მხარი დაუჭირა დსთ კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში ყოფნის ვადის გაგრძელებას.

რუსეთის პრეზიდენტის მიმართვის პასუხად ფედერაციის საბჭო თანახმაა, კოლექტიური ძალების შემადგენლობაში 3 ათასამდე რუსი სამხედრო მოსამსახურის გამოყენებაზე მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე.

საქართველოში პირველად

საქართველოში ისრაელის საელჩოს ხელშეწყობით პირველად გაიმართება საქართველოს „შალომ კლუბის" წევრების შეხვედრა.

„შალომ კლუბის" წევრებს ძირითადად შეადგენენ ისრაელის სახელმწიფოს ტექნიკური დახმარების პროგრამის „მაშავის" კურსდამთავრებულები, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ხორციელდება და რომლის ფარგლებშიც მრავალ ქართველ სპეციალისტს ჰქონდა ისრაელში კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა.

საქართველოში ისრაელის საელჩოს „მაშავის" განყოფილება სისტემატურად აგზავნის ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებს ისრაელში ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის მისაღებად. კურსები ძირითადად მოიცავენ სოფლის მეურნეობის დარგებს, ეკონომიკა-ბიზნესს, განათლებას, მედიცინას და სხვა სოციალურ სფეროებს.

„შალომ კლუბის" შეხვედრას დაესწრებიან საქართველოს სოფლის მეურნეობის და განათლების მინისტრები, საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ვალუტის ბრუნვა გაიზარდა

300-ზე მეტი ლიცენზირებული სავალუტო პუნქტი მოქმედებს ამჟამად ქვეყნის ტერიტორიაზე. მათი 67 პროცენტი ფიზიკურ პირებს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი - იურიდიულ პირებს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების საფუძველზე, წლის განმავლობაში საქართველოში ვალუტის ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, იანვრიდან მოყოლებული ლარის ბრუნვა საშუალოდ გაიზარდა 15 პროცენტით, დოლარის - 17 პროცენტით, რუსული რუბლის - 11 პროცენტით, ევროსი - 137 პროცენტით.

ბავშვები გადაარჩინეს

ეს მოხდა შუახევის რაიონის მაღალმთიან სოფელ სამოლეთში. ოჯახის უფროსი არჩილ ბერიძე ტყეში წავიდა შეშის დასამზადებლად, მისი მეუღლე კი მოსავლის აღებით იყო დაკავებული. შინ ორი ბავშვი დარჩა –ორი და ექვსი წლისანი. პატარების ცელქობის გამო ცეცხლი წაეკიდა თივას, რომელსაც პირველ სართულზე ინახავდნენ. ალი უმალ მოედო ორსართულიან ხის შენობას. საბედნიეროდ, მეზობელი გურამ ბერიძე, როგორც კი დაინახა ცეცხლმოდებული სახლი, უმალ მიხვდა, რომ ბავშვები იყვნენ შიგ და საშველად მიაშურა. მან იხსნა პატარები, რომლებიც შიშით საწოლქვეშ შემძვრალიყვნენ. შემთხვევის ადგილზე მოსულმა მეხანძრეებმა კი ვეღარ მოახერხეს სახლის გადარჩენა.

შემოიღებენ საერთაშორისო სერტიფიკატს

დსთ წევრი სახელმწიფოების გზის მუშაკთა სამთავრობათაშორისო საბჭოს მეცხრამეტე სხდომამ მუშაობა დაამთავრა ოდესაში. იგი მიეძღვნა საბჭოს შექმნის 10 წლისთავს. შეხვედრის მონაწილეებმა, რომელთა შორისაც იყვნენ საქართველოს წარმომადგენლებიც, განიხილეს გზის მუშაკთა სამთავრობათაშორისო საბჭოს მუშაობის შედეგები, აგრეთვე ამ სამთავრობათაშორისო ორგანოს შემდგომი საქმიანობის პერსპექტივები. სხდომის დღის წესრიგში იდგა საკითხი თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების აწონვის საერთაშორისო სერტიფიკატის შემოღების შესახებ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმხილველი

ჯერ კიდევ გვიანი არ არის

საყოველთაო შერიგების წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ, ბევრ ზვიადისტში ხშირად შემიმჩნევია, რომ აშკარად, წრფელად ცდება კაცი და თუკი შემთხვევა მომცემია, ბევრი რამ სიმართლე მითქვამს მათთვის (მკითხველს ვთხოვ ახსოვდეს, რომ პიროვნულად, ჩემდა სამწუხაროდ, ექსპრეზიდენტს ჩემზე უკეთ არავინ იცნობს – ასეთი განცხადება, ვფიქრობ, არც მის ზოგიერთ სკოლის მეგობარს გაუკვირდება, იმიტომ, რომ კარგად იციან ჩვენი სიახლოვე ბოლო წლების მანძილზე, ციხეში მოხვედრამდე, როდესაც თვითონ სათოფედ არ გვეკარებოდნენ იმ დროს. ამას კიდევ ერთხელ ვამბობ დანანებით და, ნეტავ, სულ არ გამეცნო იგი. მაგრამ აქაც განგების ხელს ვხედავ, რომელმაც სამწუხარო მისია დამაკისრა მის გამოსააშკარავებლად).

დიახ, როდესაც „შერიგებაზე“ ვსაუბრობ, ვგულისხმობ ზვიადისტს, რომელიც ოდნავ მაინც აზროვნებს და არა მათ ისეთ კატეგორიას, რომელიც აშკარად სამედიცინო კვლევის ობიექტია. ასეთი „ზვიადისტის“, ამ შემთხვევაში „სტალინისტის“ კარგი დახასიათება მოგვცა ანდრიან როზენმა მწერალ ე. ბ. ფიოდოროვის სახით, მაგრამ სჯობს იგი რუსულად გადმოვიტანოთ ერთი საჩოთირო გამოთქმის გამო: этот писатель-человек с,так сказать, повышенной эмоциональностью и возбудимостью. Увидев на трибуне мавзолея во время демонстрации своего кумира _ Сталина („живого бога“), Федоров испитал восторг и возбуждение, закончившиеся извержением семени (как, впрочем, закончилась и радость его пса по поводу долгожданного возвращения хозяина“) „Независимая газета“. 08. 10. 98. (რა ვქნა, ეს ფიოდოროვი ძალზე მაგონებს ერთ ქუჩის ლექაკს, რომელმაც ცოფიანივით მლანძღა პრიალა გაზეთის ფურცლებიდან). ვიმეორებ, ქალაქი დატენილია ლენთის სუნით და რაღა შერიგებაა, როდესაც პატივცემულ, ნამდვილ პროფესორს (არანამდვილი აკადემიკოსებიც გვყავანან!) ზვიადისტი „ხამები“ საცემრად დასდევენ.

მოკლედ შევახსენებ ჩვენს საზოგადოებას უახლოეს წარსულს, რაც კარგად ჩამოაყალიბა დეპუტატმა მიხეილ [illegible]: „მიმაჩნია, რომ 1991-92 წლების მოვლენები იყო დემოკრატიული რევოლუცია. უდავოა, ის ხელისუფლება წარმოშობით კანონიერი იყო. მაგრამ მთელი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით აშკარად კანონსაწინააღმდეგო, დემონსტრაციული მოქმედებებით, კონსტიტუციურ უფლებათა ძალიან უხეში დარღვევებით თავისი თავი კანონგარეშე დააყენა. ვინც კანონს არღვევს, მას კანონიც აღარ იცავს“ („სრ“, 23-24 აპრილი, 2000).

მაგრამ რად მინდა ვინმეს დამოწმება, როდესაც უშუალო მონაწილე ვარ 1991 წლის 4-5 ოქტომბრის ღამის მოვლენებისა, როდესაც იმ ხელისუფლებამ დემონსტრანტებს ცემა-ტყეპა, ქვა და ტყვიაც არ დააკლო. არსებობს დოკუმენტური ფილმი, როდესაც „ბრონევიკი“ თვით კარის ზღურბლამდე მისდევს ხალხს და ეს უბედურება დილამდის გრძელდება. სწორედ ამან განაპირობა შემდეგ საყოველთაო სახალხო გამოსვლები და არა „სამხედრო გადატრიალება“, როგორც ამას, უკვე „ზვიადისტურ მოდას“ აყოლილები გაიძახიან.

ძალაუნებურად მახსენდება აქ ყოფილი პოლიტპატიმრის, თეიმურაზ ჭანტურიშვილის სიტყვები: „ჯერ ხომ ცოცხლები ვართ იმ ამბების მონაწილენი და ხომ კარგად გვახსოვს, რომ კიტოვანის ორასი გვარდიელი ვერაფერს გააწყობდა გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ, თუ მას ხალხის მხარდაჭერა არ ექნებოდა?! ამ ოცდახუთი წლის წინათ ევროპაში მოხდა კლასიკური მაგალითი ასეთი გადატრიალებისა, როდესაც 1974 წლის 25 აპრილს პორტუგალიის არმიამ ხალხთან ერთად დაამხო იქ არსებული მოფაშისტო რეჟიმი და რასაც, მიაქციეთ ყურადღება, ევროპა მიესალმა!“(კრებული „სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ“, თბ. 1999, გვ. 4). აღსანიშნავია, რომ ეს კრებული რიგ ფაქტობრივ მასალებს შეიცავს ზ. გამსახურდიაზე, აქ მოთავსებულია წერილები ცნობილი მეცნიერებისა და მოღვაწეებისა: ვახტანგ ჭელიძის, ნოდარ კაკაბაძის, ალ. გვახარიას და სხვათა, რომელთა სულისკვეთება ვ. ჭელიძის წერილის სათაურს („მაოხრებელი მკვდარი“) ეხმიანება. ამ წიგნზე დევნა იყო გამოცხადებული ზვიადისტთა მხრიდან, რაც თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში პირადად დავაფიქსირე.

მე ვეცდები იქ მოტანილი მასალები აღარ გავიმეორო და მკითხველს უფრო განსხვავებული რამ წარვუდგინო.

ავიღოთ ის პერიოდი, როდესაც დასავლეთ საქართველოში დაუნდობელი ტერორი და საყოველთაო მატარებლების ძარცვა მიმდინარეობდა, ისე, რომ დედაქალაქს შიმშილის საშიშროება ელოდა (სომხეთ-აზერბაიჯანის ვალს რომ თავი დავანებოთ), რამაც თვით ცნობილი შევარდნაძის, სოხუმში მყოფი ვორონცოვის აღშფოთება გამოიწვია, როდესაც გამსახურდიას მომხრეებმა მათ თბილისის ტოტალური ბლოკადა შესთავაზეს. იმხანად პატივი მქონდა სახელმწიფო საბჭოს წევრი ვყოფილიყავი და კარგად მახსოვს ტრიბუნაზე მდგარი აკად. ალ. ჯავახიშვილი. მაშინ პირდაპირ ვერ გადავეწყვიტა, თუ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში, რა ჯარი უნდა შესულიყო გზების დასაცავად, რომელიც ამ დაცვას აფხაზეთის რკინიგზაზეც განახორციელებდა. ნამდვილად არ გვინდოდა ქართველების ჯარი ქართველების წინააღმდეგ წასულიყო. დღეს კი ვილაც ზვიადისტი ტელევიზორის ეკრანიდან ასე „გვარცხვენს“!: თუ რკინიგზას იცავდი, წალენჯიხაში რა გინდოდა?! ეს დალოცვილი იმავე ტელევიზიას მაინც არ აღევნებს თვალს და არ იცის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ატლანტიკის ოკეანის, აფრიკისა და ინდოეთის ოკეანის გადაღმა ავღანეთში დაარტყა ტერორისტებს და „თქვენ წალენჯიხაში რა გინდოდათო“?!

მკითხველო, ალბათ, კარგად გახსოვს „რუსთავი-2“-ის ეკრანიდან ამ ორი თვის წინათ აფხაზეთის ომისადმი მიძღვნილი გადაცემა, როდესაც სახეგამშრალმა ერთმა ქალბატონმა დაუნდობელი სიწრფელით გვაუწყა, თუ როგორ ჩააგდეს იგი აფხაზებმა თუ ჩრდილოკავკასიელებმა რაღაც ჭაში, რომელიც დახვრეტილი ქართველების გვამებით იყო ამოვსებული და თუ როგორ აიძულეს იგი ერთ-ერთი დახვრეტილის თვალი რომ გადაეყლაპა... და ასეთი მაგალითები იქ მრავლად იყო! ახლა მე ვკითხულობ: როდესაც ასეთ კანიბალებს ორგანიზებას გაუწევ, ფულს გადაუხდი და, განდიდების მანიით შეპყრობილი, ეგოისტური მიზნების აღსასრულებლად ავტობუსით მათ სამეგრელოში შემოიყვან და შემდეგ თბილისისაკენ წამოასხამ, როდესაც უშნოდ, მასხარასავით სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კორესპონდენტ გოგონას ატყუებ და არწმუნებ (რაც ყველამ ვიხილეთ იმჟამად ტელევიზორში), თბილისში არა მესაქმება რაო, ამის ჩამდენი ექსპრეზიდენტის მიმართ ბალტიის მეზღვაურების გამოყენება გაცილებით **ნაკლები ბოროტებაა**. ასე რომ, უცხო ძალას პირველად ზ. გამსახურდია შემოუძღვა საქართველოში, ძალას, რომელსაც სადისტური ქმედებები ჰქონდა განხორციელებული ქართველი მოსახლეობის მიმართ. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თავის დახმარებას გამსახურდიასადმი პირდაპირ ადასტურებს ჯოხარ დუდაევი ინტერვიუში, როდესაც კორესპონდენტი ეკითხება, რომ მან დასავლეთ საქართველოში ჩეჩენი სნაიპერები იხილა (იხ. Особая папка НГ, №6, 13 октября 2000, из Архива НГ).

ვაჟა ფშაველას და ალ. ყაზბეგის ნაწარმოებებზე აღზრდილ კაცს ყმაწვილობიდანვე გამიჩნდა პატივისცემა ჩეჩენი ხალხის მიმართ. დღესაც ყველა პატიოსანი ადამიანი ძალზე განიცდის ჩეჩნეთის ტრაგედიას. პატივს ვცემ თვით შამილ ბასაევსაც კი იმის გამო, რომ ჩვენი პრეზიდენტის თხოვნით მან დაგვიბრუნა რუზგენ გოგოხიას თავი. მაგრამ ასე არ იყო ამ ათი წლის წინათ. მახსოვს, აფხაზეთის ომის დროს ჩვენმა ტელევიზიამ გადმოსცა კადრები, თუ მატარებლიდან როგორ ჩამოაბრძანეს რამდენიმე „ქართველი“ ქისტი, რომლებიც აფხაზების დასახმარებლად მიდიოდნენ და დაკავებისას ხმამაღლა ადასტურებდნენ თავიანთ მიზანს მუქარასთან ერთად. ჩეჩნებს ზღვაზე გასასვლელი სურდათ, „დიდი იჩქერია“. ეს გარკვეული უმადურობა იყო „ქართველი“ ქისტების მხრიდან, რადგან ქართველმა მეცნიერებმა 1944 წელს ისინი „ქართველებად“ გამოაცხადეს და ამით გადასახლებას გადაარჩინეს. კარგად გვახსოვს ასევე მთიელ ხალხთა კონფედერაციის ყრილობა ქ. გროზნოში, როდესაც ტელეეკრანზე ვიხილეთ ჯოხარ დუდაევი და მას აღვენებული ჩვენი ექსპრეზიდენტიც. იქვე გაისმოდა მოწოდებები ქართველებისა და საქართველოს წინააღმდეგ.

ვიქტორ რცხილაძე.
(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 300.

უჩინმაჩინები დიდ კორუფციაში

120 მილიონი ვიზარალეთ, დამნაშავე კი დღემდე ვერ ვიპოვეთ

(პირველი გვერდიდან)

პროექტი ჩავარდა, ამას კი 120 მილიონი დოლარის ზარალი მოჰყვა.

ყველაფერი ათი წლის წინათ დაიწყო თურქეთისა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე. გადაწყდა, რომ თურქეთიდან საქართველოში საექსპორტო ოპერაციების დასაფინანსებლად „თურქექსიმბანკსა“ და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის არა უმეტეს 50 მილიონი დოლარის სპეციალური საკრედიტო ხაზი გაიხსნებოდა. 1993 წლის 12 თებერვალს ანკარაში საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერმა რ. გოცირიძემ და ფინანსთა მინისტრმა კ. პოპიაშვილმა საგარანტიო ხელწერილი დადეს იმის თაობაზე, რომ კრედიტის ანაზღაურების გარანტი საქართველოს მთავრობა იქნებოდა. იმავე დღეს თურქეთისა და საქართველოს „ექსიმბანკებს“ შორის ხელშეკრულებაც გაფორმდა. ამ დროისათვის საქართველოში მოქმედებდა სახელმწიფო საბჭოს დეკრეტი, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ“, რომლის მოთხოვნები არავის გაუთვალისწინებია. არც ვიცე-პრემიერს, არც ფინანსთა მინისტრს და არც საქართველოს ეროვნულ ბანკს არ ჰქონდა უფლება თავისი სახელით აეღო სავალო ვალდებულებანი მთავრობის უვადო გარანტით. უფრო მეტიც, საგარანტიო წერილზე მთავრობის ვიცე-პრემიერის ხელმოწერა ეჭვს ბადებს, რომ საქართველოს მთავრობის წევრები შეიძლება საერთოდ არ იცნობდნენ დეკრეტს „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ვალის შესახებ“. ასევე საეჭვოა, რატომ ჩაწყვილა საქართველოს ეროვნულ ბანკს „ექსიმბანკი“. მთავარი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ბანკის მთავრობისაგან შედარებითი დამოუკიდებლობა. ეს კი ამ უკანასკნელს ანგარებაში ხელს შეუშლიდა, რაც შეეხება „საქექსიმბანკს“, მართალია იმ დროს მის ხელმძღვანელობას ნიშნავდა და ათავისუფლებდა საქართველოს მთავრობა, მაინც მათი საქმიანობა შედარებით შეუზღუდავი იყო. ამას კომერციული ინტერესებიც დაემატა, რომელიც შეიძლება „ექსიმბანკს“ მიელო და ჩანაცვლებაც მოხდა. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს „ექსიმბანკი“ სახელმწიფო კომერციულიდან სააქციო კომერციულ ბანკად გარდაიქმნა, მაშინვე თავიდან „მოიშორა“ თავს მოხვეული „თურქული პროექტი“.

ე. წ. „თურქეთის კრედიტის“ თითქმის ყველა შემოწმების მასალებში ფიგურირებს „თურქული კრედიტი“ როგორც „მძიმე და კაბალური“. ამას უმეტესწილად ეთანხმება საქართველოს პარლამენტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისია. ამ პროექტით ხდებოდა თურქული წარმოების წახალისება და საქართველოს ბაზარზე თურქული საქონლის „გარანტირებული“ გასაღება.

თურქეთის კრედიტის მომზადებისა და ათვისების ეტაპზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პასუხისმგებელ პირთა მხრიდან არაპროფესიული, არასახელმწიფოებრივი და კანონის მოთხოვნების იგნორირების მიდგომები განსაკუთრებით მძაფრად გამოჩნდა, მიღებული კრედიტის განაწილებისას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ თურქეთის კრედიტის „გამოყენების“ საილუსტრაციოდ საკმარისია შევჩერდეთ საკრედიტო ურთიერთობის რამდენიმე ძირითად ასპექტზე, უპირველესად კი, კრედიტის მიზნობრიობაზე.

თურქეთის „ექსიმბანკსა“ და საქართველოს „ექსიმბანკს“ შორის, 1993 წლის 12 თებერვალს გაფორმებული საბაზო ხელშეკრულებით, ბანკებს შორის გახსნილი სპეციალური საკრედიტო ხაზით, თურქეთიდან საქართველოში მხოლოდ სავაჭრო-საექსპორტო ოპერაციები უნდა დაფინანსებულიყო, ანუ ე. წ. „თურქული კრედიტი“ იყო კომერციული სესხი, რომლითაც ფინანსდებოდა როგორც ფართო მოხმარების საქონლის (სავაჭრო გარიგებების), ასევე სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიური მოწყობილობების, ნედლეულისა და მასალების (საინვესტიციო პროექტები) ექსპორტი თურქეთიდან საქართველოში.

ისე ჩართეს „თურქულ პროექტში“ ფირმები, რომ არავის შეუმოწმებია მათი ფინანსური მდგომარეობა, არავის შეუფასებია მათი კრედიტუნარიანობა, არავის მოუთხოვია ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, არ წარმოუდგენიათ ბიზნეს-გეგმის არათუ პესიმისტური, არამედ რეალისტური ვარიანტებიც კი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის მითითებით, თურქული კრედიტით დასაფინანსებელი პროექტების რეალური მდგომარეობის შესწავლა, გაანალიზება და დასკვნების წარდგენა დავალებული ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, თუმცა ამ უკანასკნელის დასკვნები ფორმალური იყო და მათ კრედიტების გაცემისას საერთოდ არ ითვალისწინებდნენ.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრისათვის 1993 წლის 13 ოქტომბრის წერილით საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტმა მიზანშეწონილად არ ჩათვალა საქართველოს ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტროს პროექტის დაფინანსება, რამდენადაც ეჭვს იწვევდა გათვალისწინებულ ფასებში ზოგიერთი საქონლის რეალიზება და, შესაბამისად, კრედიტის დაფარვა. თუმცა, ასეთი დასკვნის პირობებშიც საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1993 წლის 17 ოქტომბრის № 777 განკარგულებით, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს მაინც დაევალა გაეცა საგარანტიო წერილი აღნიშნულ პროექტზე, რაც შესრულდა კიდეც შეუფერხებლად.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტის დადებითი დასკვნებიც კი არ იყო გათვალისწინებული, თუმცა კომიტეტის დადებითი დასკვნებიც ვერ უძლებს კრიტიკას.

დღემდე ვერავის გაურკვევია, თუ რომელმა უფლებამოსილმა პირმა როგორ შეარჩია (თუ საერთოდ შეარჩია) კრედიტის მიმღები პროექტები. ერთადერთი „დოკუმენტი“, რაც ამ საკითხის შესასწავლად „ხელმისაწვდომია“, არის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის 1993 წლის 29 ოქტომბრის თათბირის ოქმი – „თურქეთის რესპუბლიკიდან მიღებული კრედიტით დასაფინანსებელი ობიექტების და პროექტების შესახებ“ – ყოვლგვარი თანდართული დოკუმენტებისა და მასალების გარეშე. გაუგებარია კანონმდებლობის რა მოთხოვნებით ხელმძღვანელობდა მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, როცა ასეთ „დოკუმენტს“ აწერდა ხელს.

სწორედ ასეთმა მიდგომებმა და დოკუმენტური გაფორმების ასეთმა „ხერხებმა“, საფუძველი დაუდო „თურქული კრედიტის“ ყველა პროექტის ჩავარდნას და საქართველოს სახელმწიფოსათვის მრავალმილიონიანი ზარალის მიყენებას.

პარლამენტის კომისიის ხელთ არსებული ინფორმაციით, კრედიტის თანხა უნდა მიეღო 8 უწყებას. ამ უწყებებმა 1993 წლის ივნისიდან 1994 წლის მაისამდე, საკრედიტო შეთანხმებები გააფორმეს საქართველოს „ექსიმბანკთან“. მათ აითვისეს 41517288 დოლარი, მათ შორის:

რუსთავის ცემენტის ქარხანამ – 2569750 დოლარი;
კავშირგაბმულობის სამინისტრომ – 4947605 დოლარი;
პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაციამ – 11784625 დოლარი;
ს/ს „არაგვმა“ – 1693103 დოლარი;
შულავერის მატყლის გადამამუშავებელმა ფაბრიკამ – 2374012 დოლარი;
შპს „კოკა-კოლა კავკასიონმა“ – 4844998 დოლარი;
სასმელი წყლის ქარხანა „გეამ“ – 4750000 დოლარი;
ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ – 8503185 დოლარი.

„ექსიმბანკის“ რეორგანიზაციის გამო, მისი ყველა ვალდებულება თურქეთის რესპუბლიკის მიმართ, საქართველოს მთავრობის ვალდებულებად ჩაითვალა, ხოლო კრედიტის მიმღები ორგანიზაციების დავალიანებები – სახელმწიფოს (ფინანსთა სამინისტროს) წინაშე დავალიანებად, რომელიც 1996 წელს დადებული ხელშეკრულებით იურიდიულად გაფორმდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს „ექსიმბანკს“ შორის.

საკითხის ასე მარტივად გადაწყვეტამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქვეყნის ბიუჯეტს. საქართველოს „ექსიმბანკმა“ მსესხებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით საკმაოდ სოლიდური ანაზღაურება მიიღო ისე, რომ არავითარი პასუხისმგებლობა არ ჰქონია. იმ დროს, როცა კრედიტის სამართალმემკვიდრე საქართველოს მთავრობა გახდა, უკვე რამდენიმე მსესხებლიდან კრედიტის დაფარვა შეუძლებელი გახდა. ისმის კითხვა: ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა კრედიტის ხარჯვაზე, მონიტორინგის განხორციელებაზე და, შესაბამისად, საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევაზე? ვის უნდა გაეტარებინა სათანადო ზომები? თუ ამ ბანკის მოვალეობა იყო, რატომ არ მოეთხოვა პასუხი ბანკს, რატომ გაათავისუფლეს უპირობოდ ყველა ვალდებულებისგან?

2002 წლის აპრილში ფინანსთა სამინისტრომ, მოახდინა დაგროვილი ვალის რესტრუქტურიზაცია, მაგრამ ეს ხომ გამოსავალი არ არის?

მარადი ანასაშვილი.

კომპეტენტური აზრი

პასუხისმგებლობა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის

(პირველი გვერდიდან)

ახალი კონსტიტუციის მიღებით ჩვენი ქვეყანა გაემიჯნა ტოტალურ რეჟიმს და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის რეალური მექანიზმების შექმნით, მტკიცე ნაბიჯი გადადგა დემოკრატიული საზოგადოების აღმშენებლობის გზაზე.

კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილმა ნორმატიულმა აქტებმა, მათ შორის, სამოქალაქო კოდექსმა კი დასრულებული სახე მისცა თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას. სხვა მთელ რიგ სიახლეებთან ერთად სამოქალაქო კოდექსმა, საბჭოთა სინამდვილისგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი უფლებების, მათ შორის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დარღვევისას დაუშვა მისი ფულადი (მორალური ზიანის) ანაზღაურების შესაძლებლობა.

სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდგომ განვლილმა პერიოდმა საშუალება მოგვცა გაგვეანალიზებინა სასამართლო პრაქტიკის დღევანდელი მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ცალკეული სასამართლოების საქმიანობაში ჯერ კიდევ შეინიშნება მოქმედი კანონმდებლობის არასწორად გამოყენების შემთხვევები. ეს განაპირობებს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვასთან დაკავშირებულ სამოქალაქო სამართალწარმოების ერთგვაროვან საქმეებზე ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღებას, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამო კი ვერ ხერხდება კანონიერ ძალაში შესული აშკარად უკანონო გადაწყვეტილებების გაუქმება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „იურიდიული პირის პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება მე-18 მუხლის ნორმები. ამ მუხლის შესაბამისად კი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ქვეშ იგულისხმება პირის (ფიზიკური და იურიდიული) შესახებ ისეთი ცნობების გავრცელება, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს და ასეთი ცნობების გავრცელება მოხდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც (მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი).

მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ქვეყნის სასამართლოები ძირითადად სწორად იყენებენ კანონს და იურიდიული პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის ბრალეულად შელახვისას, გავრცელებულ ცნობათა უარყოფასთან ერთად, მოპასუხეს აკისრებენ იურიდიული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურებას.

ამას ცხადყოფს შემდეგი: თბილისის საოლქო სასამართლოს 2001 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა იურიდიული პირის – „საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის“ სარჩელი და ასევე იურიდიულ პირს, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ს, „საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული შემოქმედებითი კავშირის“ სასარგებლოდ, შელახული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის კომპენსაციის მიზნით დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 2500 ლარის ოდენობით.

ანალოგიურად, თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა იურიდიული პირის – ს/ს „თბილკრედიტბანკის“ სარჩელი და მოპასუხეს, ასევე იურიდიულ პირს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 15 000 ლარის ოდენობით (იხ. 2001 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება, საქმე №3 ა/9).

უზენაესი სასამართლოს საეჭვოდ არ გაუხდია საოლქო სასამართლოს მსჯელობა ზემოთ აღნიშნული იურიდიული პირის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრების თაობაზე, თვით გადაწყვეტილება კი გაუქმდა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მოპასუხემ თვითონვე უარყო სადავო ინფორმაცია. ამასთან, უპასუხოდ დატოვა და არ აუხსნია თუ რატომ არ დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება მაშინ, როდესაც სახეზე იყო მოპასუხის ბრალეული მოქმედება.

სასამართლოების შეფასების საგანი გახდა საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრის მიერ პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი „გასრესავს თბილკრედიტბანკს და ყველაფერს გააკეთებს მის გასანადგურებლად“. მინისტრის ეს განცხადება გაამუქა საქართველოში მოქმედმა ყველა საინფორმაციო საშუალებამ.

ამ ინფორმაციის გავრცელებიდან მეორე დღეს პრესკონფერენციაზე ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა თვითონ აღიარა, რომ საჭირო არ იყო აღნიშნული ფორმით ინფორმაციის გავრცელება.

მიუხედავად ამისა, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ ყოფილი მინისტრის განცხადებით დაირღვა მისი არაქონებრივი უფლება, შეილახა ბანკის საქმიანი რეპუტაცია და იმიჯი საზოგადოებაში, რის გამოც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18, 982-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი) და 1005-ე (სახელმწიფო პასუხისმგებლობა მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის) მუხლების საფუძველზე მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის 500 000 ლარის, სახელმწიფო ბაჟის და ადვოკატის მომსახურეობისთვის გაწეული ხარჯების გადახდა, ასევე საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით ბოდიშის მოხდის დაკისრება.

თავის მხრივ, საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ საჯაროდ გამოთქმული ინფორმაცია შეიცავდა მოსარჩელისათვის არასასურველ სამომავლო პერსპექტივას, ვინაიდან იგი იყო საბანკო სფეროში მოღვაწე იურიდიული პირი და არასახარბიელო რეპუტაცია ექმნებოდა კლიენტურის თვალში.

საოლქო სასამართლომ აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსთა ყოფილი მინისტრი მოქმედებდა ბრალეულად, რაც მისსავე სიტყვებში „შეიძლება ამ სიტყვის თქმის უფლებაც არა მაქვს, აი ამას ვამბობ პირდაპირ“ აისახა, სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ, ნაცვლად მოთხოვნილი 500 000 ლარისა მოპასუხეს დააკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 15 000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ მორალური ზიანის შემცირებისას იხელმძღვანელა იმით, რომ მოსარჩელემ მოთხოვნის ოდენობა ვერ დაასაბუთა, სასამართლომ კი თავის მხრივ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ფინანსთა მინისტრმა საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია გაავრცელა სულიერად აღელვებულ ვითარებაში. მეორე დღეს მოწყობილ პრესკონფერენციაზე კი თვითონვე აღიარა, რომ ამ ფორმით არ იყო საჭირო ინფორმაციის გავრცელება. რაც შეეხება მოპასუხისგან ბოდიშის მოხდას, კოდექსის ნორმა ვინაიდან ასეთს არ ითვალისწინებს, მოსარჩელეს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის სხდომაც და პრესკონფერენციაც ფართოდ შუქდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რის გამოც ფინანსთა ყოფილი მინისტრის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განმარტება ჩათვალა ინფორმაციის გავრცელებად იმავე საშუალებად.

საკასაციო სასამართლოს პოზიცია იმ ნაწილში, რომ გავრცელებულ ცნობათა უარყოფა მოცემულ შემთხვევაში ნამდვილად მოხდა ინფორმაციის გავრცელების იმავე საშუალებით, არავითარ ეჭვს არ იწვევს. საკასაციო სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია საოლქო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ისეთი გარემოება, როგორიცაა – ფინანსთა ყოფილი მინისტრის მიერ პირდაპირი განზრახვით სს. „თბილკრედიტბანკის“ საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებაც, რაც სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად სს „თბილკრედიტბანკს“ აძლევდა არა მხოლოდ გავრცელებული ცნობების უარყოფის, არამედ არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

საკასაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა რა სს „თბილკრედიტბანკის“ სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არასწორად განმარტა და გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რაც სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის თანახმად საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაა და უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვათა კატეგორიის საქმეთა პალატის მიერ ქვემდგომი ინსტანციის, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველი იქნებოდა, თუ მას კანონით დადგენილ ვადაში რომელიმე მხარე გაასაჩივრებდა. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კი ვინაიდან საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, კანონის არსებითი დარღვევით მიღებული ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება დღემდე კანონიერ ძალაშია და მისი გაუქმების არანაირი მექანიზმი არ არსებობს. კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (ან განჩინებით) დამთავრებული საქმის წარმოებით განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოებით განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებში კი ისეთ არსებით დარღვევაზე, როგორიცაა სამოქალაქო სამართლის ან სხვა მატერიალური სამართლის კანონის არასწორად გამოყენება მითითებული არ არის, რაც კანონის ხარვეზია და აუცილებლად უნდა გასწორდეს. დღეს არსებული სასამართლო სისტემაში გათვალისწინებული არ არის ისეთი დანაყოფი, რომელიც გაასწორებდა უზენაესი სასამართლოს ამ შეცდომას და მოიყვანდა მას კანონთან სრულ შესაბამისობაში.



ახლა გვინდა შევეხოთ პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის დარღვევისას მორალური ზიანის ანაზღაურების პრობლემატიკას. ამასთან, გამოვთქვათ გარკვეული მოსაზრებები კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას. **კონსტიტუციის მე-18 მუხლი ადგენს: 1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია; 2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.**

კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი სრულებით შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლს. კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, „თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ანდა გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს“. როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებისათვის.

სასამართლოებში მნიშვნელოვნად იმატა გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობამ. შესაბამისად, გაიზარდა იმ პირთა რაოდენობაც, რომელთაც მათ მიერ გადატანილი მორალური ტანჯვის და მატერიალური ზიანის კომპენსაციის პრეტენზია აქვთ.

ზნეობრივი ხასიათის მწვავე განცდების გარდა, ადამიანის მრავალთვიანი, ზოგჯერ, უსაფუძვლო პატიმრობა, თითქმის ყოველთვის არის დაკავშირებული საგამოძიებო იზოლატორებში არსებული აუტანელი პირობებით გამოწვეულ დიდ ფიზიკურ ტანჯვასთან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგამოძიებო იზოლატორებში არ არსებობს ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ყოფადობის თუნდაც ელემენტარული დონე. საგამოძიებო იზოლატორების უმეტესობა განლაგებულია ისეთ შენობებში, რომლებიც დაუყოვნებლივ რემონტსა და რეკონსტრუქციას მოითხოვენ. საკანში მყოფთა რიცხვი ჩვეულებრივ რამდენიმეჯერ აჭარბებს სანიტარიული ნორმებით დაშვებულ რიცხვს. ზოგჯერ ასეთი პირობები იწვევს კონფლიქტებს, რომელთაც თან ახლავს ჩხუბი და სხეულის დაზიანებები. საკნების პატიმრებით გადატვირთვას, ბუნებრივია, ახლავს ანტისანიტარია, რის შედეგადაც საგამოძიებო იზოლატორებში მძვინვარებს ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიები.

ქონებრივი ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ იმ თანხის გადახდით, რომელიც რეაბილიტირებულ პირს მოაკლდა ხელფასის ან სხვა შემოსავლის სახით, მათ შორის, ანაცდენი სარგებელი, პენსია, დახმარება, მკურნალობის ხარჯები, შრომის უნარის დაკარგვის ან დაქვეითების საკომპენსაციო თანხები, რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურებას, მას ადგილი აქვს პრესაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებით გამოქვეყნებული ინფორმაციის უარყოფის გზით, აგრეთვე, ფულადი კომპენსაციით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, რეაბილიტაციის დროს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო ან დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ყველა გადასახდელი გადაიხდევინება ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. ბრალის გარეშე ზიანის ანაზღაურებას ითვალისწინებს ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლიც. ერთადერთი გარემოება, რომელიც სრულად გამორიცხავს რეაბილიტირებული მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, არის თვითაღიარება.

თვითაღიარების დროს ძალადობის, მუქარის ან სხვა არაკანონიერი ზომების გამოყენების ფაქტი საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურის ან სასამართლოს მიერ უნდა დადგინდეს. „თვითაღიარება“ არის ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის აშკარად ცრუ ჩვენებები, რომელთა მიზანია წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ სწორედ მის მიერ არის ჩადენილი დანაშაული, რომელიც სინამდვილეში მას არ ჩაუდენია.

უპირველესად, პირი, რომელიც საკუთარ თავს სწამებს ცილს, განზრახ უნდა იძლეოდეს ჩვენებებს ან აკეთებდეს განცხადებას და წინასწარ აცნობიერებდეს მათ ცრუ ხასიათს. მეორე პირობა, რომელიც იძლევა თვითაღიარების იმგვარ გარემოებად ცნობის უფლებას, რომელიც გამორიცხავს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, არის მისი შესაბამისი ჩვენებებისა და განცხადებების ნებაყოფლობითობა.

სასამართლო პრაქტიკაში უკვე მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როდესაც 1005-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოები აკმაყოფილებენ მოსარჩელის მოთხოვნას, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამასთან, სასამართლოები რიგ გადაწყვეტილებებში, ითვალისწინებენ რა ქვეყნის ეკონომიურ და საფინანსო პრობლემებს, დასაშვებად მიიჩნევენ ასანაზღაურებელი ფულადი თანხის ოდენობის განსაზღვრას უფრო ნაკლები თანხით, ვიდრე ამას მოსარჩელე მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში ამ მოთხოვნას სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს. უნდა ითქვას, რომ ამან შეიძლება გაათამამოს სახელმწიფო მოხელენი და ჩაუნერგოს მათ რწმენა, რომ მათი დანაშაული დაუსჯელი დარჩება.

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 301. ხუთშაბათი. 12 დეკემბერი. 2002 წელი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ამერიკის შესწავლის ცენტრის ოფისის პრეზენტაცია

1994 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრასთან საზოგადოებრივ საწყისებზე დაარსდა „ამერიკანისტიკის“ ლაბორატორია, რომელიც 1998 წელს გარდაიქმნა ამერიკის ისტორიის შესწავლის ცენტრად. 2002 წლიდან, მას შემდეგ, რაც გაფართოვდა შესასწავლი საკითხების სპექტრი და გასცილდა ისტორიისა და პოლიტოლოგიის ფარგლებს, ცენტრმა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის სტატუსი. ამერიკის შესწავლის ცენტრი აერთიანებს ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებულ პროფესორ-მასწავლებლებს, ასპირანტებს, მაგისტრანტებსა და სტუდენტებს.

ახლახან გაიმართა ამ ცენტრის ოფისის გახსნის პრეზენტაცია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი მიესალმა პრეზენტაციაზე მისულ საზოგადოებას, განსაკუთრებული მადლობა მოახსენა ამერიკის ელჩს, ბატონ რიჩარდ მაილსს და საელჩოს წარმომადგენელს შერონ პადსენ ლის იმ თანადგომისათვის, რაც მათ ცენტრს გაუწიეს.

პრეზენტაციაზე სიტყვები წარმოთქვეს რიჩარდ მაილსმა, შერონ პადსენ ლიმ, საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა გელა ჩარკვიანმა, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორმა ვასილ კაჭარავამ.

სურათზე: რიჩარდ მაილსი, როინ მეტრეველი, ვასილ კაჭარავა.

გერმანელი მეცნიერის ანდერძისამებრ...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტში ამას წინათ უჩვეულო შეხვედრა გაიმართა.

სახელგანთქმული გერმანელი მეცნიერის, კლასიკური ფილოლოგიის ცნობილი მკვლევარის ერნესტ გიუნთერ შმიდტის ანდერძისამებრ მისი პირადი ბიბლიოთეკა საჩუქრად გადაეცა თბილისის უნივერსიტეტს.

ბატონი გიუნთერი საქართველოს დიდი მეგობარი, კლასიკური ფილოლოგიის ქართული სკოლის თავგამოდებული აპოლოგეტი იყო. თუ როგორ აფასებდა იგი თბილისელ კოლეგებს და თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა მათ მოღვაწეობას, ამ უპრეცედენტო მაგალითითაც ნათლად ჩანს – გერმანელმა მეცნიერმა სიკვდილის შემდეგ საქართველოში ინება თავისი ბიბლიოთეკის დაფუძნება.

გერმანელი სწავლულის ამ კეთილშობილურ გადაწყვეტილებას ხორცი შეასხეს მისმა მეუღლემ, ქალბატონმა ანეტ შმიდტმა, იენის უნივერსიტეტის სიძველეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორმა, არქეოლოგიის კათედრის გამგემ, ქალბატონმა ანგელიკა გაიერმა და ერნესტ გიუნთერ შმიდტის მოსწავლემ, ქართულ-გერმანული ურთიერთობის ენთუზიასტმა, ქალბატონმა ანეგრეტ პლონტკე გიუნინგმა, რომელმაც გერმანიიდან მარტოდმარტომ მრავალი ქვეყნის გაველით უვნებლად ჩამოიტანა ნაანდერძევი წიგნები.

ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა შეკრებისას მადლობით მიმართა სამივე ქალბატონს და დასძინა, რომ მათ თვალნათლივ შეუძლიათ ნახონ, თუ რა ორგანულად ჩაეწერა ერნესტ გიუნთერ შმიდტის წიგნადი ფონდი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, რომ დიდი მეცნიერის ხელშენაველები უნივერსალური წიგნები საიმედო ხელშია.

გივი შეყილაძე,
საკუთარი კორესპონდენტი.

სურათზე: ერნესტ გიუნთერ შმიდტი.

ურთიერთობა

საბერძნეთში ქალაქ თესალონიკში გაიმართა ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა მე-6 კონფერენცია. მასში ევროპის 45 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველოს დელეგაციაც – ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ გაიპარაშვილი და ამ დეპარტამენტის საგარეო საქმეთა განყოფილების უფროსი ნათია ჩიქობავა. გვესაუბრება ჩვენი სტუმარი ზურაბ გაიპარაშვილი.

– რა თემაზე გაიმართა ევროპის ახალგაზრდობის საქმეებზე პასუხისმგებელი მინისტრების მე-6 კონფერენცია?

– „ახალგაზრდობა აშენებს ევროპას“.

– რაკი კონფერენცია საბერძნეთში მიმდინარეობდა, თქვენს გამოსვლაში ჩვენი და მასპინძელი ქვეყნის ურთიერთობის წარსულსაც თუ გადასწვდით?

– ჩვენი კავშირურთიერთობა ხომ საბერძნეთთან ათასწლეულების სიღრმეებში იკარგება, შევახსენე ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად არგონავტების სტუმრობა საქართველოში, მათ მიერ ოქროს საწმისის წაღება, რომელიც ძველი ქართველების ინტელექტუალურ თუ სულიერ-მატერიალურ სიმდიდრეს წარმოადგენდა და ოქროს საწმისი მხოლოდ ოქროს მოპოვების საშუალება არ ყოფილა, რომ იგი ცხოვრების წესის, მსოფლმხედველობის ალეგორიაა, რომელმაც დასაბამი მისცა საქართველოს მონაწილეობას ევროპული აზროვნების, ევროპული კულტურის შექმნაში. და, რომ საქართველოსთვის დაკარგული საწმისის ძიება, შეიძლება ითქვაც დღესაც გრძელდება, – მუდამ ხომ ევროპული ფასეულობების ძიება იყო. ჩვენი ქვეყნის ისტორია ხომ მუდამ ევროპისკენ სწრაფვის ისტორიაა. ცხადია ისიც, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის მიჯნაზე ყოფნა საქართველოსთვის სასარგებლოც იყო და საბედისწეროც... წარსული ხშირად ახლაც მეორდება, ჩვენი მომავალი კი განუყოფელია წარსულისა და აწმყოსაგან, ჩვენი ქვეყნის მომავალი კი დასავლური და აღმოსავლური კულტურისა და ღირებულებების იდეალურ ურთიერთობას უნდა დაეფუძნოს.

– საქართველოს ხელისუფლება ახალგაზრდული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმართვისას მუდმივად ხომ ითვალისწინებს ევროსაბჭოს რეკომენდაციებს?..

– სწორედ ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით მივიღეთ კანონი „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“, რომლის შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის განსაზღვრულ რაიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ოგრანოებთან ახალგაზრდული სათათბიროები შეიქმნა, ხოლო საქართველოს პრეზიდენტთან მეორე წელიწადია ახალგაზრდული საბჭო არსებობს. ამ საბჭოში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან გაერთიანებულნი.

– საქართველო დღეს უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგში დგას, აქტიურად არის ჩაბმული მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესებში...

– დიახ, კავკასია, დღეს ერთ-ერთი რთული რეგიონია, რომელზეც იქ მოვახსენე კიდეც კონფერენციას, ნებისმიერი პრობლემის მოგვარება კი მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება. დედამიწა ისე მცირეა, თუნდაც მისი ერთი ნახევარსფეროს ტკივილი უგრძნობელი არ რჩება მეორე ნახევარსფეროზე მცხოვრები ადამიანისათვის. თანადგომის გარეშე კი ყველას გაგვიჭირდება. საქართველოს ახალგაზრდობას ყველა შესაძლებლობა აქვს მონაწილეობდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში, მას ამ საქმეში არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციები და სახელისუფლებო სტრუქტურებიც ეხმარებიან. კონფერენციას მოხსენდა, რომ ვუსმენთ რა ახალგაზრდებს, მათ სურვილებსაც ვითვალისწინებთ, კონფერენციას ისიც მოვახსენე, რომ საქართველოში ძალზე მტკივნეულია აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების პრობლემა, რომ ათასობით ახალგაზრდა დღეს საკუთარ სამშობლოშია ლტოლვილი და უგულებელყოფილია მათი ელემენტარული უფლებები მშობლიურ ენაზე განათლების მიღების, საკუთარ სახლში ცხოვრების და სიცოცხლის უფლებაც კი. ყოველივე კი აფხაზეთში გარედან თავსმოხვეული ომის გამო ხდება. ასე რომ, საქართველოს ახალგაზრდობამ იცის რა არის ომის საშინელება.

ელინთა მიწიდან თუ რამის მოტაცება შეიძლება, ეს დემოკრატიული აზროვნებაა

თესალონიკში ევროპის 45 ქვეყნის მონაწილეობით გამართულ კონფერენციაზე საქართველოც იყო წარმოდგენილი. კონფერენციის თემა: „ახალგაზრდობა აშენებს ევროპას“

თესალონიკში, კონფერენციაზე ისიც ითქვა, რომ ასეთ მნიშვნელოვან ფორუმებზე გამოთქმული მოსაზრებებიც ხშირად ქაღალდზე რჩება, მაგალითად, დეცენტრალიზებული ახალგაზრდული ცენტრების იდეის სახეცვლილების ფაქტი. 1998 წელს რუმინეთში ევროპის ქვეყნების პასუხისმგებელ მინისტრთა მე-5 კონფერენციაზე გაკეთდა განცხადება კავკასიაში ევრო-კავკასიური ახალგაზრდული ცენტრის შექმნის შესახებ, რომელსაც ამიერკავკასიის 3 სახელმწიფო უჭერდა მხარს. ამ იდეის შესრულება ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო გაჭიანურდა და იგი ახალგაზრდული ცენტრების დაფუძნების იდეით შეიცვალა, რაც სასიკეთოდ წაადგებოდა, როგორც საქართველოს ახალგაზრდებს, ასევე კავკასიაში ხელს შეუწყობდა ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას, ჩვენი მხრიდან, საქართველოს ხელისუფლება მზადაა ამ ცენტრს ქვეყნის საკურორტო ზონაში არსებული ახალგაზრდული კომპლექსი გადასცეს. ამ გზით დაიხვეწება კიდეც ევროპული სტრუქტურების მხრიდან ქვეყანათა ხელისუფლებასთან კოორდინირებული მოქმედება.

სამწუხაროდ, კავკასია ერთ-ერთი არასტაბილური რეგიონია და ცეცხლი, რომელიც კავკასიაში ანთია, არაა პრომეთეს ცეცხლი, რომელიც ადამიანების საკეთილდღეოდ მითოლოგიურმა გმირმა ძველბერძენთა ღმერთებს მოსტაცა – ჩვენი სურვილია, თუ რამის მოტაცება შეიძლება ელინთა მიწიდან, ეს იყოს დემოკრატიული აზროვნება და ჰუმანური ფასეულობები. უმთავრესი მონაპოვარია ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარება, საქართველოს ამ გზაზე სჭირდება დიდი ევროპული ოჯახის თანადგომა. ისე, როგორც ადრე საქართველო მომავალშიც ევროპული ფასეულობების ისეთივე დასაყრდენი იქნება, როგორც საუკუნეების წინათ დიდი ბიზანტიური ცივილიზაციის ნაწილი აღმოსავლეთში.

ამ კონფერენციაზე საბერძნეთის განათლების მინისტრის მოადგილემ ელენე კოურკოულმა, ზოგადად მიმოიხილა ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ისტორია, – ევროპაში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა პირველი კონფერენციიდან დღემდე შესრულებულ სამუშაოზე ისაუბრა რუმინეთის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა გეორგიუ გინგერეშმა.

– რა გადაწყდა კონფერენციაზე, რომელშიც ევროპის 45 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა?

– ინტერკულტურული დიალოგისა და მშვიდობის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებათა სწავლება, ადამიანის ღირსებისა და სოციალური ერთობის ხელშეწყობა, ის ითვლება 2003-2005 წლების პრიორიტეტულ საქმიანობად. ითვალისწინებს აგრეთვე ასეთ საკითხსაც: „ახალგაზრდობა კონფლიქტურ ზონაში“. ამ კონფერენციაზე პირველად დაფიქსირდა კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილიზაციის მნიშვნელობა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპისათვის, ზოგადად მსოფლიოსათვის სტაბილური და მშვიდობიანი კავკასია.

საქართველოს დელეგაცია აქტიურად მონაწილეობდა ამ დეკლარაციის შემუშავებაში. ჩვენი და ჩვენი კავკასიელი კოლეგების, ევროპის შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენელთა მხარდაჭერით მოხერხდა ის, რომ რეზოლუციის ტექსტში, სადაც კონფლიქტურ ზონებში მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევის აუცილებლობაზეა საუბარი „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გვერდით“, ჩაიწერა „კავკასიის რეგიონი“. ეს კი მომავალში ევროსაბჭოს სპორტისა და ახალგაზრდობის დირექტორატს შესაძლებლობას მისცემს უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი კავკასიაში ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში ცალკეული პროექტებისა და პროგრამების შესრულებას.

– პლენარულ სხდომებთან ერთად სამი „მრგვალი მაგიდის“ ირგვლივაც გაიმართა საუბარი...

– გაიმართა სხვადასხვა თემებზე „აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი მონაწილეობა და დემოკრატია“. „სოციალური ერთობის ხელშეწყობა, დემოკრატია და სტაბილურობა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში“. „ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი თავიდან აცილება“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ევროპის ახალგაზრდული ფორუმის ვიცე-პრეზიდენტმა კოკო იონათამიშვილმა გაახმოვანა ევროპელი ახალგაზრდების განწყობა და სურვილი და კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდა: „არაფერი გააკეთოთ ახალგაზრდებისათვის ახალგაზრდების გარეშე“. ამ მოწოდებას სხვებთან ერთად მხარი საქართველოს წარმომადგენლებმაც დაუჭირეს. ასე რომ, ნათელი გახდა – ხვალინდელ დღესთან ერთად ახალგაზრდებს ეკუთვნით დღევანდელი დღეც, ახალგაზრდული პოლიტიკაც მათი მონაწილეობითა და მათთან ერთად უნდა შემუშავდეს და შესრულდეს.

ევროპის 45 ქვეყნის დელეგაციის ხელმძღვანელებმა ხელი მოვაწერეთ დეკლარაციას „ოლიმპიური შერიგების შესახებ“, რომლის მიზანია 2004 წლის ოლიმპიადის მსვლელობისას დედამიწაზე ყოველგვარი კონფლიქტის შეწყვეტა. ამ იდეის ავტორი საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პაპანდრეუ გახლდათ, რომლის გამოსვლითაც მე-6 კონფერენცია დაიხურა.

უნგრეთის ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლის თაოსნობით, ევროპის ქვეყნების ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ მინისტრთა მორიგი მე-7 კონფერენცია 2005 წელს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება.

ესაუბრა
ნათელა ფაილოძე.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია 70 წლისაა

წლეულს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახელობის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას 70 წელი შეუსრულდა.

აქ წარმოებული კვლევა-ძიება მსოფლიოს ასტრონომიული მეცნიერების კუთვნილებაა და საყოველთაო აღიარებით სარგებლობს.

ზედმეტი არ იქნება იმის შეხსენება, რომ მსოფლიოში მიღებული წესით, ობსერვატორიის არსებობა ქვეყნის პრესტიჟს ემსახურება, ხოლო ასტრონომიის განვითარება ერის ელიტურ სულიერ მოთხოვნილებას გამოხატავს.

ჩვენმა ობსერვატორიამ დაარსების პირველსავე წლებში მოიპოვა აღიარება, იგი დღესაც მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასტრონომიულ დაწესებულებად. ჯერ კიდევ 1932 წელს ლენინგრადის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ განათლების სახელმწიფო კომისარიატის ძალისხმევით აბასთუმანში შეიქმნა საბჭოთა კავშირში პირველი ასტროფიზიკური ბაზა. 60 წლის განმაელობაში მას უცვლელად ხელმძღვანელობდა, ხოლო 1992 წლიდან გარდაცვალებამდე ამ ობსერვატორიის საპატიო დირექტორი იყო აკადემიკოსი ევგენი ხარაძე.

დღიდან დაარსებისა, აბასთუმნის ობსერვატორიამ თავისი მუშაობის ძირითად ამოცანად დაისახა ვარსკვლავთშორისეთი შთანთქმისა და ვარსკვლავთშორისეთი გარემოს კვლევა, რასაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრება გალაქტიკის აგებულების შესწავლის საქმეში. ამ ამოცანის გადაწყვეტას ათეული წლები სჭირდებოდა. ამ მიზნით ობსერვატორიამ დაამუშავა და დანერგა კოლორიმეტრული და ფოტოელექტრული დაკვირვებების მეთოდი. გამოაქვეყნა ვარსკვლავებისა და ჩვენი გალაქტიკის სხვა ობიექტების ფერის მაჩვენებელთა ვრცელი კატალოგები. დაადგინა მთელი რიგი კანონზომიერებანი ვარსკვლავთშორისეთი გარემოს სტრუქტურასა და თვისებებში.

მრავალმხრივი გამოყენება ჰპოვა გალაქტიკაში ვარსკვლავების სივრცული სიმკვრივეების განსაზღვრის მიზნით ობსერვატორიაში დამუშავებულმა სტატისტიკურ-თეორიულმა მეთოდმა. ეს მეთოდი პრაქტიკულად ყველა სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიაში შევიდა ვაშაკიძე-ოორტის სახელწოდებით.

გალაქტიკური ნისლეულების სინათლის პოლარიზაციის გაზომვებმა მ. ვაშაკიძე ფრიად მნიშვნელოვან აღმოჩენამდე მიიყვანა. მან შეძლო დაედგინა კიბორჩხალის ნისლეულის ფიზიკური ბუნება.

აღნიშნული ორი გამოკვლევა დღეს კლასიკურ შრომებად ითვლება. მეცნიერებაში დიდი ღვაწლის აღსანიშნავად, მთვარის ჩვენთვის უხილავ მხარეზე არსებულ ერთ-ერთ კრატერს მ. ვაშაკიძის სახელი ეწოდა.

ცვალებადი ვარსკვლავების ელექტროფოტომეტრული დაკვირვებები საბჭოთა კავშირში პირველად აბასთუმნის ობსერვატორიაში დაიწყო. ცვალებად ვარსკვლავთა გამოკვლევებთან ერთად აქ ახალი, ახლისმსგავსი და დიდი ბრწყინვალების მქონე სხვა ვარსკვლავების შესწავლა მიმდინარეობს.

მზეზე მიმდინარე პროცესების არსის ახსნა დიდი რაოდენობით სისტემატურ დაკვირვებებსა და მრავალმხრივ გამოკვლევებს მოითხოვს. ამ მიზანს ემსახურება საერთაშორისო მასშტაბით ორგანიზებული „მზის სამსახური“. აღნიშნული პროგრამით მუშაობა აბასთუმნის ობსერვატორიამ ჯერ კიდევ 1937 წელს დაიწყო.

აბასთუმნის ობსერვატორიას მზის სრული დაბნელების დასამზერი ექსპედიციების მოწყობისა და წარმატებული დაკვირვების დიდი ტრადიცია აქვს, რომელიც დასაბამს 1936 წლიდან იღებს. მზის 15 სრული დაბნელების დასაკვირვებლად მსოფლიოს 11 ქვეყანაში ორგანიზებულმა ექსპედიციებმა მზის გვირგვინის – მზის ატმოსფეროს ამ ყველაზე გარე და ყველაზე ძნელად მისაწვდომი ნაწილის შესასწავლად მდიდარი მასალა მოგვცა. ნაწინასწარმეტყველები იქნა პლუტონის თანამგზავრის არსებობა და შექმნილია პლანეტების ღერძული ბრუნვისა და გეოსტაციონარული ობიექტების მოძრაობის თეორია.

2000 წელს შეიქმნა ობსერვატორიის ფილიალი – პლაზმური ასტროფიზიკის ცენტრი (დირექტორი აკად. ჯუმბერ ლომინაძე), რომლის თანამშრომლებმა დაამუშავეს პულსარებისა და რადიოწყაროების გამოსხივების პლაზმურ მექანიზმებთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები. შემოთავაზებულია კიბორჩხალის ნისლეულისა და პულსარის გამოსხივების მოდელი. ობსერვატორიის მუშაობის მანძილზე აღმოჩენილია 2 კომეტა, 7 ახალი ვარსკვლავი, 10 ზეახალი ვარსკვლავი, რამდენიმე მცირე ცთომილი, ასეულობით ანთებადი ვარსკვლავი, ათობით გალაქტიკური გროვა, რამდენიმე მოკლეპერიოდიანი ცვალებადი და ასეულობით ნახშირბადოვანი ვარსკვლავი. გამოცემულია: „გალაქტიკურ ბნელ ნისლეულთა ატლასი“ (ავტორი ჯ. ხავთასი) და „მთვარის პოლარიმეტრული ატლასი“ (ავტორები: ვ. ჯაფიაშვილი და ა. კოროლი). ობსერვატორიის არსებობის მანძილზე გამოქვეყნებულია ცხრა მონოგრაფია.

პრობლემების დანახვას, რომლებიც აქ დაგროვდა, ტელესკოპი არ სჭირდება

ყოველი ობსერვატორიის ცხოვრებაში დიდი მოვლენაა ახალი ტელესკოპის დადგმა. აბასთუმნის ობსერვატორიის არსებობის მანძილზე დადგმულია 8 სავარსკვლავო და 7 სამზეო ტელესკოპი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებისათვის აბასთუმნის ობსერვატორიის თანამშრომლებს მიღებული აქვთ სსრკ სახელმწიფო პრემია (რ. კილაძე), სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბრედიხინის სახელობის პრემია (ვ. ჯაფიაშვილი, ა. კოროლი). წყნარი ოკეანის ასტრონომიული საზოგადოების მედალი კომეტების აღმოჩენისთვის (გ. თევზაძე), საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია (ჯ. ლომინაძე, გ. ჩაგელიშვილი, რ. ჭანიშვილი, ა. როგავა).

განვლილ წლებში აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას ფართო სამეცნიერო კავშირი ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ასტრონომიულ დაწესებულებასთან. აქ ხშირად იმართებოდა საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები.

ამჟამად აბასთუმნის ობსერვატორიაში 133 თანამშრომელი მუშაობს. მათ მორის, ერთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია, 2 წევრ-კორესპონდენტი, 11 მეცნიერებათა დოქტორი და 46 მეცნიერებათა კანდიდატი.

ობსერვატორიის თანამშრომლებმა გაუსაძლის სოციალურ პირობებში შეძლეს არ შეწყვეტილიყო მეცნიერული კვლევა-ძიება, შეინარჩუნეს დაკვირვებათა უწყვეტი ციკლი, მაგრამ ამ მდგომარეობის დიდხანს გაგრძელება შეუძლებელია. სასწრაფოდ გასარემონტებელი და გასაახლებელია ყანობილის მთაზე აშენებული სამეცნიერო კომპლექსი, რომელიც 35-მდე შენობას მოიცავს: ლაბორატორიებით, სატელესკოპო გუმბათიანი კოშკებით, საცხოვრებელი სახლებით, ბიბლიოთეკით, სახელოსნოებით და სხვა დამხმარე ნაგებობებით. 10 წელზე მეტია, მათ კოსმეტიკური რემონტიც კი არ ღირსებიათ და მრავალი მათგანი ავარიულ მდგომარეობაშია.

უფრო მძიმე მდგომარეობაა სამეცნიერო ხელსაწყოების განახლების თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, დღეს მეცნიერება ინფორმაციის მუდმივ გაცვლას საჭიროებს. ამ მხრივაც ტექნიკური საშუალებების სიმცირეს განიცდიან ჩვენი მეცნიერები – საჭირო რაოდენობით არ აქვთ კომპიუტერული ტექნიკა, ძნელია მსოფლიოს ობსერვატორიებთან მუდმივი მრავალმხრივი კავშირი ინტერნეტითა და სხვა ინფორმაციული საშუალებებით.

უმძიმესი პრობლემაა ახალგაზრდა კადრების მოზიდვა, რაც ნებისმიერი მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მომავლისათვის აუცილებელი პირობაა. ამისათვის კი საჭიროა მათთვის ყანობილზე შეიქმნას მუშაობისა და ცხოვრების ელემენტარული პირობები, რაც თავისთავად დამოკიდებულია სახელმწიფოსგან გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების ოდენობასა და არსებული საწარმოო და საცხოვრებელი შენობების კაპიტალურ რემონტზე.

როლან კილაძე,
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;

გურამ სალუქვაძე,
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

კომპეტენტური აზრი

პასუხისმგებლობა პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის

(მესამე გვერდიდან)

უეჭველია, რომ ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც უკვე მერამდენე წელია განიცდის სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს, რეაბილიტირებულისთვის გადასახადი ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა ფუფუნებაა. გვსურს მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან. ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთი წარმატებული ქვეყნებიც კი, როგორებიცაა გერმანია, იაპონია, საფრანგეთი. არ თაკილობენ „მართლმსაჯულების მსხვერპლთათვის“ გასაცემი კომპენსაციების ოდენობის მკაფიო რეგულირებას. მაგალითად, გერმანიაში კომპენსაციის მოცულობა საერთოდ მკაცრადაა ფიქსირებული – 10 მარკა პატიმრობაში გატარებული ყოველი დღისათვის. იაპონიაში, კომპენსაცია უკანონო პატიმრობისათვის, რომელიც სულიერ ტანჯვასაც ითვალისწინებს, უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 იენსა და არაუმეტეს 400 იენს პატიმრობაში გატარებული ყოველი დღისათვის. ფრანგული კანონმდებლობის შესაბამისად კი, თითოეული ასეთი დღე უნდა შეფასდეს არანაკლებ 0,25 ფრანკის ოდენობით.

მეორე მხრივ, სახელმწიფოსაგან მისაღები ფულადი თანხის ქვედა ზღვარის დადგენა, რეაბილიტირებულს მისცემს კომპენსაციის თუნდაც მინიმალური, მაგრამ სრულებით განსაზღვრული თანხის მიღების გარანტიას, რაც მას არ აქვს ახლანდელი საკანონმდებლო ნორმების მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის რეალურ განხორციელებას წარმოადგენს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 12 დეკემბრის კანონი. კერძოდ, ეს კანონი განსაზღვრავს პოლიტიკური რეპრესიის და პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის ცნებებს, ადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების წესს და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მე-9 მუხლის თანახმად, პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესიის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, აგრეთვე, მისი პირველი რიგის მემკვიდრეს შეიძლება მიეცეს ფულადი კომპენსაცია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ მოკვლევის, წინასწარი გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად. მასთან, განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისას ეს პირები სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებენ პასუხს, მაგრამ ეს ეხება ამ პირთა მხოლოდ მატერიალურ პასუხისმგებლობას (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი). არადა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლში ერთმნიშვნელოვნად არის ნათქვამი, რომ ადამიანის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უკანონოდ დარღვევა ისჯება კანონით და უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, ეყრდნობა რა კონსტიტუციის მე-18 მუხლს, გულისხმობს კომპენსაციის მიღების უფლებას, როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის მიყენებისათვის, რადგანაც პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დარღვევას ყოველთვის თან სდევს, როგორც წესი, მძიმე ხარისხის სულიერი განცდები და ფიზიკური ტანჯვა. აქედან გამომდინარე, მორალური ზიანის კონსტიტუციურმა გაგებამ ასახვა უნდა ჰპოვოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლშიც, რადგანაც სხვა შემთხვევაში აზრს კარგავს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი.

ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებების და წინადადებების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ქართულ სამართლებრივ სივრცეში არამართლზომიერი მოქმედებების შედეგად შელახული პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის რეალურ დაცვას.

შალვა ჩიკვაშვილი,
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ახალი პროექტი პირველ არხზე
ნუგზარ ჩუხაძე

ინფორმაცია

დმანისს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭება

საქართველოს კულტურის სამინისტროში გაიმართა ქვეყნის პრეზიდენტის აპარატთან არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომა. მას კულტურის მინისტრი სესილი გოგიბერიძე უძღვებოდა.

საბჭოს წევრებმა განიხილეს აქტუალური საკითხები და მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებები. კერძოდ, გადაწყდა დმანისის არქეოლოგიურ-პალეონტოლოგიურ ძეგლს მიენიჭოს უძრავი ძეგლის სტატუსი. ძეგლს წარუდგენენ იუნესკოსათვის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ჩამონათვალში შესატანად. ამ მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს.

გადაწყდა, აგრეთვე, „ალექსანდრის“ პარკს დაუდგინდეს პირვანდელი საზღვრები და მის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობა შეუსაბამონ პარკის ფუნქციას. განიხილეს კიდევ ერთი ისეთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის რესტავრაციის და ძველი ქართული მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრების საპატრიარქოს დაქვემდებარებაში გადაცემა. შექმნილია ამ საკითხის შემსწავლელი კომისია, რომელიც თავის მოსაზრებებს და საკითხის პრაქტიკულად განხორციელების რეკომენდაციებს ერთი თვის ვადაში წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტის აპარატთან არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

გერმანელთა საჩუქარი ქართველ სეისმოლოგებს

თბილისის მიწისძვრიდან პირველსავე დღეებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტს დახმარება აღუთქვა სეისმური დანადგარების მოდერნიზაციის საქმეში. ამ მიზნით გამოიყო დახმარება დაახლოებით 60 ათასი ევროს ოდენობით. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება დაევალა შპს „გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას“ (GTZ).

სეისმური დაკვირვების მოძველებული სისტემის მოდერნიზაციისათვის საჭირო მთელ რიგ ტექნიკურ მოწყობილობას საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი უვე შრამი გეოფიზიკის ინსტიტუტს 12 დეკემბერს გადასცემს. [illegible] კი გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლები, გერმანელი ექსპერტის ხელმძღვანელობით, შეისწავლიან თანამედროვე დანადგარებზე მუშაობის წესებს.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- აშშ: „საინტერესო არჩევანი“
- ნობელის პრემია – ყოფილ პრეზიდენტს
- ჩინელმა მეწარმეებმა პირადი კოსმეტოლოგები გაიჩინეს
- ვინ უფრო პატრიოტია?

მოსმენა ზაკაევის საქმის გამო

ოთხშაბათს ლონდონში დაიწყო სასამართლო მოსმენა ახმედ ზაკაევის საქმის გამო. ბრიტანეთის ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტონ, შეასრულონ თუ არა მოსკოვის თხოვნა რუსეთის ხელისუფალთათვის ზაკაევის გადაცემის შესახებ. ახმედ ზაკაევს ბრალად ედება 10 დანაშაული, მათ შორის, მკვლელობები, სხეულის მძიმე დაზიანებათა მიყენება და შეიარაღებული ამბოხების ორგანიზაცია.

როგორც ლონდონელი იურისტი ჯონ პარდი ამტკიცებს, „პირველ სხდომაზე არავითარ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ მიიღებენ. შემდეგ, 40 დღის განმავლობაში, ქვეყანამ, რომელიც ექსტრადიციას მოითხოვს, ჩვენ უნდა გამოგვიგზავნოს ოფიციალური მოთხოვნა ექემიგანილის გადაცემის შესახებ. ამ მომენტიდან მთელი იურიდიული პროცესის დამთავრებამდე, ჩვეულებრივ, დაახლოებით 40 დღე გადის“.

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, საშუალოდ, ექსტრადიციის ერთი მოთხოვნის განხილვას რამდენიმე თვე სჭირდება.

„საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს შინაგან საქმეთა მინისტრი. ეს ნიშნავს, რომ ასეთი საქმეების პოლიტიკურ ასპექტს ვერ უგულებელყოფ“, – ამტკიცებს ჯონ პარდი.

რუსეთის ხელისუფალნი აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, მიაღწიონ ზაკაევის ექსტრადიციას – თუნდაც, მეორე ცდით, მას შემდეგ, რაც დანიის სასამართლომ არასაკმაოდ საფუძვლიანად ცნო მისთვის წაყენებული ბრალდებები.

ასლან მასხადოვის ოფიციალური წარმომადგენლის საქმესთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტების პაკეტი უკვე მომზადდა და გაიგზავნა ლონდონში. რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა ორშაბათს იმედიანად განაცხადა: „დარწმუნებული ვართ, წარდგენილი საბუთები სავსებით საკმარისია ბრალდებული ზაკაევის ექსტრადიციისათვის“.

* * *

ბრიტანელი მსახიობი ვანესა რედგრეივი, რომელმაც იკისრა ვალდებულება, შეეტანა ზაკაევის გამოსაშვებად საჭირო გირაო – 50 ათასი გირვანქა (დაახლოებით 150 ათასი ლარი), დარწმუნებულია, რომ ზაკაევს არაფერი არ ემუქრება.

„ჩვენ გვყავან კარგი იურისტები, ჩვენ ხელთ გვაქვს ყველა საჭირო დოკუმენტი, – ამბობს ცნობილი მსახიობი, – და მე დარწმუნებული ვარ, რომ ბრიტანეთის სასამართლო მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას და გაათავისუფლებს ზაკაევს. რაც უნდა ილაპარაკონ, ზაკაევი არც ტერორისტია და არც მოთარეშე“.

თვით ახმედ ზაკაევი დაპატიმრების მომენტიდან ჟურნალისტებს არ შეხვედრია. ეს დღეები მან, როგორც საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, ვანესა რედგრეივის სახლში გაატარა.

სხვათა შორის, სკოტლანდ იარდის ცნობაში ზაკაევის დაპატიმრების შესახებ გრაფაში „დაპატიმრებულის ბინადრობის ადგილი“ აღნიშნულია ლონდონის ჩელსის რაიონი, სადაც რედგრეივი ცხოვრობს.



ფასიანი ქაღალდების კომისიის ახალი მეთაური

აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ფასიანი ქაღალდების ფედერალური კომისიის ახალ თავმჯდომარედ დანიშნა უილიამ დონალდსონი, საინვესტიციო ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

„ბილ დონალდსონი ძლიერი ხელმძღვანელი იქნება, მის წინაშე დგას ამოცანა, დაუცხრომლად იზრუნოს ჩვენი ქვეყნის კანონების შესრულებისათვის, არ დაუშვას კორპორაციული კორუფცია და დაიცვას ფასიანი ქაღალდების ბაზრების უზენაესი სტანდარტები“, – განაცხადა ბუშმა სამშაბათს.

დონალდსონი მაღალ სახელმწიფო პოსტზე შეცვლის ჰარვი პიტს, რომელიც 5 ნოემბერს გადადგა კომისიის 15-თვიანი ხელმძღვანელობის შემდეგ.

მთლიანად, საფონდო ბაზრის დარგის სპეციალისტები იწონებენ პრეზიდენტის საკადრო გადაწყვეტილებას. „იგი საკმაოდ რიგიანად იცნობს ამ სფეროს, ეს კი ნიშნავს, რომ შეიძლება, ძალიან კარგი კონტროლიორი გახდეს“, – ამბობს ჯეიმს ენჯელი, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის საფინანსო ფაკულტეტის პროფესორი.

საინვესტიციო დაფინანსების დარგში საქმიანობის გარდა დონალდსონი მუშაობდა, აგრეთვე, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის თავმჯდომარედ 1990-1995 წლებში, აგრეთვე სათავეში ედგა **Aetna** სადაზღვევო კომპანიას.

„ეს საინტერესო არჩევანია, – თქვა პეტ მაკგენმა, აქციონერთა მომსახურების ინსტიტუტის საგანგებო მრჩეველმა. – თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, მას ჯერჯერობით დიდად არ გამოუჩენია თავი სოლიდურ ხელმძღვანელად. ამიტომ, აქციონერთა თვალსაზრისით, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, როგორ შეასხამს ხორცს იგი ზოგიერთ საკანონმდებლო გადაწყვეტილებას“.

თეთრი სახლის ეკონომიკურ მრჩეველთა გუნდის მეთაურის პოსტზე ბუშის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, აგრეთვე, სტივენ ფრიდმანი. ეს სავარძელი გათავისუფლდა ლარი ლინდსეის წასვლის შემდეგ, რომელიც პარასკევს გადადგა, ფინანსთა მინისტრთან ო’ნილთან ერთად.

ეკონომიკური გუნდის გადახალისება, რომელიც ჯორჯ ბუშმა წამოიწყო, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესის დაჩქარებას, აგრეთვე მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში წარმატების უზრუნველყოფას.

კარტერმა ბუშსა და ბლერს აჯობა

ნორვეგიის ნობელის კომიტეტმა ჯიმი კარტერს გადასცა ის 946 ათასი დოლარი, რომელიც აშშ პრეზიდენტსა და დიდი ბრიტანეთის პრემიერს უნდა გაენაწილებინა.

ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჯიმი კარტერს, ყოფილ აშშ პრეზიდენტს, მშვიდობის პრემია გადაეცა „საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამკვიდრების საქმეში შეტანილი წვლილის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისათვის“. კომიტეტმა აღნიშნა, კერძოდ, ამერიკელი პოლიტიკოსის ძალისხმევა მისი პრეზიდენტობის პერიოდში (1977-1981 წ.წ.) ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო მორიგებათა მისაღწევად. პრეზიდენტის პოსტიდან წასვლის შემდეგ, კარტერმა განაგრძო მუშაობა სხვადასხვა კონტინენტზე კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის მის მიერ შექმნილი კარტერის ცენტრის ფარგლებში, რომელსაც 20 წელიწადი შეუსრულდა. იგი 65 ქვეყანაში მუშაობს. ნობელის კომიტეტის აღიარებით, ამერიკელი პოლიტიკოსი „იღვწოდა ბევრ ფრონტზე“ – ტროპიკული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლით დაწყებული და განვითარებადი ქვეყნების პროგრესის ხელშეწყობით დამთავრებული.

ნობელის ლაურეატის ოქროს მედლის, დიპლომისა და საკუთრივ პრემიის გადაცემის ცერემონიაზე კარტერმა მადლობა მოახსენა ნორვეგიის მეფეს ჰარალდ V, თავის ოჯახს, კარტერის ცენტრის თანამშრომელ კოლეგებს, აგრეთვე, ყველას, ვინც ცდილობს, ბოლო მოუღოს ძალადობასა და უდანაშაულო ადამიანთა ტანჯვა-ვაებას.

* * *

სულ პირველად, ნობელის მშვიდობის პრემია 1901 წელს მიენიჭა წითელი ჯვრის დამაარსებელს შვეიცარიელ ჟან-ანრი დიუნანს. სხვადასხვა დროს მისი ლაურეატები გახდნენ სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კიმ დე ჯუნი, დალაი ლამა, ლეხ ვალენსა, საშრა-ს პრეზიდენტი ფრედერიკ დე კლერკი, ბირმის ოპოზიციის ლიდერი ონ სან სუ კი და სხვები. 1990 წელს პრემია მიეკუთვნა მიხეილ გორბაჩოვს ბერლინის კედლის დანგრევისთვის. 1993 წელს მისი ლაურეატები გახდნენ შიმონ პერესი, იასირ არაფატი და იცხაკ რაბინი პალესტინასა და ისრაელს შორის ოსლოს სამშვიდობო შეთანხმებისათვის. ამის შემდეგ სერიოზულად დადგა საკითხი, რომ ჩამოერთმიათ პრემია ჯერ იასირ არაფატის, ხოლო შემდეგ შიმონ პერესისათვის. 2001 წელს პრემია გადაეცა გაეროს მისი ხელმძღვანელის კოფი ანანის სახით „უკეთ ორგანიზებული და მშვიდობიანი მსოფლიოსათვის“.

მშვიდობის ნობელის პრემიის პრეტენდენტთა რიცხვი წელს რეკორდულად მაღალი აღმოჩნდა და შეადგინა 156 კაცი. ჯიმი კარტერის კონკურენტებს შორის იყვნენ ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი, ნიუ-იორკის ყოფილი მერი რუდოლფ ჯულიანი, U2 ჯგუფის ლიდერი ბონო, ბილ კლინტონი, აგრეთვე, საერთაშორისო წითელი ჯვარი, ხსნის არმია, ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო ტრიბუნალი და სხვ. პრეტენდენტთა სრული სია, ჩვეულებრივ, საიდუმლოდ ინახება 50 წლის განმავლობაში, მაგრამ, ზოგჯერ მაძიებელთა ვინაობას უფრო ადრეც ასახელებენ ხოლმე. ნობელის პრემიის აღმასრულებელ დირექტორს ოლაფ ნოელსტადს არ დაუმალავს, რომ „11 სექტემბრის იერიშები გავლენას მოახდენს კომიტეტის არჩევანზე“. მშვიდობის პრემიის მთავარი კანდიდატები იყვნენ აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი. მათი დასახელების საბაბი გახდა ამ ორი პოლიტიკოსის ღვაწლი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე, მათი საქმიანობა მშვიდობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად.

მაგრამ ერაყში სამხედრო ოპერაციის გაჩაღებასთან დაკავშირებით ბოლო დროს მომხდარმა ამბებმა აიძულეს ნობელის კომიტეტის წევრები, მოეხდინათ არჩევანი კარტერის სასარგებლოდ. იგი ბუშის შეურიგებელი ოპონენტია და „ბოროტების ღერძის“ გამოცხადებისთანავე აკრიტიკებდა აშშ ახლანდელ პრეზიდენტს მეტისმეტად აგრესიული პოლიტიკისათვის.

რელიკვია

ჯიმი კარტერთან ერთად...

1985 წელს ამერიკის ხალხთა შორის მეგობრობის ორგანიზაციის — „ფრენდშიფ ფორსის“ მიწვევით ამერიკაში, ატლანტის შტატში იმყოფებოდა კულტურის მუშაკთა მცირე დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო ჩვენი ვოკალური კვარტეტი „ფიროსმანი“ (მამია ხატელიშვილის კვარტეტი). ერთ-ერთ კვირა დღეს მიგვიწვიეს ეკლესიაში, სადაც იმ დღეს წირავდა თავად ექს-პრეზიდენტი ჯიმი კარტერი.

ჩვენ შევასრულეთ ქართული საგალობლები და ერთი ზანგური სპირიჩუელსი. წირვის შემდეგ, ქართული სიმღერებით აღფრთოვანებულმა კარტერმა ჩვენთან რამდენიმე სამახსოვრო სურათი გადაიღო.

ეს ფოტოსურათი ამ დღეებში ჯიმი კარტერისათვის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მინიჭებამ გამახსენა.

ომარ ჩიტაია.

სურათზე: ჯიმი კარტერი მეუღლესთან და კვარტეტის წევრებთან – ომარ ჩიტაია, თენგიზ ზაალიშვილი, ნიკოლოზ კაპანაძე და მიხეილ მცურავიშვილთან ერთად.

კიშინიოვი მამულიშვილებს დაზრდის

მოლდავეთის სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ყოველდღე შესრულდება ეროვნული ჰიმნი – იმ შემთხვევაში, თუ რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი შესწორება.

ინიციატივა მომდინარეობს მოლდავეთის მთავრობისაგან, რომელიც იმედოვნებს, რომ ახალი წესები ხელს შეუწყობს ბავშვების პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდას და ასწავლის სახელმწიფო ხელისუფლების სიმბოლოების პატივისცემას.

შესწორება შეიტანა მოლდავეთის პრემიერ-მინისტრმა ვასილ ტარლევმა. შეერთებულ შტატებში მოგზაურობის შემდეგ, მან გამოსცა ბრძანებულება, რომელიც მოხელეებს ავალდებულებს, ატარონ სახელმწიფო დროშის ემბლემიანი სამკერდე ნიშანი მათი ამერიკელი კოლეგების მაგალითისამებრ.

* * *

ამავე დროს, წერს გაზეთი „სანდი ტაიმსი“, დიდ ბრიტანეთში ყმაწვილთა ნახევარზე მეტს ქვეყნის ეროვნული ჰიმნი უმაქნისად მიაჩნია, და ახალგაზრდების მხოლოდ მესამედი ამაყობს თავისი ქვეყნის წარსულით.

გაზეთი იმოწმებს განათლების მიღწევათა შეფასების საერთაშორისო ასოციაციის კვლევის შედეგებს, რომლის დროსაც სწავლობდნენ 14 წლის ყმაწვილების დამოკიდებულებას მოქალაქეობისა და ეროვნული თვითიდენტიფიკაციისადმი მსოფლიოს 28 ქვეყანაში.

სოციოლოგებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ბრიტანელი მოზარდები მსოფლიოს ყველაზე არაპატრიოტ ყმაწვილთა რიცხვს განეკუთვნებიან. ეროვნული სიამაყის გამოვლენისადმი აპათიით მათ სჯობნიან მხოლოდ ბელგიელი, გერმანელი, შვეიცარიელი და შვედი თანატოლები. პატრიოტობის მხრივ პირველ ადგილზე არიან ბერძენი ყმაწვილები, რომლებმაც გამოავლინეს ყველაზე დადებითი დამოკიდებულება თავიანთი ქვეყნისადმი; მათ მოსდევენ კვიპროსელები, ხოლო მესამე ადგილი გაიყვეს ჩილელმა და პოლონელმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ბრიტანეთში მოწყობილი კვლევის სავალალო შედეგები შეიძლება აიხსნას ქვეყნის სკოლებში ისტორიის არაადეკვატური სწავლებით. ოთხი თვის წინათ, ბრიტანეთის ეროვნული სასკოლო პროგრამის ნაწილი გახდა მოქალაქეობის გაკვეთილები, მაგრამ, იმისათვის, რომ მათ რეალური ნაყოფი გამოიღონ, წერს „სანდი ტაიმსი“, ახალმა განათლების მინისტრმა ჩარლზ კლარკმა არაორთოდოქსული ღონისძიებები უნდა განახორციელოს.

სინჰუა იუწყება

ჩინელები ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საკუთარ გარეგნობას. ამას მოწმობს სპეციალური გამოკვლევის ორგანიზატორთა მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ჩინეთის კოსმეტიკის დარგის შემოსავლის ზრდის ტემპმა გადაამეტა მთლიანი შინაგანი პროდუქტის ზრდას, და მომავალი ხუთი წლის განმავლობაში ჩინელების კოსმეტიკის ხარჯების მოცულობა შეიძლება, გაორმაგდეს.

აზიის კოსმეტიკის ასოციაციის თავმჯდომარემ ჯაო ჯენგომ აღნიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების კვალობაზე ჩინელები სულ უფრო მეტად ზრუნავენ თავიანთი გარეგნობისათვის. იყო საუცხოოდ ჩაცმული, გქონდეს კარგი მანერები და გამოიყურებოდე მიმზიდველად – ამას ისახავენ მიზნად თანამედროვე ჩინელი ქალები.

ბევრი ჩინელი არ იშურებს ფულს თავისი გარეგნობის გაუმჯობესებისათვის. ბოლო წლების მანძილზე ჩინეთის ეკონომიკურად განვითარებულ ქალაქებში სულ უფრო მეტი მეწარმე და სხვა ცნობილი ადამიანი სარგებლობს პირადი კოსმეტოლოგის მომსახურებით. თანამედროვე ჩინელი ქალების უმრავლესობა მოდების ჟურნალებმა გაიტაცა.

საგულისხმოა, რომ ჩინეთის ბევრ უმაღლეს სასწავლებელში შეუდგნენ კოსმეტოლოგიისა და კარგი ტონის წესების სწავლებას.

არასრული მონაცემებით, ამჟამად ჩინეთში კოსმეტოლოგიასა და სხვა მომიჯნავე დარგებში 20 მილიონზე მეტი კაცია დასაქმებული.

რამდენი ღირს ნამდვილი სიყვარული

იანვარში ამერიკის ეკრანებზე გამოდის ახალი სატელევიზიო შოუ, რომელსაც იღებენ ამჟამად პოპულარული „რეალური ტელევიზიის“ ჟანრით.

„ცოცხალი“ სერიალის გმირები არიან 20 ქალი და ერთი მამაკაცი, სახელად ჯო.

ქალებს უთხრეს, რომ ამ პლეიბოის მემკვიდრეობად ერგო 50 მილიონი დოლარი, და ისინი, რაც ძალი და ღონე აქვთ, ცდილობენ, მოინადირონ მდიდარი სასიძოს გული. სინამდვილეში ჯო არის მშენებელი, რომელიც წელიწადში 19 ათას დოლარს იღებს.

მოქმედება მიმდინარეობს საფრანგეთში, ერთ გასაიდუმლოებულ ადგილას. კომპანია **Fox-TV**-მ, რომელიც შოუს იღებს, ორი წლის წინათ გამოუშვა სკანდალური პროგრამა „ვის სურს, მისთხოვდეს მულტიმილიონერს“. თავიანთ ახალ წამოწყებას ფილმის წარმომადგენლებმა უწოდეს „ოქროს მაძიებელი ქალები და ასენიზატორი მამაკაცები“.

შოუს მონაწილე გოგონები სპეციალურად ჩაფრინდნენ საფრანგეთში, სადაც იშვიათ კერძებს შეექცევიან და ცხენით სეირნობენ მიწაზე, რომელიც მათი აზრით, ნანატრ საბედოს ეკუთვნის.

და, თავიდანვე მხოლოდ მაყურებლებმა იციან, რომ ჯოს საბანკო ანგარიშზე ერთი ცენტიც არ გააჩნია.

შვიდი სერიიდან პირველს **Fox-TV** პროგრამა 6 იანვარს გაუშვებს ეთერში. მაიკლ დარნელის თქმით, რომელიც ტელეკომპანიაში უძღვება „რეალური ტელევიზიის“ განყოფილებას, ჩანაფიქრის არსი ის არის, რომ „ჩამოგლიჯოს ნიღაბი“ შოუს მონაწილე ქალებს. „ჩვენ დავადგენთ, მართლაც სიყვარულის გულისათვის აკეთებენ ყოველივე ამას, თუ არა“, – ამბობს მენეჯერი.

თითოეულ დამარცხებულ ქალს ჯო აჩუქებს თითო საიუველირო ნაკეთობას; რაც უფრო გვიან ამოირიცხება ესა თუ ის პრეტენდენტი საბედოს მაძიებელთა სიიდან, მით უფრო მეტი იქნება საჩუქრის ღირებულება.

ჯო უნდა იყოს აბსოლუტურად პატიოსანი, როდესაც ქალებს ესაუბრება თავისი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტზე, მათ შორის, წინა რომანებზე. ერთადერთი, რაზეც არ უნდა ილაპარაკოს, – თავის სიღარიბეზე.

ფინალურ სერიაში ჯო ამოირჩევს იმ ერთადერთს, რომელთანაც სურს იქონიოს ნამდვილად მჭიდრო ურთიერთობა. თუ ქალი თანხმობით უპასუხებს, მაშინ ჯო... სიმართლეს ეტყვის.

„ბოლოს და ბოლოს, იგი ვალდებულია, უთხრას ქალს, რომ არაფერი აბადია, – ამბობს დარნელი. – და მაშინ, ჩვენ ვნახავთ, მოინდომებს თუ არა ქალი ამ შემთხვევაში დარჩეს ჯოსთან. ეს არის შესანიშნავი შოუ შესანიშნავი ფინალით“.

კომპანია **Fox Entertainment**-ის პრეზიდენტის დეილ ბერმანის თქმით, „ეს არის საინტერესო შემობრუნება ამ ტიპის შოუებში და, საერთოდ, „რეალურ ტელევიზიაში“. მან დასძინა, რომ პროგრამა აუცილებლად გამოიწვევს წინააღმდეგობრივ გამოხმაურებას და მოიზიდავს მაყურებელთა დიდ ყურადღებას. ამასთან, ამბობს დეილ ბერმანი, თამამი „ჯო-მილიონერი“ იქნება ერთადერთი, გაგრძელების გარეშე.

ამ ცოტა ხნის წინათ, **ABC** კომპანია გადმოსცემდა ანალოგიურ შოუს, რომელიც წელს ამერიკის ტელევიზიის ნამდვილი ჰიტი გახდა. მას ეწოდებოდა „ბერბიჭა“ და ამ შოუში ქალები ერთმანეთს ეცილებოდნენ ნამდვილ მდიდარ მამაკაცზე გათხოვების უფლებას.

2002 წლის 18 დეკემბერს 15 საათზე გაიმართება ცეკავშირის თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეთა საერთო კრება

(თავისუფლების მოედანი № 7, ცეკავშირის მცირე დარბაზი).

დღის წესრიგი:

1. შპს „დელისი“-ს დირექტორის ბატონ ბესარიონ შანიძის განცხადების შესახებ.
2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეთა გაწევრიანების მიმდინარეობის შესახებ.
3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივში „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
4. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ მიღებული დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

ცეკავშირის ყოფილი სააქციო საზოგადოება „თბილისის“ აქციონერებს, რომლებსაც სურვილი აქვთ იყვნენ ცეკავშირის თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიე, ვთხოვთ გამოცხადდნენ კოოპერატივის გამგეობაში (ოთახი № 523, ტელეფონი: 55-21-82).

რას წერენ ბრიტანული გაზეთები

ვინ მოიგონა, თოვლის ბაბუა არ არსებობსო?!

შერი ბლერი: „მე სუპერქალი ხომ არა ვარ?!“

სკანდალური ისტორია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მეუღლესთან დაკავშირებით არა და არ მთავრდება, თუმცა, შერი ბლერი შეეცადა, ბოლო მოეღო მითქმა-მოთქმისთვის და ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა.

თავის განცხადებაში, რომელსაც „ტაიმსი“ ერთ-ერთ ყველაზე უჩვეულოს უწოდებს ბრიტანეთის პოლიტიკის ისტორიაში, მან დაიჩივლა, რომ ძნელია, ერთდროულად იყო წამყვანი პოლიტიკოსის ცოლი, იურისტი, დიასახლისი, საქმიანი ადამიანი და დედა. შერი ბლერის თქმით, სწორედ დედის ინსტინქტმა და სურვილმა, არ აღელვებინა შვილი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შეუდგა სწავლას კოლეჯში, აიძულა იგი, გამოეჩინა თავშეკავება ჟურნალისტთა წინაშე, რომლებმაც ამოატივტივეს ისტორია მისი საფინანსო გარიგებებისა გავარდნილი თაღლითის პიტერ ფოსტერის შუამავლობით.

პრემიერის მეუღლის დუმილი პრესამ ბრალეულობის ნიშნად აღიქვა, და შერი ძლივს იკავებდა თავს, როდესაც ლაპარაკობდა ჟურნალისტთა მონაწილეობაზე ამ საქმეში. ამასთან, გამოსვლის დროს, მას რამდენჯერმე აუვარდა ტირილი, რითაც დაუყოვნებლივ გამოიწვია ყველა იმ დედის სიმპათიები, ვინც იძულებულია, ოჯახსაც მიხედოს და იმუშაოს კიდეც.

„მე სუპერქალი არა ვარ, და გთხოვთ, მაპატიოთ“, – მოჰყავს „ინდეპენდენტს“ შერი ბლერის სიტყვები, და ამტკიცებს, რომ არავინ არ იმსახურებს ისეთ ტკივილს, როგორიც უკანასკნელ კვირებში მიაყენეს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ცოლს.

ხოლო „ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ „შერის თავს დაესხნენ აფთრები, რომლებსაც ტონიც კი ვერ აოკებს“, და ამ აფთრებს რეპორტიორები წარმოადგენენ. გაზეთი ცდილობს, შერი ბლერის ქცევაში გაავლოს მიჯნა უჭკუობასა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას შორის, და უჭირს ამის გაკეთება. „ტაიმსი“ აღიარებს, რომ ბლერების ოჯახის მიმართ პრესის ინტერესი ხშირად მეტისმეტი და არაჯანსაღია, ისევე, როგორც ბრალდებები მათი მისამართით ყოველთვის არ არის დასაბუთებული, მაგრამ ახლანდელი საქმე ისეა აბურდული, რომ მის გარკვევას საკმარისი დრო დასჭირდება, ამიტომ, სკანდალს ჯერ კიდევ ბევრი უკლია დასრულებამდე.

იყო თუ არა თოვლის ბაბუა?

დასასრულ – კიდევ ერთი ბოდიშებიანი საშობაო ისტორია. ამჯერად, ბოდიშს იხდის მეიდენჰედის წმიდა მარიამის ეკლესიის ვიკარი ლი რეიფილდი.

„დეილი ტელეგრაფი“ წერს, რომ სპეციალურად ბავშვებისათვის მოწყობილი წირვის დროს ღირსმა რეიფილდმა – კაცმა არ იცის, რატომ – განაცხადა, მეცნიერება უარყოფსო თოვლის ბაბუის არსებობას იმიტომ, რომ მთელი თავისი ირმის მარხილებიანად იგი უბრალოდ ფიზიკურად ვერ შეძლებდა ყველა იმ საჩუქრის ჩამოტანას, რომლებსაც ბავშვები მოელიან მისგან.

რეიფილდმა არ დაიზარა და მოჰყვა მათემატიკურ გაანგარიშებებს, რომელთა საფუძველზე გამომდინარეობდა, რომ თოვლის ბაბუამ უნდა იაროს ბგერის სიჩქარეზე – 3-ათასჯერ უფრო მეტი სიჩქარით, რათა დაარიგოს 378 მილიონი საჩუქარი 31 საათში, და რომ, ასეთი სიჩქარის შედეგად ირმები, მარხილები და თვით თოვლის ბაბუაც წამის მეათასედში გაიჭყლიტებოდნენ.

ბევრი ბავშვი აღრიალებული წავიდა ქადაგებიდან. პატარები მწარედ ტიროდნენ თოვლის ბაბუის მძიმე ხვედრისა და იმის გამო, რომ უსაჩუქროდ დარჩებოდნენ. როდესაც მღვდელმა ეს გაიგო, თვითონაც აემალა ძარღვები და გადაწყვიტა, საჯაროდ მოეხადა ბოდიში და უარეყო თავისი მათემატიკური გაანგარიშებანი იმათ წინაშე, ვინც ასე შეაშინა და ვისაც ასე დასწყვიტა გული.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა

არჩილ მანჯგალაძემ.

გასტროლი

თეატრის ენერგია

თელავის უძველეს, ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან შეხვედრა, როგორც ჩანს, მოენატრა დედაქალაქის მაყურებელს და, ალბათ, ამით იყო გამოწვეული ის დიდი ინტერესი, რომელიც თელაველთა მცირე გასტროლმა აღუძრა საზოგადოებრიობას. საკმაო წლები გავიდა, რაც გასტროლი არ დარქმევია მათ სტუმრობას, დროდადრო თითოოროლა სპექტაკლი კი თეატრის სახეს ვერ წარმოაჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ამ მოვლენის მაუწყებელი აფიშები საკმაოდ გვიან და ისიც კანტიკუნტად გამოჩნდა თბილისში, რკინიგზელთა კულტურის ცენტრის დარბაზს მაყურებელი სამი საღამოს მანძილზე არ აკლდა. სცენაზე კი თელაველებმა ვრცელი რეპერტუარიდან სამი ახალი ნამუშევარი გაითამაშეს, რამაც თბილისელებს გარკვეულწილად საშუალება მისცა წარმოედგინათ, თუ რა გზას ადგას დღეს თეატრი, რა შემოქმედებით ესთეტიკას მისდევს, როგორია მისი დღევანდელი სახე.

ინტერესს აძლიერებდა ისიც, რომ გასული თეატრალური სეზონიდან დასს სათავეში ჩაუდგა თელაველთა საყვარელი მსახიობი ვანო იანტბელიძე, იგი სამი ათეული წელია თელავში მოღვაწეობს. მსახიობმა ამჯერად დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის „როლიც შეითავსა" და როგორც თელაველები ამბობენ, თეატრის ცხოვრებაში ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო.

ასეა თუ ისე, დღევანდელ პირობებში პერიფერიებს შორის თელავის თეატრი განსაკუთრებული სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა, ამას მოწმობს მისი ახალი და ფართო რეპერტუარი. მარტო ერთი წლის მანძილზე თეატრში ექვსი ახალი სპექტაკლი დაიდგა დიდ სცენაზე (აქვთ მცირე სცენაც). თეატრის გამოცოცხლებაში არ შეიძლება არ აღინიშნოს კახეთის მხარის ხელმძღვანელთა თანადგომა და ხელშეწყობა. ამდენად, გასტროლი თბილისში ბოლო ერთი თეატრალური სეზონის არასრული შემოქმედებითი ანგარიშია. საგულისხმოა ის, რომ თეატრში ახალი თაობა მოვიდა და ამჯერად იგი ძველთან ერთად პირველად წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე.

თამაზ ჭილაძის „მშვიდობით, ლომებო", „ფანტაზია აღმოსავლურ თემაზე" („ალადინის ლამპარი") და ლაშა თაბუკაშვილის „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი" – აი, ამ სამი წარმოდგენით ჩამოვიდა თელავის სახელმწიფო თეატრი თბილისში.

ცნობილ მწერალსა და დრამატურგს თამაზ ჭილაძეს კომიკური ფანტასმაგორია „მშვიდობით, ლომებო" საგანგებოდ თელავის დასისთვის დაუწერია. ამავე ავტორის იგივე ჟანრის პიესა „ნახვის დღე" რამდენიმე წლის წინათ ამ სცენაზე რეჟისორმა გოგი ჩაკვეტაძემ გააცოცხლა. ამ სპექტაკლმა თავის დროზე გამარჯვება მოუტანა შემოქმედებით ჯგუფს და ღირსეულად დაიმსახურა კიდეც სახელმწიფო პრემია. და აი, გოგი ჩაკვეტაძემ კვლავ თამაზ ჭილაძეს მიმართა.

„მშვიდობით, ლომებო" მწერლის ერთ-ერთი ბოლო, ძალზე აქტუალური ნაწარმოებია, რომელშიც ჩვენი ყოფიერებისათვის დამახასიათებელი მძიმე რეალობა იკითხება უამრავი პრობლემითა და სათქმელით. უპატრონო, მოხუც ინვალიდთა თავშესაფარში ტრაგი-კომიკური სახეების მთელი გალერეაა. ამ სამყაროში მათხოვრობა, სიგიჟე და მეძავეობა ჩვეულებრივ ნორმად არის ქცეული. აღარც თავმოყვარეობა, აღარც ეროვნული სიამაყე. ლომიც კი აღარ „ლომობს". დაუძლურებული ცხოველის განწირული ამოძახილიც „მიშველეთ", არავის აღელვებს...

სცენა სპექტაკლიდან „ფანტაზია აღმოსავლურ თემაზე".

სამაგიეროდ, აუღელვებელი და გულგრილი არ რჩება მაყურებელი, რომელსაც ამ გროტესკულ სცენებსა და მოჩვენებით მხიარულებაში უდიდესი სევდა ეუფლება, სევდა, რომელიც აფორიაქებს და არ ასვენებს... ამ ნამუშევრით თელავის თეატრმა თქვა თავისი სადღეისო სათქმელი და ეს მსახიობთა ორივე თაობამ ერთნაირად მოახერხა საკმაოდ ნიჭიერად, საკმაოდ პროფესიულად. ამიტომაც არ დაიშურა დარბაზმა გულწრფელი ტაში რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების ვანო იანტბელიძისა და თემურ ხუნაშვილის ხელოვნების, ზურაბ ლომიძის, ნინო კურტანიძის, მაია ბესტაევაშვილის, ნათია გიგოლაშვილის, ზვიად აბაშიძის, ნონა ხუმარაშვილის, პაატა გულიაშვილის, მალხაზ ჩიდრაშვილის, მაია ბიჩელაშვილის, მაკა გრემელაშვილის, ნინო ხელხელაურის, იზა მუმანაშვილის, აგრეთვე, მხატვარ თამაზ როსტომაშვილის მიმართ.

სპექტაკლს დაესწრო პიესის ავტორი **თამაზ ჭილაძე**. „ძალიან კმაყოფილი ვარ წარმოდგენით, – მითხრა მან საუბარში. – პრემიერა გაზაფხულზე ხუთ აპრილს გაიმართა და მას შემდეგ იგი კიდევ უფრო დახვეწილა, შესანიშნავად ითამაშეს. გოგი ჩაკვეტაძე ნიჭიერი რეჟისორია და ასევე უდავოდ ნიჭიერია დასი, რომელიც მე ძალიან მიყვარს. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დარბაზის რეაქცია" და კიდევ „მართალია, სხვების მსგავსად მეც არ ვიცი, რა არის ნამდვილი ბედნიერება, მაგრამ რასაც ბედნიერებას ვუწოდებ და ბედნიერებად ვთვლი, უპირველეს ყოვლისა, იმ ძვირფასი ადამიანების სახელთანაა დაკავშირებული, თავიანთი უანგარო, თავდადებული შრომით შემოქმედებით ძალას რომ გვმატებენ და ხვალინდელი დღის იმედს გვანიჭებენ, რაც ამჟამად ასე აუცილებელია ჩვენთვის.

ყოველთვის, რატომღაც, აუმღერებელი სიხარულის გრძნობა მეუფლება, როცა თელავის თეატრზე ვფიქრობ, თეატრზე, რომელიც ჩვენი სულიერი ცხოვრების, ქართული კულტურის ერთ-ერთი გაუტეხელი ბასტიონია, უნიჭიერესი ადამიანებით აშენებული და დღესაც ასეთივე ადამიანებით განმტკიცებული. ვსარგებლობ შემთხვევით და მისი დასის თითოეულ წევრს მადლობა მინდა ვუთხრა მეგობრობისთვის, სიკეთისთვის, სიხარულისთვის, ვუსურვებ ჩემს საყვარელ თეატრს მრავალსა და მრავალ ახალ გამარჯვებას. ვიდრე საქართველოში ასეთი ბასტიონები დგას, მას ვერავინ მოერევა".

მხიარული, ჯადოსნური ზღაპრის სამყაროში მიიწვია მაყურებელი თეატრმა წარმოდგენით „ფანტაზია აღმოსავლურ თემაზე", რომელიც ძირითადად ცნობილი ზღაპრის „ალადინის ლამპრის" სცენური ვერსიაა. იგი დადგა თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილმა. მასვე ეკუთვნის ინსცენირებაც და მუსიკალური გაფორმებაც. მხატვარია ეკა მალალაშვილი.

სცენაზე აღმოსავლური ყოფისათვის დამახასიათებელი სიჭრელე და ფერადოვნებაა. აქ მთელი სამსახიობო დასია წარმოჩენილი ნაირგვარი, მშვენიერი სამოსელით. თითქმის ყველა მსახიობი მღერის და ცეკვავს. წარმოდგენა ყველა ასაკისა და გემოვნების მაყურებლისთვის არის გათვლილი.

სცენა სპექტაკლიდან „მშვიდობით, ლომებო".

აი, რას წერს ამ სპექტაკლის შესახებ ხელოვნებათმცოდნე მანანა კორძაია: „ალადინის ლამპრის" არსი – სინათლისკენ სწრაფვა და სიყვარულის ზეიმი – ანგრევს ყოველგვარ ბარიერს და აერთიანებს ყველას – სცენაზეც და დარბაზშიც. თუმცა, ამ მარადიულ სიმბოლოებთან მიახლოების გზები განსხვავებულია და არაერთმნიშვნელოვანი სპექტაკლში"...

ფანტაზიითა და გამომგონებლობით მდიდარი დადგმა უთუოდ ბევრს მოიგებდა, რომ დახვეწილიყო ზოგიერთი გაჭიანურებული ეპიზოდი, რომელიც დროდადრო სპექტაკლის რიტმს არღვევს.

დრამატურგ ლაშა თაბუკაშვილის საკმაოდ გახმაურებული პიესით „მერე რა რომ, სველია, სველი იასამანით" მიუბრუნდა თელავის თეატრს მრავალი წლის განშორების შემდეგ რეჟისორი ლევან სვანაძე. მან თავისი სარეჟისორო კარიერა სწორედ ამ თეატრში დაიწყო ორი სადიპლომო ნამუშევრით. პირველი ნაბიჯები წარმატებული გამოდგა.

ლაშა თაბუკაშვილის პიესის ხორცშესხმით დასმა სერიოზული ნამუშევარი წარმოადგინა. დადგმაში, ისევე, როგორც პიესაში, ნათლად გამოიკვეთა თაობათა მორის წინააღმდეგობრივი ურთიერთობა. დაბნეული და ხელჩაქნეული ახალგაზრდობა მიჰყვება ბინძური ცხოვრების მორევს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ახერხებს მისგან თავის დაღწევას ნანატრ საქართველოზე ოცნებითა და მისი აშენების იმედით.

ამ სპექტაკლში დამაჯერებელი სახეები შექმნეს ახალგაზრდა მსახიობებმა პაატა გულიაშვილმა, ზვიად აბაშიძემ, მალხაზ ჩიდრაშვილმა, ნათია გიგოლაშვილმა, მაია ბესტაევაშვილმა. მათი თამაში აშკარა გულწრფელობით გამოირჩეოდა და მაინც არ შეიძლება არ გამოიყოს პაატა გულიაშვილის ხალასი ნიჭი, წრფელი იუმორი, პლასტიკა, იგი ბოლომდე იხარჯება სცენაზე. ამიტომაც, მაყურებელმა სპექტაკლის დასასრულს განსაკუთრებული ოვაცია შეაგება მას. იგი ამავე თეატრის მსახიობის ავთანდილ გულიაშვილის ვაჟია და თეატრალურ გარემოშია გაზრდილი.

– „მინაგანად მუდამ თელავის თეატრისთვის ვემზადებოდი. რაღაცას ვსწავლობდი, რაღაცას ვაკეთებდი და მაინც ვიცოდი, რომ აქ მოვიდოდი. არ შეიძლება თელავის თეატრში დაიბადო, გაიზარდო და აღარ დაუბრუნდე მას. მე ვერ ვიტყვი, რომ რაღაც გამორჩეული გეგმები მქონდა. უბრალოდ, მუდამ ასე ხდება – როცა სახლში ბრუნდები, გხვდება პატრონი და როგორ მზრუნველობას გამოიჩენს, ამაზე ბევრია დამოკიდებული" – ამბობს იგი.

ამ სიტყვებში, ვფიქრობ, მთელი მისი თაობის სათქმელია გაცხადებული, თაობისა, რომელმაც ახალი სუნთქვა მოიტანა თეატრში. მათ კარგი და მზრუნველი პატრონი დახვდათ უკვე გამობრძმედილი და ხალხის საყვარელი, აღიარებული მსახიობების სახით, რაც იგრძნობა ყოველ სპექტაკლში. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას გაუათკეცებს. ახლა მით უფრო, როცა თეატრი უკვე აკადემიურად იწოდება. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, თელაველთა ერთ-ერთ სპექტაკლს „ალადინის ლამპარს" დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და ამ ღირსსახსოვარი ფაქტის შესახებ მან წარმოდგენის დასასრულ აუწყა საზოგადოებრიობას.

იმედია, ამიერიდან თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი ახალი შემოქმედებითი წარმატებებით გაახარებს თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლებს, ფართო მაყურებელს.

სცენა სპექტაკლიდან „მერე რა რომ სველია, სველი იასამანი".

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ლევან ლომაძის ფოტო.

ხუთშაბათი
12 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 10.00 მხ. ფილმი **"დაცემა"** 11.30 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნებრივი დიდებულება" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი **"რვაფეხა"** 13.00 ნაშუადღევს 14.05 "ინგლისური ენის გაკვეთილი" 14.35 "თბილისი და თბილისელები" 15.15 მხ. ფილმი **"პარმის სავანე"** (1-ლი სერია) 16.40 დოკ. ფილმი "მშვიდობის იმედით" 17.10 რამპა 17.15 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 17.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ჯანმრთელობა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი **"რვაფეხა"** 22.00 "დრო და ფული" 22.05 "საქართველო არის ესე" 22.30 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ირგვლივ" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მხ. ფილმი **"ლოლა"** 01.40 ქართული ენის გაკვეთილი

2

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 ისტორიანი 21.00 შვიდეული 22.10 პიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი **"სამიზნე"**

07.00 მუსიკა 07.30 ჯადოქარი 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ხალხის პირისპირ 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 ჩემპიონთა ლიგა 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 პანანინა ონავრები 18.45 ჰერაკლე 19.10 მედისონის სკოლა 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 "ვის უნდა ოცი ათასი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი **"როკ-ვარსკვლავი"** მთ.როლებში მარკ უოლბერგი, ჯენიფერ ენისტონი 02.10 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი **"სამყარო სულები"** 10.20 მხ. ფილმი **"ბლეკჯეკი"** 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"ანგარებიანი ქორწინება"** 22.15 მხ.ფ. **"ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა"** 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"მაიკლი"** 13.30 მხ. ფილმი **"ფლიუკი"** 15.00 მხ. ფილმი **"კაიროს ლალი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"განდიდების მანია"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"კურდღელი როჯერი"** 22.30 მხ. ფილმი **"რეალობა იკბინება"**

ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20, 20.00 მსოფლიო სპორტი 12.25, 21.00 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "იდენ-ტვ" 23.00 ფსიქო-პორტრეტი 00.00 მხ.ფ. **"ფეხბურთი"**

08.00 ტოროლა 10.00 გამ. ინფორმატორი 11.00 გამ. მუსათეული 11.45 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"კაფე მამბო"** 19.00 გამ. ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 21.00 მუსათეული მიქსი 21.45 ჩაძირობანა 22.45 საუკეთესო პატარა დიდებები 23.00 სველი ხაზი 00.00 ფილმი ბრავო **"K-19 "** 01.45 ფილმი ღამურა **"პირადი მცველები"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.35, 16.20, 17.30, 21.00, 21.45, 23.40 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 68-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** 13.00 მხ. ფილმი **"დუბლიორი"** 14.50 მხ. ფილმი **"წულოვანი თავი"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 49-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" მე-20 სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაპრაზადი" მე-20 სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 69-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** მე-6 სერია 21.10 დოკ. ფილმი-ბალეტი "ფაივ დანსი, - მარტა გრეჰემი" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "სანკტ-პეტერბურგი ჩრდილოეთის ვენეცია" 22.00 მხ. ფილმი **"ორმაგი ფსონი"** მთ. როლებში ჯეიმს სპეიდარი, გადი პატინკინი 00.00 მხ.ფილმი **"საჰაერო განგაში"** მთ. როლებში როდ ჯოულარდი, ქრისტინა ლოქანი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მხატვრული ფილმი **"დები"** 10.50 ფანტასტიკა **"კაპიტანი ნემო"** 3 სერია 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 სათავგადასავლო ფილმი **"ზევსი და როქსანა"** 13.45 დოკუმენტური ფილმი 14.35 კომედია **"მუდამ მზად ვარ"** 16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი 17.10 კომედია **"ვერაფერს ვხედავ, არაფერი მესმის"** 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 თრილერი **"საიდუმლო"** 21.10 დოკუმენტური ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.05 ტელესერიალი **"ბინძური ცეკვები"** 3 სერია 01.10 მელოდრამა **"შოუ მარტოხელა მამაკაცისთვის"** 03.30 მხატვრული ფილმი **"ოქროს მტევარი"**

VII არხი

09.10 მელოდია 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 10.45 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 10.55 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით 11.30 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 11.55 "ბიორითმი" - მიხეი და ჯუმანჯი თბილისში 12.15 ანიმაცია 12.35 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.15 დისნეი და მისი მეგობრები 13.35 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "პაემანი" 20.35 მოკლედ... სპორტი 20.40 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 21.15 "ღამის კაპრიზი" - თემა: მე გავკოტრდი 22.15 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.55 "კინოკლუბი " - **"მტერთან საწოლში"**. ა.შ.შ. 1993 წელი. კომედია. რეჟისორი - ჯოზეფ რუბენი. მთ. როლში: ჯულია რობერტსი. 00.45 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.00 "ბიორითმი" - მიხეი და ჯუმანჯი თბილისში

პარასკევი
13 დეკემბერი

07.30 ალიონი 09.45 დრო და ფული 10.00 მხ. ფილმი **"ლოლა"** 11.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 სერიალი **"რვაფეხა"** 13.00 ნაშუადღევს 14.05 "მხოლოდ კლასიკა" 15.15 მხ. ფილმი **"პარმის სავანე"** მე-2 სერია 16.40 დოკ. ფილმი "აფრიკის ბუნებრივი დიდებულება" 17.05 50-50 17.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 18.00 ვესტნიკი 18.20 ბასტი-ბუბუ 18.40 "ენა დედაა ერისა" 19.05 "ვიდეოპატრული" 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.00 სერიალი **"რვაფეხა"** 22.00 "დრო და ფული" 22.15 "მრავალსახეობა" 23.00 "დღის ბოლოს" 23.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.00 მხ. ფილმი **"მედეა"**

2

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 საქართველო არის ესე 21.00 დოკ. ფილმი 21.20 აფხაზეთის ტელევიზია 22.10 პიტ-პარადი 22.20 მხ. ფილმი **"ბავშვებისათვის 16 წლამდე"**

07.00 მუსიკა 07.30 პანანინა ონავრები 08.00 დილა მშვიდობისა 09.40 ქალთა ქვეყანა 10.40 გურმანთა მეგზური 11.10 ვის უნდა ოცი ათასი 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ქალთა ქვეყანა 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 18.20 პანანინა ონავრები 18.45 ჰერაკლე 19.10 მედისონის სკოლა 20.05 სერიალი **"მაცდური სიყვარული"** 22.00 "ხალხის პირისპირ" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი **"ალისფერი ვარდი"** მთ.როლებში ნენსი ტრევისი, მეტ კისლერი 04.10 კლასიკა.

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 აღსავალი 08.20 ანონსი, მულტფილმი 08.30 მხ. ფილმი **"ანგარებიანი ქორწინება"** 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 10.20 მხ. ფილმი **"ასტერიქსი და ობელიქსი: მისია კლეოპატრა"** 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. **"ექსპერტი"** 22.15 მხ.ფ. **"ძმის მოსაძებნად"** 00.30 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"კურდღელი როჯერი"** 13.30 მხ. ფილმი **"რეალობა იკბინება"** 15.00 მხ. ფილმი **"ჭკვიანი უილ ჰანტინგი"** 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი **"ლტოლვილი მატარებელი"** 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი **"განკიცხულნი"**

ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 პროგრამა "მსოფლიო სპორტი" 12.25 სალონი 14.00 ექიმი გვირჩევს 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 "მომავალი" 20.00 გადაცემა "ზვალ - საქართველოს პოლიტიკური ანატომია" 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.30 "გამარჯობა" 23.15 ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"ხასიათი"**

08.00 ტოროლა 08.20 გამ. ინფაქტი 09.30 გამ. კვირის საუკეთესო ხულიგანი 11.00 გამ. მუსათეული 11.45 13.45 პაუზის გარეშე 13.45 მუსიკა 17.00 ფილმი კომედია **"ბედის საჩუქარი "** 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 რუსული მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი კინოობანა 22.45 ინფაქტი 23.00 ინფორმატორი 23.30 პაპარაცი 00.00 ტელედისკოთეკა 01.45 ფილმი ბრავო **"მაღალი ქუსლები"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.40, 17.30, 21.00, 21.45, 23.40 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 69-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** 13.00 მხ. ფილმი **"ორმაგი ფსონი"** 15.00 მხ. ფილმი **"საჰაერო განგაში"** 16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 50-ე ნაწილი 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 21-ე სერია 18.30 მულტფილმი "მეფის ასული შაპრაზადი" 21-ე სერია 19.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 70-ე სერია 20.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** მე-7 სერია 21.15 დოკ. ფილმი-ბალეტი "ფაივ დანსი, - მარტა გრეჰემი" 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "მეხიკო, აცტეკთა ქალაქი, ესპანელთა ქალაქი" 22.00 მხ. ფილმი **"სურვილთა ამსრულებელი-2"** მთ. როლში ენდრიუ დივოფი 00.00 მხ. ფილმი **"მშველელი"** მთ. როლებში ბრეიდლი თომასონი, ლოეტა ერნესტი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი **"ზულუსები"** 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 კომედია **"ფული ყოვლის შემძლეა"** 13.40 მხატვრული ფილმი **"ლეონი"** 16.10, 19.30, 22.55, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 16.20 მულტფილმი "დუმბო" 17.25 მხატვრული ფილმი **"შეთქმულება თეთრ სახლში"** 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 "Пресс-папье" 19.45 ფილმი-კატასტროფა **"აპოკალიფსის საათები"** 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 "Пресс-папье" 23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.15, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე 23.20 ტელესერიალი **"ბინძური ცეკვები"** 4 სერია 01.10 მხატვრული ფილმი **"შეკითხვათა ღამე"** 03.30 მელოდრამა **"მოხეტიალე ვარსკვლავები"**

VII არხი

09.10 მელოდია 09.35 "აჩიკუდა" 10.00 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 10.40 "ბიორითმი" - მიხეი და ჯუმანჯი თბილისში 11.00 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 11.35 ანიმაცია 11.55 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 12.20 "მელოდია" 12.40 დისნეი და მისი მეგობრები 13.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 13.50 სპორტი 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 19.00 "აჩიკუდა" 19.45 "ობიექტივი" -სტუმარი ბუკა მანაგაძე 20.55 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 21.25 მელოდია 21.45 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 22.15 "კინოკლუბი " - **"მეფე-მეთევზე"** . ა.შ.შ. 1987 წელი. დრამა. რეჟისორი - ტერი გილიამი. მთ. როლში: რობინ უილიამსი. 00.40 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 01.10 "ბიორითმი" - მიხეი და ჯუმანჯი თბილისში.

შაბათი
14 დეკემბერი

08.00, 15.00, 20.00, 00.15 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"მედეა"** 10.00 დილის პაემანი 11.00 ლატარეა ყველასათვის 11.10 "მხიარული კარუსელი" 11.40 დოკ. სერიალი "კონტაქტი" 11.55 ვიცი 12.25 "მეტრო" 13.00 "კვალი" 13.30 დოკ. ფილმი "დიდი ნახტომი" 14.25 "საქართველო, დრო, მოვლენები" 15.15 მხ. ფილმი **"ფერმა "მესეს" საიდუმლო"** 16.30 სანინდარი 16.55 საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში. **თსუ** - რუსთავის **"აზოტი"** (მეორე ტაიმის ვიდეო ჩანაწერი) 17.40 რეალური სამყარო 18.00 ვესტნიკი 18.45 "თბილისის დროით" 19.05 "ენერგია" 19.35 "გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" 20.35 "ფორტუნა" 21.10 სერიალი **"ნაპოლეონი"** 22.00 "მელომანია" 22.40 მხ. ფილმი **"ამერიკელები"** 00.25 ღამის ჯაზი

2

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** 20.30 "ახლო ხედი" 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჯემი 22.00 მხ. ფილმი **"სიჩუმის მიღმა"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"სამნი"** 12.00, 15.00 კურიერი 12.20 კუსტოს წყალქვეშა ოდისეა 13.15 მხ.ფილმი 15.20 სიმფსონები 15.45 მხ. ფილმი 17.10 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 18.00, 01.00 კურიერი 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.30 ჯეოსელის ლატარია 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.00 **კურიერი P.S.** 22.00 **ფსიქო.** მხ.ფ. **"კაბირიას ღამეები"** 01.15 მხ.ფ. **"კივილი"** მთ. როლებში დევიდ არკეტი, კორტნი კოქსი 03.20 ღამის ჯაზი

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.00, 23.55, 00.30 მუსიკა 08.30 მხ. ფილმი **"ექსპერტი"** 10.20 მხ. ფილმი **"ძმის მოსაძებნად"** 13.10, 18.00, 19.30 მულტფილმი 14.10 დოკ. ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 18.45 ბუნების ფერები 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 22.30 მხ.ფ. **"შობაზე დავბრუნდები"** 23.00 მხ.ფ. **"პერდიტა დურანგო"** 00.40 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"განკიცხულნი"** 15.00 მხ. ფილმი **"ადამიანი რკინის ნიღაბში"** 17.00 მხ. ფილმი **"პრეზიდენტის თვითმფრინავი"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მულტფილმი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 მხ. ფილმი **"მუმია"** 00.20 მხ. ფილმი **"მტაცებელი"**

ევრიკა

11.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 11.20 მხ. ფილმი **"ავჟანდი პოტისათვის"** 12.00 პროგრამა "სალონი" 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 მუსიკა 15.00 მუსიკალური პაუზა 15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს 16.00 ლაბირინთი 17.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 რუსული ენის გაკვეთილი 19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 თინეიჯერი 21.00 დოკ. ფილმი 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 თეატრალური შეხვედრები 23.30 მსოფლიო სპორტი

09.15 გამ. მუსათეული 10.00 ტოროლა 11.00 გამ. ინფორმატორი 13.00 გამ. უცნობი 14.15 ნონსტოპი 16.00 ფილმი კომედია **"გზაჯვარედინი"** 18.00 გამ. სველი ხაზი 19.00 გამ. ინფორმატორი 19.30 ვიდეორადიო 21.00 ქართ. ათეული 21.45 აბა გამოიცანი მიქსი 22.45 კვირის საუკეთესო ლექსები 23.00 აბა გამოიცანი მიქსი 00.00 ტელედისკოთეკა 01.45 ფილმი ბრავო **"უფლისგან ცნობები არ არის "** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 11.50, 12.50, 14.30, 16.10, 17.30, 21.10, 21.45, 23.30 მუსიკა 11.00 მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 70-ე სერია 12.00 მხ. დეტექტიური სერიალი **"ბენზინი სისხლში"** 13.00 მხ. ფილმი **"სურვილები 2"** 14.40 მხ. ფილმი **"მშველელი"** 16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება" 51-ე სერია 17.40 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 22-ე სერია 18.30 რაგბში, მორიგი მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია 20.30 მულტფილმი "მეფის ასული შაპრაზადი" 22-ე სერია 21.30 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ბრაზილია, თვითმფრინავის მსგავსი ქალაქი" 22.00 კინოკლუბი ყაზბეგი წარმოგიდგენთ მხ. ფილმებს: 1. **"მერლინი - პირველი ჯადოქარი"** ტელ: 77-83-28 2. **"ქარის ცხენი"** ტელ: 77-83-29 3. **"მეოთხე სართული"** ტელ: 77-83-30 00.00 მხ.ფ. **"ბრწყინვალე წლები"** მთ. როლებში ჯორჯ ძუნძა, არჩი პანი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 ისტორიული ფილმი **"ლეგენდა ენიოსზე"** 11.10 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.10 კომედია **"რუსული ზაფხული"** 13.55 დრამა **"მისისიპი ცეცხლში"** 16.10 მულტფილმი "მდიდარი ძაღლები" 17.30 სათავგადასავლო ფილმი **"უკანასკნელი რაინდი"** 1 სერია 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 "ყველანი ვართ პატარები" 19.40 მხატვრული ფილმი **"მკვლელები"** 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50 "Слово" 23.30 ტელესერიალი **"ბინძური ცეკვები"** 5 სერია 00.50 კომედია **"რეპორტაჟი"** 03.30 მხატვრული ფილმი **"იდუმალების საფარქვეშ"**

VII არხი

18.20 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 18.50 მელოდია 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით 19.25 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა 19.50 "ღამის კაპრიზი" - თემა: რატომ მატყუებ. 20.40 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 21.10 "კინოკლუბი " - **"ვინ უღალატა ბაჭია როჯერს"** ა.შ.შ. 1989 წელი. კომედია. რეჟ. კევინ როჯერი. როლებში: ბობ ჰოსკინსი. 23.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 23.35 მელოდია 00.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" -ესპანეთის ჩემპიონატი.

კვირა
15 დეკემბერი

08.00 "მოამბე" 08.15 მხ. ფილმი **"ამერიკელები"** 10.00 დილის პაემანი 11.05 "ამბები ჩვენზე" 11.35 მოგზაურობა ხასიტყვეთში 12.05 "სპა" 12.35 "პრეს-სტუდია" 13.25 მოსკოვი-თბილისი 13.55 ღამის ჯაზი 14.25 არათბილისური ამბები 15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე 15.20 კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის სპექტაკლი - **"საპონელა"** 17.30 "საკვირაო გამოფენა" 17.40 "ეძიე ქალი" 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 ჩემპიონი 18.55 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 20.55 "ამბობენ" 21.25 შორეული ახლობელი 22.05 ტელესერიალი "ქალთა ოთახი" 22.55 სატ. კინოდარბაზი "მთვარის გლობუსი" 00.00 ტაიმ-აუტი 00.30 მხ. ფილმი **"კაცი, რომელიც ტიროდა"**

2

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 დიზაინი 19.50 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 20.30 ვიცი 21.00 მშვიდობით მე-20 საუკუნევ 21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 შვიდეული 23.00 მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"**

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.20 მულტსერიალი 10.50 სერიალი **"ათასწლეული"** 11.50 ველური ბუნება 12.50 მხ.ფილმი 14.35 სიმფსონები 15.05 მხ. ფილმი 17.10 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 18.00, 21.00, 23.40 კურიერი 18.20 მხ. ფილმი 20.00 სერიალი "ჩინელი პოლიციელი" 21.25 ჩვენი ეზო 21.40 "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჯონ ქიუ"** 8 77 45-79-25 დენზელ ვაშინგტონი, რობერტ დიუვალი, **"შავი რაინდი"** 8 77 45-79-26 მარტინ ლოურენსი, მერი ფრენსი, **"შეშლილი მაქსი"** 8 77 45-79-27 მელ გიბსონი, ჯოელ სემუელი 23.50 მხ.ფ. **"ლედი ჰამილტონის საყვარლები"** მთ. როლებში მ. მერსიე, რ. ჯონსონი 01.30 კლასიკა.

08.00 ახალი ამბები 08.15 ანონსი, მულტფილმი 08.20 აღსავალი 08.30 მხ. ფილმი **"შობაზე დავბრუნდები"** 10.15, 12.30, 21.55, 00.45 მუსიკა 10.20 მხ.ფ. **"პერდიტა დურანგო"** 13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით) 19.30 დიდი ბრიტანეთი დღეს 20.00 მხ.ფ. **"იდეალური საქმროები"** 22.15 მხ.ფ. **"მონადირე"** 00.50 ღამის ფილმი

12.00 მხ. ფილმი **"მუმია"** 14.00 მხ. ფილმი **"ხმელთაშუა ზღვა"** 15.45 მხ. ფილმი **"მემკვიდრეობა"** 17.30 მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოჰიკანი"** 19.15 ინდ. მხ. ფილმი **"სიმძიმე გულზე"** 22.00 მხ. ფილმი **"მუმია 2"** 00.20 მხ. ფილმი **"მტაცებელი 2"**

ევრიკა

11.00 ცისკრის ზარები 11.05 მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.25 თბილისური ოჯახები 14.10 მუსიკა 15.00 მულტფილმი 15.30 საოცარი პირამიდა 17.00 - 19.00 რელიგიის საათი 19.00 დოკ. ფილმი 20.00 შეხვედრა ვარსკვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 დოკ. ფილმი 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 ოაზისი 23.30 მსოფლიო სპორტი

09.15 გამ. მუსათეული 10.00 ტოროლა 11.00 გამ. ინფაქტი 13.00 გამ. პოლიტპაპარაცი 13.15 პაუზის გარეშე 16.00 ფილმი კომედია **"ნოთინგ-ჰილი"** 18.00 გამ. სველი ხაზი 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეორადიო 21.00 ინგლისური მუსათეული 21.45 აბა გამოიცანი მელოდია 22.45 კვირის საუკეთესო ვიდეოხულიგნები 23.00 ინფორმატორი 23.30 არასარეკლამო ათეული 00.00 ფილმი ბრავო **"ბორნის პიროვნების საიდუმლო"** 01.45 ფილმი ღამურა **"როლერბოლი"** 03.45 პაუზის გარეშე

10.00 მხ. სერიალი "ზურგის ქარი" 10.45, 13.30, 14.40, 16.30, 00.20 მუსიკა 11.00 მხ. ფილმი **"ბრწყინვალე წლები"** 13.50 [illegible] "წითელქუდა" 15.00 მხ. ფილმი **"მერლინი - პირველი ჯადოქარი"** 16.40 მხ. ფილმი **"ბაჩი და ჯადოსნური სამაჯური"** მთ. როლებში მეთ მაკოი, ები დილთონი 18.20 დოკ. ფილმი "მაიკლ ჯორდანი" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.00 ქართ. მხ. ფილმი **"მონანიება"** 22.30 მხ. ფილმი **"ბრძოლის ველი დედამიწა"** მთ. როლებში ჯონ ტრავოლტა, ბარი პეპერი 00.30 მხ. ფილმი **"ავი ნაბიჯები"** მთ. როლებში ლუკა ბურკოვიჩი, დენიელ ქოუნი

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 10.30 «Слово» 11.30 სათავგადასავლო ფილმი **"ჟორჟის კუნძული"** 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 "ყველანი ვართ პატარები" 12.30 ისტორიული ფილმი **"სპარტაკი"** 15.30 დოკუმენტური ფილმი 16.15 მულტფილმი 17.40 სათავგადასავლო ფილმი **"უკანასკნელი რაინდი"** 2 სერია 19.20 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.40 მელოდრამა **"მიწიერი სურვილები"** 21.20 დოკუმენტური ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.30 «Новости в воскресенье» 23.00 ტელესერიალი **"ბინძური ცეკვები"** 6 სერია 00.30 «Новости в воскресенье» 01.00 კომედია **"დერიბასოვზე კარგი ამინდია ანუ ბრაიტონ-ბიჩზე კვლავ წვიმს"** 02.30 დოკუმენტური ფილმი 03.30 მხატვრული ფილმი **"ჰავანა"**

VII არხი

18.20 "ლა-ლა-ლა" 19.00 "აჩიკუდა" 19.20 "ავტოტრეკინგი" 20.00 "სახლიდან გაუსვლელად" - აუდიო-ვიდეო-ტელე 20.35 "კინოკლუბი" - **"კვერცხისთავიანები"** ა.შ.შ. 1983 წელი. კომედია. რეჟ. სტივ ბეროორი. მთ.როლში: დენ ერკოლი. 22.05 "სახლიდან გაუსვლელად" - მობილურები 22.40 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა 23.00 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - იტალიის ჩემპიონატი. 00.50 "სახლიდან გაუსვლელად" - კომპიუტერული ტექნიკა 01.25 მელოდია 01.40 "სახლიდან გაუსვლელად" - საყოფაცხოვრებო ტექნიკა

ცხადდება სააქციო საზოგადოება „კობის" ლიკვიდაცია.

განაცხადები საზოგადოებისადმი კრედიტორული ან დებიტორული დავალიანებების და სხვა საკითხებზე მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

მისამართი – წერეთლის გამზ. № 115.
ტელ: 34-02-09.

სალიკვიდაციო კომისია.

განცხადება

2002 წლის 10 დეკემბრიდან მიმდინარეობს „ცეკავშირის" სატრანსპორტო სააქციო საზოგადოება – „საქკოოპტრანსის" ლიკვიდაციის პროცესი. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მოაკითხოთ სალიკვიდაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ცეკავშირის შენობა, ოთახი 522.

სამეთვალყურეო საბჭო.

კომპანია „შორ ოვერსიზ კორპორეიშენის" დირექტორთა საბჭოს 2002 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ხორციელდება „შორ ოვერსიზ კორპორაცია საქართველოს" ლიკვიდაცია.

აღნიშნული ლიკვიდაციის რეგისტრაციას განახორციელებს მთაწმინდის რაიონული სასამართლო. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: გოგებაშვილის ქ. 43ა, ბინა 7, ინდექსი 380026, თბილისი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროების განცხადება

„მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" დირექტორის ვაკანსიის დასაკავებლად

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროები აცხადებენ კონკურსს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 23 აპრილის №149 ბრძანებულების საფუძველზე შექმნილ „მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის" დირექტორის ვაკანსიის დასაკავებლად.

ხელფასის ოდენობა. ხელფასი დაფინანსდება მსოფლიო ბანკის კრედიტის თანხიდან. თანამდებობა მაღალანაზღაურებადია.

კონტრაქტის ვადა. კონტრაქტი პირველად დაიდება ექვსი თვით, შემდგომში მისი გაგრძელების შესაძლებლობით.

საჭირო გამოცდილება

- მინიმუმ 3 წლის წარმატებული მუშაობის გამოცდილება მმართველ თანამდებობაზე (საჭიროა რეკომენდაციები);
- პროფესიული მუშაობის მინიმუმ 5 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობის საინჟინრო საქმეში, ფინანსებსა და ეკონომიკაში ან სხვა მონათესავე დარგებში;
- კომუნიკაბელურობისა და მოლაპარაკებათა წარმოების ჩვევები;
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა (როგორც წერითი, ისე ზეპირი);
- კომპიუტერზე მუშაობის ცოდნა.

სასურველია

- სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში ან საინჟინრო საქმეში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მიღებული ადმინისტრაციული პროცედურების, ფინანსური მენეჯმენტის, საბუღალტრო აღრიცხვისა და შესყიდვების, პრინციპების კარგი ცოდნა;
- სამეცნიერო ხარისხი შესაბამის დისციპლინაში;
- საზღვარგარეთ მუშაობის ან სწავლის გამოცდილება.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ ავტობიოგრაფიები (CV) ინგლისურ და ქართულ ენებზე, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების/მოწმობების ასლები, მინიმუმ ორი რეკომენდაცია.

განცხადების მიღება იწარმოებს მისი გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში შაბათის და კვირის გარდა, 11 სთ-დან 17 სთ-მდე ქვემოთ აღნიშნულ მისამართზე:
თბილისი 380023, კოსტავას ქ. №41,
ტელეფონი/ფაქსი: (995 32) 93-17-79.

გივი მერაბიშვილი,
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ქართული ბიბლიოთეკა

წლის ლაურეატობის კანდიდატები

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის წლეულს ოლიმპიურ სახეობათა მსოფლიო ჩემპიონატებიდან ოქროს მედალი მხოლოდ თავისუფალი სტილით მოჭიდავე ელდარ კურტანიძემ (97 კგ.) შესძინა. იგი ამჟამად გერმანიაშია და ბუნდესლიგის ჩემპიონატში ალენის კლუბის ღირსებას იცავს. ქართველ ფალავანს გერმანიაში შევეხმიანეთ.

ელდარ კურტანიძე

დოსიე

დაიბადა 1972 წლის 16 აპრილს გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო ფშაფში. ჭიდაობა დაიწყო 1981 წელს რეზო თოდუას და სუმბატ ბუიკლიანის ხელმძღვანელობით. 1988 წლიდან შოთა კიკაბიძე ავარჯიშებდა. 1995 წლიდან გია გალდავას ხელმძღვანელობით იმაღლებს ოსტატობას.

1990 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. ორი წლის შემდეგ ევროპელ თანატოლებს აჯობა. დიდებში ევროპის ოთხგზის ჩემპიონია (1996-98, 2001 წ.წ.), სამჯერ მეორე ადგილზე (1993, 1995, 2002 წ.) გავიდა, ერთხელ (1999 წ.) — მესამეზე, მსოფლიო ჩემპიონატებზე 1993 წელს ვერცხლის მედალი მოიპოვა, 1997 წელს — ბრინჯაოსი, 2002 წელს კი თეირანში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 1996 და 2000 წლების ოლიმპიური თამაშების (შესაბამისად, ატლანტა და სიდნეი) ბრინჯაოს პრიზიორია.

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი 1996 წელს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. სწავლობს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის III კურსზე. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი — 11 წლის ნინო, 8 წლის ნოდარი და 4 წლის ანა.

1. რით იყო მნიშვნელოვანი თქვენთვის წლევანდელი სეზონი?

2. სამომავლოდ რას აპირებთ?

● უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ დიდი ხნის ოცნება ავისრულე — მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. თეირანში ძნელი გზა გავიარე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე. ჯერ რუსეთის სახელით მოასპარეზე მსოფლიო ჩემპიონ გიორგი გოგშელიძეს ვძლიე, შემდეგ — საბერძნეთის სპორტული ღირსების დამცველ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორ დავით მგელაძეს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფინალური ორთაბრძოლა იყო. მეტოქედ ირანელთა კერპი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი ალირეზა გეიდარი მხვდა. ცხრაწუთიანი დაძაბული შეხვედრა 2:1 მოვიგე.

იცით, რომ მაისის დასაწყისში ევროპის ჩემპიონატზე გამოვედი ბაქოში. ოთხი თვით ადრე მხარი ამოვიგდე და სამი თვე არ მივარჯიშია. არც ვაპირებდი აზერბაიჯანის დედაქალაქში გამგზავრებას, მაგრამ გამაფრთხილეს, ევროპის ჩემპიონატზე 15 საუკეთესოში თუ ვერ მოხვდები, მსოფლიოზე ვერ იჭიდავებო. იქ ფინალი დაღესტნელ მსოფლიო ჩემპიონ კურა მაგომედოვთან დავთმე. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შევიტყვე, რომ დებულება შეუცვლიათ და ევროპის გაუცლელად შემეძლო მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლა. ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ისე მეც წამადგა ბაქოს ხალიჩაზე ასპარეზობა.

ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო წლეულს მწვრთნელ გია გალდავასთან ერთად მსოფლიო ნაკრებში მიწვევაც. ახალ ორლეანში ამერიკის ეროვნული გუნდის წევრს ტიმ პარტინგს ვძლიე.

● გაისად რამდენიმე მნიშვნელოვან შეჯიბრებაში ვიასპარეზებ. 4-6 აპრილს საქართველოს გუნდი პირველად გამოვა მსოფლიო თასზე. ცხადია, მეც მომიწევს ჩვენი ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა. 1-4 მაისს რიგა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 10-14 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება.

22 დეკემბრის შემდეგ თბილისში დავბრუნდები და სამომავლო გეგმებზეც მაშინ უფრო დაწვრილებით მოგიყვებით.

ესაუბრა
ვაჟა დანელია.

ფეხბურთი

ბუნება მბრძანებელია...

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ციკლის დასკვნითი რაუნდი ბუნების ჭირვეულობის გამო გადადებული მატჩით „გაიხსნა" — კოკისპირული წვიმის შედეგად დატბორილ „ნოუ კამპის" სტადიონზე შეუძლებელი აღმოჩნდა „ბარსელონასა" და „ნიუკასლის" („ა" ჯგუფი) შეხვედრის გამართვა. გუნდების თავკაცების ლუი ვან გაალისა და სერ ბობ რობსონის ორმხრივი თანხმობით გადათამაშება წუხელ იყო დანიშნული (იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის პირველი გვერდი).

კატალონიელთა იძულებითი „მაგალითი" კარგად ისარგებლა მილანის „ინტერმა", რომელმაც შინ 3:2 სძლია „ლევერკუზენს" და ქულათა მაქსიმუმით ამ ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. პირველი ტაიმი მასპინძელთა ნახევარმცველის დი ბიაჯოს ბენეფისად იქცა. მან „დუბლი" რეკორბას ასისტენტობით შეასრულა. შესვენების შემდეგ ბუნდესლიგელები გააქტიურდნენ და ქიევკოვიჩმა კუთხური პირველი საპასუხო გოლით დააგვირგვინა. გადარჩენის იმედი მე-80 წუთზე ტომპიოლერის კრებულის მეკარემ ბუტმა ჩაკლა, რომელმაც კრესპოსთან ბრძოლაში ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. დარჩენილ მცირე დროში ფრანკამ მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოასწრო.

რეზიუმეს სახით დავძენთ, რომ, გამარჯვების მიუხედავად, კვლავაც თვალშისაცემია კუპერის შეგირდთა პრობლემები. ეს განსაკუთრებით მცველებზე ითქმის, არადა, „მაე-ლურჯთა" გავლენიან პატრონთა ამბიციები საყოველთაოდაა ცნობილი. რაც შეეხება „ლევერკუზენს", პირველის მსგავსად, მან მეორე ჯგუფური ეტაპიც ზედიზედ ორი დამარცხებით დაიწყო. საინტერესოა, ამჯერადაც მოიტანს კოკა წყალს?

„ინტერი" — 6, „ბარსელონა" — 3, „ნიუკასლი", „ლევერკუზენი" — 0-0 ქულა (წუხანდელი შედეგის გაუთვალისწინებლად).

26 თებერვალს ითამაშებენ „ბარსელონა" — „ინტერი", „ლევერკუზენი" — „ნიუკასლი".

ორხელისუფლებიანობა დამკვიდრდა „ბ" ჯგუფში, რაც „ვალენსიას" დამსახურება გახლავთ. ესპანელები ტრავმირებული ძირითადი მეკარის კანისარესის არყოფნის მიუხედავად სტუმრად ვაჟკაცურად გაუმკლავდნენ ლონდონის „არსენალს" და ძვირფასი ქულაც მოიპოვეს — 0:0. აღსანიშნავია, რომ მათგან საუკეთესო სწორედ სათადარიგო გოლკიპერი პალოპი გახლდათ, რომელმაც რამდენჯერმე იხსნა პარტნიორები. ისიც საგულისხმოა, რომ 75-ე წუთზე დანიელმა მსაჯმა ნილსენმა ხულიგნური გამოხდომისთვის მინდორიდან „ვალენსიას" ნახევარმცველი ანგულო გააძევა.

კიდევ ერთხელ დამუხრუჭდა „რომა", რომელიც ამსტერდამის დახურულ „არენაზე", „აიაქსთან" დამარცხდა — 1:2. კაპელოს ბიჭების ძლევას სათავე ანტონიოლის უხეშმა შეცდომამ დაუდო (მე-11 წუთი). მას ბურთი ხელიდან გაუვარდა დე იონგის მორეული დარტყმის შემდეგ და იბრაგიმოვიჩმა დაუბრკოლებლად დააწინაურა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის გარეშე მოასპარეზე ჰოლანდიელები. მატჩის ბედი 66-ე წუთზე გადაწყდა, როცა მისივე ზუსტი გადაცემით შეცვლაზე შესულმა ლიტმანენმა თანაგუნდელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა. ბატისტუტას მიერ ბოლო წუთზე გატანილმა თაურმა შევება მხოლოდ რომაელთა სტატისტიკოსებს თუ მოჰგვარა.

„არსენალი", „აიაქსი", — 4-4, „ვალენსია" — 2, „რომა" — 0 ქულა.

25 თებერვალს ითამაშებენ „არსენალი" — „აიაქსი", „ვალენსია" — „რომა".

* * *

უეფას თასი 1/16 ფინალის საპასუხო მატჩი. „შალკე" — „ვისლა" — 1:4 (1:1).

გია პლატონიშვილი.

ჭადრაკი

ქალი — ვაჟთა გუნდის სათავეში

საჭადრაკო ოლიმპიადებზე, ანუ, როგორც უწინ უწოდებდნენ, „ერთა ტურნირზე", მოჭადრაკე ვაჟთა გუნდების შემადგენლობებში მოჭადრაკე ქალთა მონაწილეობა სათავეს 1950 წლიდან იღებს. იუგოსლავიის (ამჟამად, ხორვატეთის) კურორტ დუბროვნიკში გამართულ მეცხრე საჭადრაკო ოლიმპიადაზე საფრანგეთის მოჭადრაკე ვაჟთა გუნდს, რომელსაც თავკაცობდნენ საჭადრაკო სამყაროში კარგად ცნობილი დიდოსტატი და ლიტერატორი საველი ტარტაკოვერი და საერთაშორისო ოსტატი (შემდგომში დიდოსტატი) ნიკოლას როსოლიმო, ჭეშმარიტად, ამშვენებდა (პირდაპირი მნიშვნელობით) და ეხმარებოდა (სპორტული გაგებით) მომხიბვლელი მანტალ შოდე დე სილანი. იგი გამოდიოდა პირველ სათადარიგო დაფაზე და გუნდს ექვსი პარტიიდან ქულა-ნახევარი შესძინა.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა და შესამჩნევად გაიზარდა რიცხვი მოჭადრაკე ქალებისა, ვინც ოლიმპიადებზე კაისას რაინდთა მხარდამხარ მონაწილეობდა ვაჟთა გუნდების პაექრობებში. თუმცა, 1994 წლამდე საჭადრაკო ოლიმპიადებზე ქალი არასდროს ყოფილა ვაჟთა გუნდის პირველ დაფაზე. ეს სასწაული მოახდინა უნგრელი პოლგარების უმცროსმა დამ იუდითმა, თანაც ისეთი მდიდარი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც უნგრეთია — სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის და ხუთგზის პრიზიორის, კოლიშის, მაროციის, ასტალოშის, ლილიენტალის, საბოს, პორტიშის და სხვა გამოჩენილი მოჭადრაკეების სამშობლოში.

სასწაული დაიწყო იმით, რომ 1991 წელს უნგრეთის მოჭადრაკე ვაჟთა მორიგ ჩემპიონატში, რომელშიც ორის გარდა (ზ. რიბლი, ი. პინტერი) ყველა უძლიერესი მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. თხუთმეტი წლის იუდით პოლგარმა დაუმარცხებლად განვლო ტურნირი — მოიპოვა სამი გამარჯვება (მათ შორის — თანამედროვე უნგრელი ჭადრაკის ერთ-ერთ ლიდერ დიულა საქსთან), 9 შესაძლებლიდან 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. მეორე-მესამე ადგილები 5,5-5,5 ქულით ა. ადორიანმა და დ. საქსმა გაინაწილეს — გამოჩენილი დიდოსტატი ლ. პორტიში კი VI ადგილზე აღმოჩნდა.

ჩემპიონატში იუდითის უფროსი და ჟუჟაც მონაწილეობდა, რომელმაც ხუთი ქულით ი. ხორვატთან ერთად მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო, აქვე ვიტყვით, რომ სწორედ მისით დაიწყო უნგრეთის ვაჟთა ჩემპიონატებში პოლგარების ოჯახის წევრთა მონაწილეობა: 80-იანი წლების დასაწყისში ჟუჟამ ვაჟთა ჩემპიონატში ქულათა ორმოცდაათპროცენტიანი შედეგით იასპარეზა. 1983 წელს მეორედ დაუპირისპირდა ვაჟებს, ამჯერად ე. წ. ღია ტურნირში, რომელშიც 3 დიდოსტატი, 25 საერთაშორისო ოსტატი და ფიდეს 8 ოსტატი მონაწილეობდა. 7,5 ქულით ჟუჟამ ვაჟებში საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა. განსაკუთრებულ წარმატებას მან 1986 წელს მესამე ცდაზე მიაღწია — III ადგილზე გავიდა და ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის მომდევნო ციკლის ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ისევ იუდითის სენსაციურ გამარჯვებაზე: ვაჟთა შორის ქვეყნის ჩემპიონი 1992 წლის მანილის საჭადრაკო ოლიმპიადისთვის უნგრეთის გუნდის შემადგენლობაში ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, მომდევნო — მოსკოვისა (1994 წ.) და ერევნის (1996 წ.) ოლიმპიადებზე იუდით პოლგარი სათავეში ედგა ქვეყნის ვაჟთა გუნდს და, თუ გავითვალისწინებთ იმ უდავო ჭეშმარიტებას, რომ ნაკრების პირველ ნომერს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და სიმძიმე აწევს, ვფიქრობ, ურიგოდ არ უთამაშია. მოსკოვში 13 პარტია ითამაშა და 6,5 ქულა (50 პროცენტი) მოაგროვა, ხოლო ერევანში ამდენივე შეხვედრიდან — 6 ქულა. რაც შეეხება 2000 წლის (სტამბოლი) და ამასწინანდელ (ბლედი) საჭადრაკო ოლიმპიადებს, იუდით პოლგარი უნგრეთის ვაჟთა გუნდის მეორე დაფაზე გამოდიოდა.

გიორგი მახარაძე.

სურათზე: იუდით პოლგარი.

ვაჟა დანელიას ფოტო.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

„ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ალკოჰოლს, თამბაქოს მტკიცე უარი", — აცხადებენ საქართველოს ალგეთის მგლის ლეკვთა საძმოს ფედერაციის მესვეურნი (პრეზიდენტი იროდი ასანაშვილი).

ვერაფერს იტყვი, მისასალმებელი და მისაბაძი ინიციატივაა, რომელიც კარგად „ჯდება" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 22 დეკემბრის ცნობილ ბრძანებულებაში „ქვეყნის მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და განვითარების ღონისძიებათა შესახებ". თანაც, საგულისხმოა, რომ ამ საძმოს წევრები — 14 წლისა და უფროსი ასაკის ახალგაზრდები — უკვე 6 ათასზე მეტი არიან საქართველოში.

ჭაბუკთა გულის ზრახვანი

— კი, მაგრამ, როგორ ამოწმებთ თქვენი საძმოს წევრებს, რომ არ ტეხენ ამ დანაპირებს?

— ვეკითხები იროდი ასანაშვილს — სპორტსმენს, ძიუდოს მოყვარულ ახალგაზრდას.

— მათ მარიამ ღვთისმშობლის ხატზე დაიფიცეს, რომ სიტყვას შეასრულებენ, თუმცა, გვქონია თითო-ოროლა შემთხვევა, როცა ჩვენი საძმოს რიგებიდან გასულა ცალკეული უნებისყოფო.

— თქვენი საძმო რით გამოირჩევა სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციებისაგან?

— დილაობით მთავარი კომიტეტის წევრები ქაშვეთის ეკლესიაში ვიკრიბებით, სანთლებს ვანთებთ, ვლოცულობთ საქართველოს, ყველა ჩვენი მოქალაქის საკეთილდღეოდ. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი კრედოა საქართველოს სიყვარული, ხალხის კეთილდღეობა.

— კეთილშობილური მიზნებია, მაგრამ, პრაქტიკულად, ასეთი დიდი საქმის ორგანიზებას თანხები სჭირდება...

— ჩვენს საძმოს 27 აპრილს წელიწადი შეუსრულდება. ამ მცირე ხანში ბევრი რამ შევძელით, თუმცა, უფრო მეტი გასაკეთებელი გვაქვს.

— კერძოდ?

— უკვე იანვარში გვექნება საძმოს პრეზენტაცია სპორტის სასახლეში, შემოსული საქველმოქმედო თანხებით ვაპირებთ ჟურნალ „ალგეთის ლეკვების" გამოცემას, დარბაზის დაქირავებას, სადაც ჩვენს წევრებს შეეძლებათ ფიზიკური ვარჯიშების შესრულება, საწევრო თანხების (თითო ლარი) შეკრებით, სხვა სასიკეთო საქმეების კეთება.

როგორც ხედავთ, ახალგაზრდობა ეძებს გზებს და საშუალებებს, იცხოვროს ჯანსაღი, ჭეშმარიტი, ნაღდად მამულიშვილური ტრადიციებით. ერთ-ერთ ასეთ მცდელობად გვესახება ალგეთის მგლის ლეკვთა კარგი წამოწყება. თუ მათ უფროსი თაობის წარმომადგენლები (განსაკუთრებით — შეძლებულნი) გვერდით დაუდგებიან, მაშინ მეტი შანსი გვექნება ვთქვათ: „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი"...

ანზორ ბასილაია.

სურათზე: ალგეთის მგლის ლეკვთა საძმოს პრეზიდენტი იროდი ასანიშვილი.

ცინცხალი ამბები

ავსტრიელმა ავტოინსპექტორებმა სიჩქარის გადაჭარბებისათვის დააჯარიმეს და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ავტომანქანის მართვა დიდი ხნით აუკრძალეს მსოფლიოში ერთ-ერთ გამოჩენილ ავტომრბოლელს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის უმცროს ძმას რალფს, რომელიც „უილიამსის" გუნდის დღეობაზე მიიჩქაროდა.

ავტოინსპექტორების განმარტებით იმ ადგილას, სადაც მოძრაობის შეზღუდვა 100 კმ/სთ-მდე იყო დაშვებული, რადარმა საათში 170 კმ აჩვენა.

მიუხედავად იმისა, რომ „ნოუ კამპის" სტადიონი ორი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, ჩემპიონთა ლიგის მატჩი გუშინ მაინც გაიმართა „ნიუკასლსა" და „ბარსელონას" შორის. სამაგიეროდ, ეროვნული ჩემპიონატის ორი მატჩის გამართვა „ბარსას" სხვა სტადიონზე მოუწევს.

გვწერენ

გზასაცდენილი

სიმართლე კი ასეთია

ჟურნალმა „გზა" (№ 48, 28.11 — 04.12) გამოაქვეყნა ბატონ ჯაბა ლეონიძის სტატია „ყველაზე ლამაზი ფეხბურთელი", რომელიც გამოჩენილ ფეხბურთელს, აწ გარდაცვლილ კახი ასათიანს ეძღვნება. როგორც ყველა ქართველი, მეც ასევე შემძრა ამ შესანიშნავი სპორტსმენისა და მოქალაქის ტრაგიკულმა დაღუპვამ. მომიტევებს კახი ასათიანის ნათელი სული, თუ რამდენიმე შენიშვნას გამოვთქვამ ზემოთ დასახელებული სტატიის ავტორის მიმართ, მისსავე პუბლიკაციაში დაშვებული რამდენიმე უზუსტობის გამო. ბატონი ჯ. ლეონიძე წერს: — „... მალე თბილისის „დინამოსაც" მიუკაკუნა (კახი ასათიანმა — ნ.მ.). 16 წლის იყო, როცა „დინამოში" ჩაირიცხა". ცდება ავტორი. კახი ასათიანი თბილისის „დინამოში" ჩაირიცხა 1965 წელს. მაშინ ის 18 წლის იყო. შემდეგ ავტორი გვაუწყებს: — „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში 1966 წლის 12 აპრილს, მოსკოვის „დინამოს" წინააღმდეგ გამოვიდა. ის დღე კარგად ახსოვს ილია დათუნაშვილს: ... „კახი მეორე ტაიმში გამოიყვანეს მოედანზე. მისი პირველივე გამოჩენა შესამჩნევი იყო: მაღალი, უნაკლო აღნაგობის ბიჭი იყო, საოცარი მოძრაობა იცოდა მინდორზე, სხვაში არ აგერეოდა... 1:1 იყო, როცა ის შეცვლაზე შემოვიდა, 10 წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ლამაზი გოლი გაიტანა. სწორედ მისი გოლის წყალობით მოვიგეთ ეს მატჩი. დებიუტიც ასეთი უნდა".

არა მგონია ასეთი რამ მოეთხრო ჩვენს სათაყვანებელ ფეხბურთელს ილია დათუნაშვილს, რადგან აღნიშნული მატჩი თბილისის „დინამომ" მოიგო ანგარიშით — 2:0 (ე. ი. ანგარიში — 1:1 ამ მატჩში არც ერთ ეტაპზე არ დაფიქსირებულა). ამას გარდა, ამ მატჩში კ. ასათიანმა ბურთი შეხვედრის პირველ ნახევარში გაიტანა და არა მეორე ტაიმში, როგორც ამას ავტორი ილია დათუნაშვილს ათქმევინებს. აღნიშნული მატჩი კი შედგა 10 აპრილს და არა 12 აპრილს.

ავტორი გვაუწყებს: — „არანაკლებ წარმატებული აღმოჩნდა მისი დებიუტი საბჭოთა კავშირის ნაკრებში. როცა ნაკრების იმჟამინდელმა თავკაცმა გავრიილ კაჩალინმა 20 წლის ჭაბუკი მიიწვია გუნდში, კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა". „კაჩალინი ქართული ფეხბურთის სიყვარულით დაღუპავს ნაკრებს. ხურცილავა, მეტრეველი, სიჭინავა... ამ თანავარსკვლავედს ახალბედა ასათიანიც დაემატა, რომელიც ოროოდე სეზონია მხოლოდ, რაც თბილისის „დინამოში" გამოჩნდა" — წერდა „სოვეტსკი სპორტის" მიმომხილველი ლევ ფილატოვი. კაჩალინმა თავისი არ დაიშალა. მან ასათიანი ძალზე პრინციპული შეხვედრის წინ გამოიძახა ნაკრებში. საბჭოთა კავშირის ნაკრებს თურქეთის გუნდი რომ ვერ დაემარცხებინა, მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მიღმა რჩებოდა. ეს მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მოიგო — 3:1. ამ სამიდან ერთი ბურთი თავად კახი ასათიანმა გაიტანა". ბევრ საკითხში ცდება ავტორი.

პირველი: კახი ასათიანი საბჭოთა კავშირის ნაკრებში მიიწვიეს 1968 წლის დასაწყისში. მაშინ კახი 21 წლის იყო და არა ოცის.

მეორე: მაშინ (1968 წ.) სსრკ ნაკრების უფროსი მწვრთნელი გახლდათ მიხეილ იაკუშინი და არა გავრიილ კაჩალინი, როგორც ამას ავტორი წერს.

მესამე: კახი ასათიანის დებიუტი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში შედგა 1968 წლის 3 მარტს, მეხიკოში, „აცტეკაზე" მექსიკის ნაკრების წინააღმდეგ (0:0, უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი) და არა თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ, როგორც ამას ბატონი ჯ. ლეონიძე გვაუწყებს.

მეოთხე: თურქეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართული ის შეხვედრა, რომლის შესახებაც სტატიის ავტორი გვესაუბრება, კახი ასათიანისთვის იყო რიგით მეშვიდე მატჩი ნაკრებების დონეზე. მატჩი შედგა 1969 წლის 16 ნოემბერს. გუნდის უფროსი მწვრთნელი გახლდათ გავრიილ კაჩალინი.

მეხუთე: ამ პერიოდისთვის (1969 წ.) სსრკ ნაკრების შემადგენლობაში გიორგი სიჭინავას უკვე აღარ იწვევდნენ. ამას გარდა, სასაცილო და მკრეხელობაა ასეთი რამ დასწამო ლევ ფილატოვს, შესანიშნავ ჟურნალისტს, გაზეთ „ფუტბოლის" მთავარ რედაქტორს, ქართული ფეხბურთისა და ქართველი ფეხბურთელების (მე მას კარგად ვიცნობდი) თაყვანისმცემელ კაცს.

მეექვსე: ეს მატჩი (თურქეთი — სსრკ, 1969 წლის 16 ნოემბერი, სტამბოლი) დამთავრდა — 3:1 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. კახი ასათიანმა „ამ სამიდან ერთი გოლი" კი არა (როგორც ამას ავტორი ამბობს), არამედ ორი გოლი გაიტანა მე-3 და მე-60 წუთებზე. ერთი გოლი კიეველმა ვიტალი ხმელნიცკიმ გაიტანა შეხვედრის 34-ე წუთზე.

როცა ვწერთ, ხომ უნდა ვიცოდეთ, რას და რატომ ვწერთ.

ავტორი განაგრძობს: — „ერთ სეზონში კიევის დინამოელი ანდრეი ბიბა არცთუ ისე კარგად გამოდიოდა. ნაკრებშიც არაერთხელ მოეცარა ხელი. უკვე ალმაცერად უყურებდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელები... ნაკრებიდან ბიბას მოახლოებული წასვლის შესახებ ლაპარაკობდნენ, თავის გამოჩენის ერთ-ერთი ბოლო შანსი პოლონეთის ნაკრებთან შეხვედრის დროს ეძლეოდა, თუმცა ამხანაგური მატჩი იყო. პირველი ტაიმი კვლავ უფერულად ითამაშა კიეველმა, მეორე ტაიმშიც რამდენიმე შეცდომა დაუშვა, ცოტაც და გამოცვლიდნენ და, შესაძლოა, დასრულებულიყო კიდეც მისი კარიერა.

ერთ ეპიზოდში კახი ასათიანმა ერთმანეთის მიყოლებით მოატყუა 3 მოწინააღმდეგე და თითქმის ცარიელი კარის პირისპირ დაამუხრუჭა, ზურგს უკან ანდრეი ბიბა მოძებნა, ქუსლით გადაუგდო ბურთი და... გოლის გასატანად ამ ბურთს მხოლოდ ფეხის დახვედრებაღა უნდოდა"... შემდეგ ავტორი გვიყვება, თუ როგორ გადაეფარა ტანით კახი ასათიანი ბიბას მიერ დარტყმულ ბურთს, ვიდრე იგი მოწინააღმდეგის კარის ბადეში არ გაეხვია. „გატანილმა გოლებმა ანდრეი ბიბას ნაკრებში ადგილი შეუნარჩუნა" — დაასკვნის ავტორი. ფეხბურთის ქრონოლოგიაში და ისტორიაში აბსოლუტურად ჩაუხედავი კაცის განცხადებაა. მივყვეთ თანმიმდევრობით.

პირველი: კახი ასათიანსა და ანდრეი ბიბას სსრკ ნაკრებში ერთად არასოდეს უთამაშიათ. როცა კახი ასათიანი ნაკრებში მიიწვიეს (1968 წ), ანდრეი ბიბა ამ პერიოდისათვის კიევის „დინამოდან" ვიქტორ მასლოვის მიერ იქნა დათხოვნილი და იგი დნეპროპეტროვსკის „დნეპრში" გადავიდა, სადაც ორი სეზონი — 1968-69 წ.წ. დაჰყო; 1970 წელს ჩერნიგოვის „დესნაში" ითამაშა და შემდეგ დიდი ფეხბურთიდან საერთოდ წავიდა.

მეორე: ანდრეი ბიბას, ამ დიდ ფეხბურთელს, სსრკ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, 1965 წლის 4 ივლისს, ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ. ამ მატჩში, 68-ე წუთზე, მან ვლადიმერ ბარქაია შეცვალა. ეს იყო და ეს. არც მანამდე და არც ამის შემდეგ ანდრეი ბიბას სსრკ ნაკრებში არ უთამაშია.

მესამე: კახი ასათიანს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში პოლონელთა წინააღმდეგ არასოდეს უთამაშია (მით უმეტეს, ა. ბიბასთან ერთად). ავტორის საყურადღებოდ მინდა განვაცხადო, რომ კახი ასათიანმა სსრკ ნაკრებში 16 შეხვედრა ჩაატარა შემდეგი ქვეყნების ნაკრები გუნდების წინააღმდეგ: მექსიკა — 4 მატჩი, თურქეთი — 2, პერუ — 2, იუგოსლავია — 2, ჩრ. ირლანდია — 1, ბელგია — 1, სალვადორი — 1, ავსტრია — 1, ურუგვაი — 1, არგენტინა — 1 მატჩი.

ამას გარდა, ვერც იმ ეპიზოდს დავიჯერებ, ავტორის განცხადებით, კახიმ რომ ბიბას დარტყმული ბურთი ტანით მანამ დაფარა, ვიდრე იგი ბადეში არ გაეხვია. აღნიშნული მანევრი მიხეილ მესხის მიერ დარტყმულ ბურთზე გაუკეთებია თურმე. ამის შესახებ დიდი მიხეილის ვაჟმა მიხეილ უმცროსმა გვიამბო ამას წინათ, კახი ასათიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში.

კიდევ ერთი შენიშვნა:

სტატიის ავტორი გვაუწყებს: — „კახი ასათიანმა ახალგაზრდულ ასაკშივე მოიხვეჭა პოპულარობა, ხალხის სიყვარული და ყველა გულშემატკივარს ძალზე დასწყვიტა გული ფეხბურთიდან მეტისმეტად ნაადრევი წასვლით — სულ 26 წლის იყო, როცა დიდი სპორტი დატოვა".

ცდება ავტორი (მერამდენედ), კახი ასათიანმა დიდი ფეხბურთი დატოვა 1975 წლის ბოლოს. მაშინ ეს დიდი ფეხბურთელი 28 წლის გახლდათ (და არა 26-ის). ეს ადრეული ასაკია. მან საბჭოთა კავშირის პირველობაზე 217 მატჩი ჩაატარა და 27 გოლი გაიტანა. საბჭოთა კავშირის ნაკრებში 16 შეხვედრაში კი 5 გოლი.

ჟურნალისტი მეტი ყურადღებით უნდა წერდეს.

ნუგზარ მჭედლიშვილი,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.

P.S. წარმოდგენილი ფოტო (ავტორი ა. ნიკოლაევი) თავის დროზე გაზეთ „ფუტბოლში" (№ 16, 1966 წ.) გამოქვეყნდა. მას ასეთი წარწერა აქვს:

— ასე რეაგირებდნენ თბილისელი გულშემატკივრები ახალგაზრდა დებიუტანტის კ. ასათიანის მიერ გატანილ გოლზე (საუბარია სტატიაში ნახსენებ გოლზე — ნ.მ.). აქვე დავძენ: მარჯვნიდან მეორე (პირველ რიგში), ფეხზე ამდგართა შორის გახლავთ ჩემი მეზობელი და მეგობარი (ჩვენ ორივენი საჩხერის რაიონის სოფ. ჭორვილაში დავიბადეთ და გავიზარდეთ), ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი გიორგი (ასანა) ნადირაძე.

ფოტო ამოღებულია ჩემი საგაზეთო არქივიდან.

სპორტის რედაქცია

ავტორალი

სეზონის ფინიში

საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით, მეექვსე ეტაპზე ავტორალში მონაწილეობდა დედაქალაქის 10 ეკიპაჟი (დისტანცია — 215 კმ., 13 ჩქაროსნული მონაკვეთი — 72 კმ). სტარტი მიეცა რიყეზე, ხოლო ფინიში მოეწყო ვაკე-ფშაველას გამზირის ბოლოს, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის შენობასთან.

პირველობა მოიპოვეს ლევან ლომაძემ (პილოტი) და ბორის საყვარელიძემ (შტურმანი). ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ ზურაბ ბეჟაშვილი (პილოტი) და თამაზ მაჭავარიანი (შტურმანი). მესამე ადგილი ხვდათ შალვა ოგბაიძეს (პილოტი) და ლევან იაშვილს (შტურმანი). ექვს ეტაპზე მოპოვებული ქულებით აბსოლუტურ ჩათვლაში 2002 წლის საქართველოს საუკეთესო პილოტები გახდნენ თბილისელები — ლევან ლომაძე (28), დავით იაშვილი (22), ვიქტორ თოდაძე (20), მამუკა მელაძე (15), ზურაბ ბეჟაშვილი (14) და ზურაბ ალნიაშვილი (10).

გარი ამირხანოვი.

ყოველი მხრიდან

„ტაივანჩიკი" ისევ გამოჩნდა

კარგა ხანია, თითქოსდა მიჩუმათდა „ტაივანჩიკის" — ალიმჟან ტოხტახუნოვის დაპატიმრების შემდეგ აგორებული სკანდალი სოლტ-ლეიქ-სიტის ოლიმპიადაზე ფრანგული წყვილის ოქროს მედლებისათვის მსაჯების მოსყიდვის თაობაზე.

შეგახსენებთ, რომ რუსი მოქალაქე ტოხტახუნოვი წლეულს ივლისში იტალიაში დააპატიმრეს ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს მოთხოვნით. მანჰეტენის საოლქო სასამართლომ ფედერალური პროკურატურის 5-მუხლიანი წარდგინებით დაუსწრებლად დაადანაშაულა ის და მოითხოვა მისი ექსტრადიცია აშშ-ში.

ბრალდების ვერსიით, ტოხტახუნოვი, იგივე „ტაივანჩიკი" და „ალიკი" ითვლებოდა ევროპის ორგანიზებული დამნაშავეობის ერთ-ერთ ლიდერად, ის თითქოს ცდილობდა, ზამთრის ოლიმპიადაზე რუსი მსაჯის დახმარებით გამარჯვება მოეპოვებინა ფრანგული წყვილისათვის — მარინა ანისინასა და გვენდალ პეიზერისათვის და ამით, ჯერ ერთი, ოქროს მედლებისათვის „მწვანე გზა" გაეხსნა წყვილთა პაექრობაში რუსებისათვის, მეორეც, დაემსახურებინა საფრანგეთის იმიგრაციული სამსახურის თანადგომა, რადგან ამ ქვეყანაში ვიზის ვადა გაუვიდა.

ტოხტახუნოვისათვის წაყენებული 5 ბრალდებიდან თითოეულ 5-წლიან პატიმრობასა და 250 ათას დოლარიან ჯარიმას იმსახურებს. ამერიკელების გარდა, მას სერიოზული ბრალდებები წაუყენა ვენეციის პროკურატურამაც, კერძოდ, მას ადანაშაულებენ რუსული მაფიის დიდძალი ფულის გათეთრებაში.

და აი, ვენეციის სააპელაციო სასამართლომ, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა „ტაივანჩიკის" აშშ-ში ექსტრადიციის საკითხი, საქმის განხილვა 7 იანვრამდე გადადო, ვინაიდან რუსულ ენაზე არ არსებულა შესაბამისი დოკუმენტაცია.

დე ლა ჰოია — მექსიკელი?

სახელგანთქმულმა ამერიკელმა მოკრივემ ოსკარ დე ლა ჰოიამ მექსიკის მოქალაქეობა მიიღო. „ოქროს ბიჭუნას" შესაბამისი დოკუმენტი გადაეცა ლოს-ანჯელესის მექსიკის გენერალურ საკონსულოში.

ასე ახლა 28 წლის მოკრივის ოცნება, გამხდარიყო იმ ეროვნებისა, რაც მის მშობლებს ჰქონდათ. „მე მუდამ თავს ვგრძნობდი მექსიკელად. ახლა კი ამაში ვერავინ დაეჭვდება, იმიტომ, რომ უკვე მაქვს ოფიციალური საბუთი, რომელიც ამტკიცებს, რომ მექსიკელი ვარ", — განაცხადა ოფიციალურ ცერემონიაზე „ახალმობილმა" მექსიკელმა.



ფრანგული ვერსიის „შესანიშნავი სამეული"

საფრანგეთის სპორტის აკადემიის გადაწყვეტილებით, 2002 წლის დიდი პრემია მიენიჭა ბრაზილიელ ფეხბურთელს რონალდოს. მსოფლიო ჩემპიონსა და საკონტინენტთაშორისო თასზე მადრიდის „რეალის" გამარჯვების სულისჩამდგმელს ჯილდო გადასცა აკადემიის პრეზიდენტმა ალან დანემ.

სპორტის აკადემიის პრემია, რომელიც 1905 წელს დაწესდა, ასევე გადაეცა „ფორმულა-1"-ის პილოტს, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს მიხაელ შუმახერს.

ეს საპატიო პრემია დაიმსახურა კანადის პრემიერმა ჟან კრეტიენმაც „მთელ ფრანგულენოვან სამყაროში სპორტის პოპულარიზაციაში პირადი წვლილისათვის".

ევროპაში უდიდესი

შაბათს, 14 დეკემბერს, მოსკოვის მედვედკოვოს რაიონში საზეიმოდ გაიხსნება ევროპაში უდიდესი სკეიტპარკი „ადრენალინი", ის დააპროექტა სპორტის ექსტრემალური სახეობების მოწყობილობათა დამამზადებელმა გერმანულმა ფირმამ.

საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობისათვის რუსეთის დედაქალაქს ეწვევიან სკეიტბორდინგის ვარსკვლავები ევროპიდან და ამერიკიდან.

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები, ორი მეგობარი მერაბ თაბუკაშვილი და კოტე მახარაძე. 1947 წელი.

მოგვაწოდა მალხაზ დოლიძემ.

მგოსნის ნაკვალევზე

ვაჟაობა შირაქშიც დამკვიდრდა

„ყველა უნდა ზრუნავდეს, რომ ის, რაც დაგვიტოვეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა და მათგან მემკვიდრეობად მივიღეთ, შევინარჩუნოთ და გადავცეთ ახალ თაობებს“ – საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ეს სიტყვები სავსებით მიესადაგებოდა ამ დღეებში გამართულ ქვემო ქედის მოსახლეობის შირაქში ჩამოსახლების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სახალხო ზეიმს, რომელიც დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ქვემო ქედის კულტურის სახლში გაიმართა.

ვაჟა-ფშაველამ დიდი ამაგი დასდო შირაქში მთიელთა დასახლებას და ამით შირაქის შენარჩუნებას. შირაქის ველ-მინდვრები ოდითგანვე ქართველ მთიელთა – თუშ-ფშავ-ხევსურთა და მთიელ-გუდამაყრელთა ცხვრის საზამთრო საძოვრები ყოფილა. შემდგომი სახლის საძირკვლების ამოთხრის დროს აღმოჩნდა დაახლოებით პირველი საუკუნისდროინდელი ქართველთა სამოსახლოების კვალი, სამარხები. შირაქის ნაყოფიერ მიწაზე დასახლდნენ მთიელები და ასე შეიქმნა სამი დიდი სოფელი: ქვემო ქედი, არხილოსკალო და ზემო ქედი.

ნანა ჟიჟინაძე,
„სრ“ საკ. კორ.
დედოფლისწყარო.

ღიმილის დოზა



არის ერთი შეკითხვა, რომლის ანკეტაში შეტანით მიიღებთ ამომწურავ პასუხს ადამიანის წლოვანებაზე, სქესსა და სოციალურ მდგომარეობაზე.

აი, ეს შეკითხვა: „რას ნიშნავს თქვენთვის გამოთქმა — „წამოდი, გავისეირნოთ“?

* * *

ექიმი ავადმყოფს.

— თქვენ კატეგორიულად და გადაჭრით უარი უნდა თქვათ ღვინის სმაზე, სიგარეტის მოწევაზე, შემთხვევით სექსუალურ კავშირებზე, აზარტულ თამაშებზე.

ავადმყოფი (თავისთვის):

— ეტყობა, ჩემი ცოლი აქ უკვე იყო.

* * *

თუ თქვენი უფროსი ყოველთვის ერთსა და იმავე ანეკდოტს ყვება, თქვენის მხრივ ტაქტიანი იქნებოდა გაიცინოთ სხვა და სხვა დროს.

* * *

(საუკეთესო ანეკდოტი):

სოციოლოგიური დაკვირვებებით დამტკიცებულია, რომ ყველა, ვინც ზღარბზე დაჯდება, იმავე წამს იწყებს ფიქრს საკუთარ უკანალზე და არავის აზრად არ მოუვა, იფიქროს საწყალ ზღარბზე.

კრიმინალი

შეტევა ფართო ფრონტით

საქართველოს მოსახლეობისადმი ქვეყნის პრეზიდენტის მიმართვის საპასუხოდ

შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს დამნაშავეობასთან ბრძოლის ოპერატიულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებებს. პირველ ორ დღეში გაიხსნა 38 დანაშაული, დაკავებულია 10-მდე კრიმინალური ჯგუფი, ოცამდე ძებნილი, მათ შორის რამდენიმე იძებნებოდა მკვლელობის, ყაჩაღობისა და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ამოღებულია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები, ნარკოტიკული ნივთიერებები, აღიკვეთა კონტრაბანდისა და გატაცებული ავტომანქანების ქვეყნის ტერიტორიიდან გაყვანის შემთხვევები.

ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების მიმდინარეობისას, პოლიციის მუშაკებმა საქართველოს საზღვრის (ლარსის გამშვები პუნქტი) გადაკვეთის მცდელობისას დააკავეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ქ. ვლადიკავკაზში კუტუზოვის ქ. №80-ში მცხოვრები ოლეგ ვალერის ძე კამბეგოვი. იგი ცდილობდა საქართველოს საზღვრებს გარეთ გაეყვანა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანა „მერსედესი ე-420“, რომელიც 3 ნოემბერს, ღამის 2 საათზე, თბილისში, ჯერჯერობით დაუდგენელმა ოთხმა პირმა, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით გასტაცა მოქალაქე ირაკლი ქორიძეს. ამ ავტომანქანის რეკვიზიტები ტექნიკური საშუალებების გამოყენებით კამბეგოვმა ვინმე „ზურაბის“ ხელშეწყობით შეცვალა, ასევე გაყალბა დოკუმენტები. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ კამბეგოვი ეწეოდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ავტომანქანებით ვაჭრობას. კერძოდ, თბილისში იგი წინასწარ შეიგულებდა ხოლმე ძვირადღირებულ ავტომანქანებს, შემდგომ კი სხვა პირებთან ერთად იტაცებდა, საქართველოს საზღვრებს გარეთ ჰყიდდა. კამბეგოვი დაკავებულია. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ მას აღმკვეთი ღონისძიებების სახით შეეფარდა პატიმრობა. გრძელდება ოპერატიული ღონისძიებები კამბეგოვის თანამზრახველების დადგენა-დაკავების მიზნით. გამოძიებას აწარმოებს მთაწმინდა-კრწანისის საგამოძიებო სამსახური.

6 დეკემბერს, დილის 6 საათზე ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისას მცხეთა-მთიანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროსა და საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ნატახტარის საგუშაგოზე დააკავეს ავტომანქანა „ვაზ-2109“ (№ შშშ-032), რომელსაც მართავდა აფხაზეთიდან დევნილი, დროებით თბილისში მცხოვრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კაზაკთა კავშირის უშიშროების სამსახურის უფროსი, ლეიტენანტი სიმონ ოჩიგავა, მას აღმოაჩნდა 9,2 გრამი მარიხუანა, ხოლო მგზავრებს, აფხაზეთიდან დევნილს, დროებით თბილისში, სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრებ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს რიგითს ზაზა ანდრიაძეს აღმოაჩნდა არარეგისტრირებული პისტოლეტი „ტტ“ ერთი მჭიდით და 7 ვაზნით, 13,5 გრამი მარიხუანა და პირადობის მოწმობა, აფხაზეთიდან დევნილს, დროებით თბილისში მცხოვრებ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზემდეგს ზურაბ გოროზიას აღმოაჩნდა ორი ხელყუმბარა „რგდ“ და ერთი ხელყუმბარა „ფ-1“, 63,1 გრამი მარიხუანა და პირადობის მოწმობა, ხოლო მესამე მგზავრს, აფხაზეთიდან დევნილს, დროებით დაბა წყნეთში მცხოვრებ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პენსიონერს, კაპიტან მალხაზ აბულაძეს აღმოაჩნდა 11,7 გრამი მარიხუანა. მოკვლეული მასალები გადაეგზავნა თბილისის რეგიონულ სამხედრო პროკურატურას.

7 დეკემბერს ბოლნისის რაიონის პოლიციელებმა ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისას დააკავეს ბოლნისში, სააკაძის ქ. №83-ში მცხოვრები ლაშა ბერიშვილი, ფიროსმანის ქ. №26-ში მცხოვრები, ნასამართლევი გია მუჯირიშვილი, რუსთაველის ქ. №73-ში მცხოვრები ედგარდ ამირიანი და ხონის რაიონის სოფელ კონტუათში მცხოვრები ვიქტორ ჩარგეიშვილი, რომლებმაც 6 დეკემბერს ბოლნისში, დავით აღმაშენებლის ქ. №54-ში მცხოვრებ გია რეხვიაშვილს სახლის ეზოდან გასტაცეს ავტომანქანა „ვაზ-21011“ (№რბფ 486). გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის ბოლნისის განყოფილება.

5 დეკემბერს შსს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა წალკის რაიონის სოფელ რეხაში გორი-ახალქალაქის სატყეო გზაზე დააკავეს გორის რაიონის სოფელ ატენში მცხოვრები ნასამართლევი ზურაბ დავითაშვილი, მისი ავტომანქანა („9787 გაი) და მგზავრები, თბილისში მცხოვრები ვახტანგ ბედუკაძე, გორის რაიონის სოფელ ატენში მცხოვრები ჯაბა დავითაშვილი და მირზა მიხანაშვილი. პოლიციელებმა ავტომანქანის შემოწმებისას ძარაში აღმოაჩინეს რუსული წარმოების უაქციზო 50000 კოლოფი სიგარეტი „ნაშა პრიმა“, 36000 – „ნოვოსტი“, 10000 – „ბონდი“, 56000 კოლოფი „პრიმადონა“, 50000 – „დონსკოი ტაბაკ“, რომლის საერთო რაოდენობა შეადგენდა 202.000 კოლოფს, ხოლო ღირებულება 100.000 ლარს. ავტომანქანას აცილებდა გორში მცხოვრები ზურაბ წინამძღვრიშვილი ავტომანქანით (№ გ 9391 გგ), რომელშიც ისხდნენ ტვირთის მფლობელები, უნომრო „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტით, 8 საბრძოლო ვაზნით და „ვინჩესტერ-რემინგტონის“ სისტემის შაშხანით შეიარაღებული გორის რაიონის სოფელ ატენში მცხოვრები კახა ბუთხუზი და „სკს“-ის სისტემის შაშხანით შეიარაღებული, გორის რაიონის სოფელ ატენში მცხოვრები დავით ხიბლიშვილი. დაკავებულებმა განმარტეს, რომ იარაღი ეკუთვნის მათ, ხოლო სატვირთო მანქანის ძარაში აღმოჩენილი სიგარეტი დეკემბრის დამდეგს შეიძინეს ერგნეთის ბაზრობაზე 45000 დოლარად და შემოვლითი გზებით აპირებდნენ სომხეთში გატანას. გამოძიებას აწარმოებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტი.

ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებისას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამოვლენას და მოზარდთა შორის დანაშაულობის თავიდან აცილებას.

8 დეკემბერს დააკავეს სოფელ მარტყოფში მდებარე ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის მოსწავლე, მცხეთის რაიონის სოფელ ჩარდახში მცხოვრები, 13 წლის ფიქრია ოდიშერიძე, რომელმაც ღამის 1 საათზე იმავე სახლის მოსწავლეს, საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში მცხოვრებ 12 წლის თეიმურაზ უსტიაშვილს შესთავაზა სკოლის სურსათის საწყობის გაქურდვა, მაგრამ რაკი უსტიაშვილმა უარი თქვა ამ წინადადებაზე, ფიქრია შეეცადა მის დახრჩობას და ქვისა და აგურის თავში ჩარტყმით მიაყენა მძიმე დაზიანებები, რის შედეგადაც უსტიაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. ოდიშერიძემ უსტიაშვილის გვამი გადამალა იქვე ეზოში დანგრეულ შენობასთან. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, დანაშაულში ეჭვმიტანილი არასრულწლოვანობის გამო სისხლის სამართლის წესით არ დაისჯება და ახლობლებს გადაეცემა.

7 დეკემბერს სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის თბილისი-საკვანძო რეგიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა რკინიგზის სადგურ „თბილისი-საკვანძოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში მცხოვრებნი 20 წლის დ. რუბიან ალვანჯიანი და 14 წლის შირან თოროსიანი, რომლებმაც 3 ოქტომბერს შპს „საქართველოს რკინიგზის“ თავფარავანი-ფოკას გადასარბენზე მოიპარეს 1300 მეტრი საკონტაქტო გამტარი.

ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად პოლიციამ თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დიდძალი უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალები ამოიღო. კერძოდ, ისანი-სამგორის და დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოების თანამშრომლებმა ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონის პირველი კვარტლის მე-9 კორპუსში დააკავეს იქვე მცხოვრები სერგო არაქელოვი, რომლის ძმის, სანკტ-პეტერბურგის ქ. №1-ში მცხოვრებ ალექსანდრე არაქელოვის ბინის სარდაფიდან ამოიღეს ავტომატი „აკს“ ოთხი მჭიდით, ოთხი ხელყუმბარა „ფ-1“, ავტომატ „აკმ“-ის 2123 ცალი ვაზნა, ავტომატ „აკს“-ის 530 ცალი და „კარაბინის“ 240 ცალი ვაზნა. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური.

7 დეკემბერს კი დუშეთის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს დაბა ფასანაურში მცხოვრები გიორგი ნარიმანიძე, რომლისგანაც ამოიღეს პისტოლეტი „მაკაროვი“ ერთი მჭიდით და ერთი ვაზნით. გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დუშეთის განყოფილება.

ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებები გრძელდება.

ვალერიან გოგოლაშვილი.

ხსოვნა

ნინო რაზიკაშვილი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ენათმეცნიერი-ლინგვისტი, რაზიკაშვილების სახელოვანი ოჯახის ღირსეული წარმომადგენელი.

წავიდა ჩვენგან ადამიანი, ქალბატონი, რომლის პიროვნებაში არაჩვეულებრივი სიცხადითა და მომხიბვლელობით კონცენტრირებული იყო ყველაფერი ის, რაც დამახასიათებელი იყო უფროსი თაობის ჭეშმარიტი ქართული ინტელიგენციისთვის – პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა, საქმისადმი თავდადება და კრისტალური პატიოსნება. ყველაფერ ამას ავსებდა და ამშვენიერებდა განუმეორებელი ქალური კდემამოსილება – ამ სიტყვის ტრადიციული და მართლაც ქართული გაგებით – რომლის განსახიერებადაც აღიქმებოდა ქალბატონი ნინო (და, ალბათ არც იყო შემთხვევითი, რომ ამგვარი ღირსებით შემკული მანდილოსანი იყო შესანიშნავი ინტელიგენტი, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორის, აწ განსვენებული ბ-ნ ვახტანგ ქოჩორაძის მეუღლე. ეს იყო შესანიშნავი, ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი წყვილი!)

ქალბატონი ნინო დაიბადა 1923 წელს ქ. გორში სახელმწიფო მოხელის და პედაგოგის ოჯახში. 1944 წელს მან დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1948 წლიდან პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ყოფილი უცხო ენათა ინსტიტუტი) სხვადასხვა თანამდებობაზე – ფაკულტეტის დეკანად, კათედრის გამგედ. 1956 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირების სფეროში, ხოლო 1975 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება.

ქ-ნ ნინო პირნათლად, ძალისა და ენერგიის დაუზოგავად ემსახურებოდა ახალგაზრდების აღზრდისა და განათლების უმნიშვნელოვანეს საქმეს. ყველას – როგორც სტუდენტობას, ისე კოლეგებს, იგი უყვარდათ იმ განსაკუთრებული სიყვარულით, რომელიც ერთდროულად უღრმეს პატივისცემასაც ნიშნავდა.

ღრმა სევდით, მოწიწების ღრმა გრძნობით ვეთხოვებით ქ-ნ ნინოს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები.

დათო სოსიაშვილი

დღეს სამტრედიის ქუჩის № 2 ა კორპუსის მაცხოვრებლები უკანასკნელად გამოვემშვიდობებით ჩვენს ულამაზეს და უკეთილშობილეს მეზობელს, 22 წლის დათო სოსიაშვილს.

ამ ათიოდე წლის წინათ იგი მოჰყვა საშინელ კატასტროფაში, რომლის დროსაც დაიღუპა ოთხი ადამიანი, მათ შორის მისი დედა, მამა და ძმა. მაშინ დათო გადარჩა. მას დაბადებიდან სხვა ტკივილიც აწუხებდა, ამიტომ სამკურნალოდ ამერიკაში წავიდა, რამდენიმე ოპერაციაც გაიკეთა. იქაც ვაჟკაცურად იცხოვრა და სულ ახლახან მონატრებულ საქართველოში დაბრუნდა. სამწუხაროდ, უიღბლობამ ახალგაზრდა სიცოცხლე სწორედ აქ მოუსწრაფა.

სხვა ღვიძლ ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად, ჩვენ გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებთ დათოს გამწარებულ ბებიას, ქალბატონ ვენერას, რომელმაც მთა და ბარი შესძრა ერთადერთი შვილიშვილის გადასარჩენად, მაგრამ მაინც ვერაფერი უშველა.

მარადიულ ნათელში იყავ, ჩვენო დათო!

მეზობლები.

მშობლები რუბენი, გულიკო ცირეკიძეები, მეუღლე ანა სირაძე, შვილები მარიამი, თამუნა, ძმა დავითი, და ნინო, რძალი ირინა იობიძე, ბიძები იამა, ვახტანგი, ზური ცირეკიძეები, გოდერძი, როლანდ ჩიხლაძეები, სიმამრი ამირან სირაძე, სიდედრი ვიოლეტა ცერევნიდი, ცოლისძმა გიორგი სირაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზოჩა ცირეკიძე

პანაშვიდი 13, 14 XII, 4 სთ. ბოგდან-ხმელნიცკის 103 ა, კორპუსი 3, ბ. 34. გამოსვენება 15 XII, 2 სთ., საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მარინა პაპუნაშვილს დედამთილის

თამარ ხოსიაურის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს მორენა გუნცაძეს ბიძის

ვაჟა გუნცაძის

გარდაცვალების გამო.

საქ. შს სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი სამძიმარს უცხადებს ოჯახს ამავე დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს დპ სამმართველოს თანამშრომლის

ტარიელ ბროძელის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ქალბატონ ნათელა ლაღიძეს და მის ყველა ნათესავს, ახლობელს წყალთა მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრის

ილია ლაღიძის

გარდაცვალების გამო.

სპარტაკ ქობულია და მზია ქაჯაია ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ თენგიზ ბერიშვილს უსაყვარლესი ადამიანის, გამზრდელი ბიცოლას

ლამარა ჭანტურია-ბერიშვილის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს რაიონის გამგებლის მამის

ნოდარ ჩაჩანიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოცემა

ორი ნოგბათი

ნიკო ლორთქიფანიძე
ხელოვანთა ყავახანა



ზრიად სასიკეთო საქმიანობას ეწევა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია – გარდა ყოველწლიური ალმანახისა, რომლის ყოველი ნომერი დაყურსულია საინტერესო პუბლიკაციებით, ასოციაციამ შექმნა მცირე ფორმატის წიგნთა საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა. ახლახან ამ ბიბლიოთეკას შეემატა ორი ჩინებული გამოცემა. ნიკო ლორთქიფანიძის „ხელოვანთა ყავახანა“ და ეთერ თათარაიძის ლექსები. ორივე წიგნის რედაქტორია ასოციაციის თავმჯდომარე ლია ნადარეიშვილი.

ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურული გამოცემისათვის შესატყვისი მოთხრობები და მინიატიურები შეურჩევია კრებულის შემდგენელს, ასოციაციის რედაქტორს შოთა კობიაშვილს. მხატვარია კარლო ფაჩულია.

კრებული იხსნება მინიატიურით „ხმა სამარიდან“, მას მოსდევს „გული“, „უცნაური სიყვარული“, „გარეული ბატი“, „გლეხის მოსახლეობა იმერეთში“, „ბუმბერაზი“, „საშობაო მინიატიურები“, „სარეცელზე“, „საქართველო იყიდება“ და სხვა... შევჩერდეთ მინიატიურაზე „საქართველო იყიდება“, რომელიც ბოლო ხანს ლექსივით ახსენდება ყოველ ჩვენგანს, საქართველოში შექმნილი მძიმე კორუფციული მდგომარეობის გამო. თითქოს დღევანდელმა სატკივარმა სახალხო ქონების გასხვისების და განიავების დღევანდელი სინამდვილის გამო ამოხდა ნიკო ლორთქიფანიძეს ეს საჩივარი:

„იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმარ-მოყვარეობით, დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით, ნაამაგევი სახლით და კარით, ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით, ლურჯის ზღვით, მოწმენდილ-მოკამკამებული ცით; ერით, ბერით, თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით“...

რაღა გავაგრძელო – ეს საჭირისუფლო სიტყვა მწერლისა დღესაც უნდა ვისმინოთ, თუ ყური გვაქვს და დღესაც უნდა გავისიგრძეგანოთ – თუ გონი შეგვრჩენია...

...„მოუარეთ საქართველოსო“ – ღაღადებს ნიკო ლორთქიფანიძე მინიატიურაში „ლიტერატურული საღამო“, „მოუარეთ საქართველოსო“ – ისმის შორიდან მჟინვარის ხმა: – „მოუარეთ საქართველოს“ – გუგუნებენ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები; „მოუარეთ საქართველოს“ – ეს მოთას აჩრდილია... ერთმანეთს ეხმიანებიან რიონი, თერგი და მტკვარი – „მოუარეთ საქართველოსო“...

...მომავალო, მიაყურადე ამ ხმას, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს გაისმა...

...ეს მინიატიურები ზეპირად ვიცოდით... ახლაც სათუთად ვინახავ ნიკო ლორთქიფანიძის პატარა ყდაშემოცლილ წიგნს...

...„იმერეთში რამდენი კორტოხია, იმდენი ბატონია“, – ასე მთავრდება სურათი „გლეხის მოსახლეობა იმერეთში“. „...ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს კორტოხები...

* * *

ეთერ თათარაიძის სახელი საამოდ გასაგონია ყოველი ქართველისთვის ისევე, როგორც მისი თუშური კილო-კავი...

„სულგანაბულ ფერდებო,
ჩამოწრეტილ ხევებო,
დაბარგებულ ყანებო,
ჯაფით დამშერალ ხელებო,
ტანდამძიმდ ბერკდენო,
კაბებწაყრილ ტყეებო,
გირკალგამცვდარ ჩიხრიხო,
მხრებო ჭილვის ტყეებო,
ნაცარჩაყრილ სახრელო,
ქვავ, გოხმარილ საფქველო,
უთვალავჯერ ნათქვამო,
უთვალავჯერ სათქმელო“.

აი, ასე შევყავართ თავის პოეტურ სამყაროში ეთერ თათარაიძეს, რომლის წიგნიც გაუფორმებიათ თამაზ ავალიშვილსა და თენგიზ მირზაშვილს. ახლა ცოტა „შორს“ გავიჭრათ:

„აღარ მოგაქვ იების
ცვარმონაპკურ
კონებ,
აღარ აქვის
სადარდელს
გასასვლელა ფონებ,
შენ გულ
გამოგყინვია – დ
მე გულ მქცევი
თონედ“.

„... ერთ-ერთ თავისებურება: – ლექსები უსათაუროა, დაიწყებ კითხვას და ჩაგითრევს...

...მეორე თავისებურება: ორსტრიქონიანი განყოფილება **„ენძელა ჩინს ნატირებ“...**

„ფიქრისაიც მეშინის:
რა ჩქარა ქვრებ სამზეოჲ...“

ანდა:

„პაერში რად გამიქვავ
შენ განამალ მკვლავებ...“

კიდევ:

„შებინდდ, დახუდდ საწუხრიო
ფიქრებ გულში,
ჲამ ღამესაც თეთრად
გავსტეხ, ვიც...“

...ასეა, ვინც კალამს და სიტყვას შეჭიდებია, მისთვის ღამის თეთრად გათენებაც უცხო ხილი როდია!...

...ფერლაღობდა სახლის
თავზე ცირცელ...
რა ამბავი საარხოტო გზისაჲ...“

აი, ასეთი პოეტი-მხატვარია ეთერ თათარაიძე – დანარჩენის დაჭამნიკება მკითხველზე იყოს.

დაბოლოს: ორთავ წიგნი აიწყო და დაკაბადონდა „კოლორ პრინტში“, ხოლო დაიბეჭდა და აიკინძა „ფავორიტში “ – სანაქებოა მათ მიერ აწყობილ-გაწყობილი წიგნები.

ნანა ღვინეფაძე.

გაბზარული სარკე

რუბრიკას უძღვება ლეილა პოშკაძე

„საცოდავი ძღვენი“

„ქრთამის“ ამ პატარა განმარტებაში დიდი საბა ნეტავ, რას გულისხმობდა? ცოდვილია ის, ვინც ქრთამს იღებს, თუ საცოდავია, ვინც ქრთამს აძლევს, მარჩიელობას სჯობს, სისხლის სამართალი მოვიშველიო, რომლის მიხედვითაც ქრთამის აღება ნიშნავს თანამდებობის პირის მიერ ყოველი სახის მატერიალური ფასეულობის თუ მატერიალური გამორჩენის მიღებას მიმცემის ინტერესებისათვის ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისათვის ან შეუსრულებლობისათვის, თანამდებობის პირს რომ უნდა შეესრულებინა ან შეეძლო შეესრულებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. მექრთამეობის საგანი შეიძლება იყოს ბინის, დასასვენებელი სახლის საგზურის მიცემა, მაღალანაზღაურებად სამუშაოზე შვილის მოწყობა და თქვენ წარმოიდგინეთ, გოჭის და ინდაურის „მიძღვნაც“ კი.

ამას, ალაბთ, ვერ წარმოიდგენდა ქუთაისელი დენის მარდალიშვილი, თორემ აღძრულ მადას უთუოდ დაიცხრობდა.

ერთ-ერთ ბატალიონში მეთაურად როგორც კი დანიშნეს, უფროსმა ლეიტენანტმა ორი ახალწვეული, რიგითი ჯარისკაცი – ბიძაშვილები ნოდარ და ნუგზარ მამალაძეები თვალში ამოიღო. სოფელში სასწრაფოდ გამგზავრება, შემწვარი გოჭის, 10 ლიტრი „ადესის“ და 20 ლარის ჩატანა უბრძანა. უფრო მეტიც, გამაფრთხილებელი ღონისძიებაც განახორციელა, ცალკე ოთახში გაიყვანა და ორივეს ზურგი აუჭრელა. შვილების ნახვით გახარებულმა ქერივმა მაზლისცოლებმა ფული შეაკოწიწეს და „საცოდავი ძღვენი“ ბატონ დენისს გაუგზავნეს.

გოჭების ჭყვიტინ-ჭყვიტინით განრისხებულმა მეთაურმა ბიჭებს ახლა თავში უთათქუნა – თქვე უტვინოებო, მე შემწვარი გითხარითო და ცემა-ცემით ისევ სოფლის გზას გაუყენა.

მამალაძეების ოჯახში ერთი მამალიც არ ყიოდა, გოჭს სად ნახავდნენ? მეზობლებში ისევ შეაკოწიწეს ფული გულუბრყვილო ბიჭებმა, ისევ ქუთაისის ბაზარში იყიდეს ერთი გოჭი და ისევ ცოცხლად მიართვეს მეთაურს.

კარუსელივით რამდენჯერმე დატრიალდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფთა „სავალდებულო ბეგარის“ გადახდისა და მკაცრად დასჯის სცენა – კანალიზაციის მილზე მიბმიდან დაწყებული მამათმავლობის მუქარით დამთავრებული.

გაუმხელელმა შეურაცხყოფამ, უმწეობისა და უპატრონობის შეგრძნებამ ობოლი ბიჭები სასოწარკვეთამდე მიიყვანა და ნოდარმა თავის მოკვლა სცადა. მაშინღა ამოიღო ხმა ნუგზარმა.

საბრალდებო სკამზე ამაყად მჯდარი დენის მარდალიშვილი არ უარყოფდა, მაგრამ ჩადენილს დანაშაულად არ მიიჩნევდა: ხელქვეითმა უფროსს რომ პატივი სცეს, დანაშაულიაო? ფიზიკურ შეურაცხყოფას კი ასე ხსნიდა, შვილი მტრულად გაზარდე, მოყვარულად გამოგადგებაო. ამავე „პრინციპს“ დაეფუძნა ქუთაისის საოლქო სასამართლოს განაჩენი. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში პატივცემულ დენისს გოჭისა და ინდაურის გემოც დაავიწყდება და „ადესისაც“, 5 წლის შემდეგ კი მადის ნაცვლად, ვინძლო სხვა უფრო ადამიანური სურვილები აღძრას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ ზოზიაშვილი, ბონდო ზულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა —
sakresp@gol.ge

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში. რკინიგზის ჩიხი 20.